



საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika


ფასი 50 თეთრი.

დღესასწაული

თბილისობაა, თბილისობაა...



„ჩემო თბილის ძალაძო“...



მეზადაზიან „თბილისობისთვის“



პიპი ჯოჯოხიძის ფოტო

უნივერსიტეტი „გაგვიკვლავთბილისადა“

მეცენატებო, არუქეთ თბილისელებს ბოგი ცაბაძის უცნობი სიმღერების საღამოები!

„მღერიან, ატრიალე-ბენ ფონოგრამას... კაცი არ არის გამ-კითხავი... არადა, სამართლებ-რივ სა-ხელმწიფოში ფული გასდებოდა მამა და ღირს ეს ყველაფერი... ერთი საღამო ვერ გა-შარშან ოთხმოცისა დავუხადე“...



იხ. გვ-4 გვ.

ასე ახალი ცინეზის გადაიჭედა

თუ ჩვენმა ძალოვანებმა ამ ტემპით გა-აგრძელეს დამნაშა-ვეთა თუ უდანაშაუ-ლოთა დაკავება, სო-ლო მოსამართლეებ-მა — ყველას ვირის აბანოში გაშვება, მა-შინ, მერნმუნეთ, ეს



იხ. გვ-10 გვ.

კამათური იხალაბა... ყაყანი



ცოდნა ხალხი. საქართველო ამის ღირსი არ არის. იმდენი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ მო-მავალ არჩევნებში 150 (ასიც საკ-მარისი იქნებოდა!) ღირსეული პარლამენტარი ავირჩიოთ...

იხ. გვ-3 გვ.


„იმაღი მაჰვს, მოვკვდა ჩემს საყვარელ საქართველოში“ ...

„...რაც უნდა მტანჯონ, სპარსელი. მე ვარ ნამ-რაც უნდა მანვალონ, დვილი ქართველი. მე მაინც არ გავხდები ჩემიერ და მთელი ფე-რეიდნელი ქართველე-ბის მიერ გა-დმოქცემთ საღამს და გამარჯობას, ჩემო ძვირფ-ასო ძმებო, დებო“.



იხ. გვ-11-12 გვ.

„იუიღეთ, იუიღეთ ჩქარა, თორემ“ ...



იხ. გვ-6 გვ.



ვინ უმსუბუქებს მძიმე ჯვარს მამუკა სალუქუაძეს?

იხ. გვ-4 გვ.

კვირის თვალსაზრისი

ზანზარით პარისის გაჯახუნება

(ემორა გვირდოლიან)

სალომე ზურაბიშვილი თეთრი ყვავი (ბოდის ვისდი ამ შედარებისთვის), უცხო სხეული, გამოკვეთილი, არაორდინარული სახე, მართლა „ფრანგი“ იყო ჩვენს მთავრობაში.

ზურაბიშვილი, ის უნდა შექმულიყო და შეიჭამა კიდევ.

გუშინ დიტირამებებს უმღეროდნენ სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ რუსეთთან წარმატებით დასრულებული მოლაპარაკებების გამო. მართლაც განსაკუთრებულად ეჭირა იქ თავი, მას ვერ უბედავდნენ, ვერ ჰკადრებდნენ ისე მოქცევას, როგორც საქართველოს სხვა მინისტრებს ექცოდნენ მოსკოვში — ქედმაღლურად, უპირატესობის გრძობით. ის ერთობ ეფექტური იყო იმ მოლაპარაკებებზე და შედეგს მიაღწია კიდევ.

რა თქმა უნდა, არავის აქვს იმის ილუზია, რომ ეს შედეგი მხოლოდ მინისტრის დამსახურება იყო. მეტერნისებისა და ბისმარკების დრო წავიდა. მაგრამ, მისი დამსახურება უდავოდ იყო. თუ რომელიმე დარგს ჰქონდა საქართველოში გამოკვეთილი, ხელშესახები წარმატება, ეს საგარეო საქმეთა უწყება გახლდათ.

ჰოდა, სწორედ მისით დანიწყდა... დარტყმა კარგად მომზადდა ზვიდან — პარლამენტიდან, რომელსაც გან გაუბედა და წინააღმდეგობა გაუწია, და ქვემოდა — სამი უკმაყოფილო ელჩის სახით...

და მოხდა ისეთი მეტამორფოზა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ჩვენსავით უპრინციპო საზოგადოებაში. სალომე ზურაბიშვილი ახლა უკვე „კაპარჩხანა ქალბატონია“ (კოტე გაბაშვილი), „შიზოფრენიით დაავადებული“ (ნიკა გვარამია), „მის ადგილი მანანა არჩვამის გვერდით არის“ (გიგა ბოკერია) და ა. შ.

მაგრამ ძალიან ნაადრევად ხომ არ ჩამოწერეს ქალბატონი სალომე ჩვენმა ძვირფასმა პარლამენტარებმა, რომელთა გარეკვისა და ახალი პარლამენტის არჩევის წინადადებაც ძალზე ეფექტიანად წამოაყენა მან ნასვლის წინ?

ძალზე ჰაიპარად ხომ არ მიიჩნის რეალობად მისი „ისტორიის საწინააღმდეგო მოსროლა“? ასეთი ნაჩქარევობის მაგალითი თუნდაც უახლესი ისტორიიდან ელცინის „მოშორება“ იყო, როცა შერისხეს („შენ მართალი არა ხარ, ბორის!“) და, თავიანთი ჭკუით, დასაბარეს მემამბოხე საქართველო. ის „მკვდრებით აღსდგა“ და პრეზიდენტად დაბრუნდა.

მე არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა შერისხული ექსმინისტრი საქართველოს პრეზიდენტად, მაგრამ კვლავაც ასე იოლად მოსაცი-

ლებელი რომ აღარ იქნება, რა იოლადაც წააქციეს, ეს, დიახაც, სავარაუდოა.

მაგრამ საქმე გააკეთა, მაგრი უნდა წავიდეს... ჩვენში მიმდინარე პროცესები შეიძლება უკრაინისას შევადაროთ (ოღონდ ზედპირულად, ზოგადად): იქ ვიქტორ



იუშენკომ თავისი მთავარი თანამოსაგრე იულია ტიმოშენკო მოიცილა გამონურული ლიმონის პრინციპით, აქ მიხეილ სააკაშვილმა თავისი დასაყრდენი — სალომე ზურაბიშვილი.

ზოგი ირწმუნება, სალომეს წასვლა რუსეთთან პოლიტიკის შემორუნებას ნიშნავს, მოსკოვის მოთხოვნით მოიცილეს. თუ მართლა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით გაკეთდა ეს მსხვერპლშენიერვა, კიდევ რა უჭირს, მაგრამ პირადად მე ვერანაირად ვერ ვაკავშირებ,

რაში უშლიდა ხელს ქალბატონი მინისტრი ამ პროცესს. აი, ის კი ანგარიშგასანევი და სახიფათო მგონია, რომ რუსეთში უკვე გუშინვე აფუფუთდა აზრი, საქართველოდან ჩვენი ბაზების გამოყვანის შესახებ ხელმოწერილ შეთანხმებას არავითარი იურიდიული საფუძველი არ უდევსო. ვაითუ, ამ აზრმა შემდგომი უკულმართი გავრცელება განვიტარება ჰპოვოს.

ამრიგად, პარლამენტმა გაიმარჯვა — დაუმორჩილებელი, დამოუკიდებელი მინისტრი თავიდან მოიცილა (რაშიც მცირე როლი როდი შეასრულა ქალბატონმა ქიშპოზამ და ეგოიზმმა).

მართლა გაიმარჯვა? როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი იტყვოდა, „ქაჯობამ გვაჯობა“?

ეს გამარჯვება ფაქტობრივად დამარცხება ხომ არ იყო? ძალზე ნიშანდობლივია ხალხის აზრის (9 ათასი კაცის) ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები: ნაპროცენტმა მხარი დაუჭირა სალომე ზურაბიშვილს, 31 პროცენტმა — პარლამენტს (3 პროცენტმა — არც ერთს).

ეს ბატონმა პრეზიდენტმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომელმაც პარლამენტსა და მინისტრს შორის გამართულ დავაში მიუკერძოებელი მსაჯულის როლი ვერ შეასრულა, გორდიას კვანძი ალექსანდრე დიდივით ხმლის ერთი დაკვრით ვერ გადაჭრა...

ალექს ასლანიშვილი

კუბლიცისტური ნამცვრები

კამათში იზადება... ყაყანი

რის ჭეშმარიტება, რა ჭეშმარიტება, ძვირფასო მკითხველო, კამათში იზადება ყაყანი, ურთიერთშეურაცხყოფა, თავს ლაფის დასხმა, სიძულვილი და უზნეობაც კი.

იმ უძველესი ხანიდან მოყოლებული, როცა ფილოსოფოსს წამოსცდა ეს გენიალური ფრაზა, — კამათში იზადება ჭეშმარიტებაო, — ცოდვილი კაცობრიობა ცდილობს, მინიერი და ზნეობრივი პრობლემები გონებისა და ენის, უფრო ზუსტად, გონიერი მეტყველების საშუალებით გააღმყვიტოს.

რადგანაც სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე, რადგანაც სრულყოფილია მეტყველების მხოლოდ ადამიანი, კამათის უნარი ღვთისგან ბოძებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიკეთეა უნდა იცოცხლებს, მაგრამ... სადღაცა გონიერება, ნიგნიერება, მჭევრმეტყველების ნიჭი. ეს მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ.

თავი დავანებოთ „თეორიას“ და დროულად დავაკონკრეტოთ სათქმელი: ის, რაც 20 ოქტომბრის ღამის ეთერში, მართლაც მშვენიერი და ტაქტიანი ჟურნალისტის ეკა ხოფერიას ახალ გადაცემაში („თავისუფალი თემა“) იხილა მაყურებელმა, იმის ნათელი დადასტურება იყო, თუ როგორ იქცევა სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი პრობლემა ჯანსაღი კამათის სანაცვლოდ, ყაყანის, ანგარიშსწორების, უზრდელობის, საქართველოს ახლადფუნდამენტული დემოკრატიის ჩანისხვის ასპარეზზე. ტელეკომპანია „რუსთა-ვი-2“-ს მრავალათასიანი მაყურებელი რომ ჰყავს, ინტერაქტიულ გამოკითხვაზე ზარის რაოდენობითაც დადასტურდა — 9000-ზე მეტი. როგორც მოსალოდნელი

იყო, სამართლიანად გაღიზიანებული და ემოციური საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ — ნაპროცენტმა მხარი დაუჭირა სალომე ზურაბიშვილს, 31-მა პროცენტმა კი — დღევანდელ პარლამენტს. მორბენალი სტრიქონების უმრავლესობის დედააზრით აშკარად გადაყენებული მინისტრის და ოპოზიციის მხარეზე იყო.

ამის მიუხედავად, სტუდიაში მონეული ელიტა, ცალკეული გამოხატვისგან გარდა, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდა, როგორც იტყვიან, ყველა საკუთარ ხმაზე „მღეროდა“ და მაყურებლის გულის გასახეთქად ყაყანებდა.

როგორც ყოველთვის, აქტიურობდნენ ქალბატონი მაია ნადირაძე, გიგა ბოკერია და ნიკა გვარამია. მაია ნადირაძის ენაწყლიანობის, ყველაფერში თავის გამოდების (თუ თავის წარმოჩენის) ამბავი ქართული პოლიტიკის, ქართული პარლამენტარების ახალი ფენომენია და ამის შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ. არც ნიკა გვარამიას უმნიშვნელო, მართლაც სასაცილო, ამბიციური ფრაზები ღირს დაფიქრებად... აი, გიგა ბოკერიას აგრესიული, ცინიკური, მუდამ გამომწვევი აზროვნება კი, არა მხოლოდ ქართული პარლამენტის, არამედ მთელი ხელისუფლების, მთელი სახელმწიფოს ჩინოვნიკური აპარატის, თითოეული ამომრჩევლის თავსატეხია.



მორბენალ სტრიქონებს შორის ეკრანზე გიგას „გულშემატკივრების“ ერთი ასეთი ფრაზაც ამოვიკითხე, — „გიგა, მაგარი ხარ, მაგრამ მაშინ ტოლ ხალხს ნუ შეურაცხყოფ!“

და განა მართო იმ დღეს? გიგა ბოკერიამ უტიფრად გამოლანძლა ის 20 000 კაცი, რომლებიც მართლაც წამიერ დაძახილზე მივიდნენ იპოდრომზე:

— ესენი, ძირითადად, პოლიტიკური გაერთიანება „წინ საქართველოს“, „მემარჯვენეების“ და მანანა არჩვამე-გამსახურდიას მომხრეები იყვნენ, — განმარტავ ყოველმცოდნე ნაციონალმა.

არადა, სალომე ზურაბიშვილს მხარი უჭერს და ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ხელისუფლების რეიტინგის დაღმასვლას აღიარებს გამოკითხულთა მინიმუმ ნაპროცენტი... ამის დამალვა არ უცდია ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“.

რამდენიმე დღის წინათ გიგა ბოკერიამ უდიერად მოიხსენია ქართველ მეცნიერთა არაერთი თაობა და პარლამენტის ტრიბუნაზე და უტიფრად დაუქცია თითო... რასაც გვიწინა იმას ვიზამთ, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბა-



დი, — ლამის დიქტატორივით გვემუქრება იურისტი ბოკერია.

საიდან იღებს სათავეს ეს მუქრება?

...ჭეშმარიტების დასადგენად შეცვივდნენ 2003 წლის 23 ნოემბერს შევარდნაძის დაფრთიანებული ბარტყები პარლამენტის სხდომათა დარბაზში და კამათის ნაცვლად „ცბიერ, თეთრ მელს“ რადიკალური გადაწყვეტილება, გადადგომის ულტიმატუმი წარუდგინეს... აბა, იქ იყო ყაყანი თუ იყო...

შევარდნაძე, დასავლეთის შიშით თუ დავალებით, უსისხლოდ გადადგა...

ქართველთა უმრავლესობა კარგად ვხვდებით, რომ სამართლიანი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. კვლავაც საყოველთაო გაყალბებების იმედი აქვს „უმრავლესობას“ და მის ერთ-ერთ რუპორს გიგა ბოკერიას. ამიტომაც გვიმზერს ცინიკურად, აბუჩად, გამომწვევად. ცოდოა ხალხი. საქართველო ამის ღირსი არ არის. იმდენი მანც უნდა მოვახერხოთ, რომ მომავალ არჩევნებში 150 (ასიც საკმარისი იქნებოდა!) ღირსეული პარლამენტარი ავირჩიოთ...

საბრტაძე ძოპულია

ინფორმაცია

ინჟინერს გაუშავენიერება

პრივატიზაციით?

პარლამენტარი ზვიად ძიძიგური „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ პრივატიზაციის კანონიერების შესწავლას მოითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ კომბინატის პრივატიზაციით ძმებმა ბეჟუაშვილებმა იხიერეს.

კომბინატის პრივატიზაციის კანონიერების საკითხი ძიძიგურმა გუშინ პარლამენტის დარბაზში ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე დააყენა.

სამხედრო ბაზების

განთავსების

პრობლემა არა აქვს

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მეტიუ ბრაიზას განცხადებით, ამერიკას არა აქვს საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსების პრეტენზია, მაგრამ ჩვენი და ქართველი მეგობრების ეს გადაწყვეტილება სულაც არ გვიშლის ხელს, რათა კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ და გავაღრმავოთ სტრატეგიული პარტნიორობა, რაშიც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შემდგომი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ამის შესახებ, მეტიუ ბრაიზამ ჩიკაგოში კონფერენციაზე „საქართველო — ზრდის პოტენციალი“ განაცხადა. კონფერენციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიძე, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის, სამეცნიერო წრეების და ბიზნესის გავლენიანი წარმომადგენლები დაესწრნენ.

ხელისუფლება

უშიშროების საბჭოს

რეზოლუციას

გეგმავს

სამართლიანად ხელისუფლება ეროვნული უშიშროების საბჭოს რეფორმირებას გეგმავს.

როგორც გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, უშიშროების საბჭო ფაქტობრივად ბევრი სხვადასხვა უწყების დუბლირებას ახდენს. ამავდროულად, პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია უშიშროების საბჭოს რეფორმირება და მისი აპარატის შემცირება.

პრეზიდენტის აზრით, უშიშროების საბჭო უნდა იყოს კომპაქტური ორგანო, რომელიც ძალზე ოპერატიულად იმოქმედებს და ექნება შესაბამისი რეაგირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საბაჟო

მმართველობა დააკავს

გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს და უშუალოდ მის დაქვემდებარებაში არსებულ უწყებას — კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს მადლობა გადაუხადა შესრულებული სამუშაოსთვის.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კერძოდ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა სარფის საბაჟოზე გამოავლინა მნიშვნელოვანი დარღვევები, რის შედეგადაც დაკავებულია სარფის საბაჟოს 4 თანამშრომელი.

ინტერპრესნიუსი

თბილისის ფოტოგრაფია



სახელოვანი აზროვნება

პატივების ოცნება

მეცენატებო, აჩუქეთ თბილისელებს გოგი ცაბაძის უცნობი სიმღერების საღამოები

ჩვენ შევეჩვიეთ, ყოველი თბილისობა, შეიძლება ითქვას, გიორგი ცაბაძის უკვდავი მემკვიდრის ფონზე რომ იმართება. ეს მემკვიდრეობა დრომ ვერ გაახუნა და მათ საამოვნებო ასრულებენ დღესაც სრულიად ახალგაზრდა მომღერლებიც კი. ასრულებენ სცენაზე, ასრულებენ ტელეარხებზე, ასრულებენ... რესტორნებში.

რისი უფლებებია ჩვენში დაცული, საავტორო უფლებები რომ იყოს? — გულსტკივილით ამბობს გოგი ცაბაძის ვაჟი შვილი, კომპოზიტორი კახა ცაბაძე. — მღერიან, ატრიალებენ ფონოგრამას... კაცი არ არის გამკითხავი... არადა, სამართლებრივ სახელმწიფოში, ფული ღირს ეს ყველაფერი... შარშან ოთხ-

გოგი ცაბაძის უცნობი სიმღერების საღამოები დიდ საკონცერტო დარბაზში, ხოლო ახალდარბაზულმა მუსიკალურმა თეატრმა გამართოს გოგი ცაბაძის ოპერეტების კვირეული?.. ეს ოპერეტები ხომ დღევანდელ ახალგაზრდობას საერთოდ არ მოუხმენია... არადა, რა მემკვიდრეობა მათში...

— თქვენ, მეტისმეტი მოინდომეთ... ეს ყველაფერი ხომ დღეს უკვე თანხებთანაა დაკავშირებული... თუმცა, შეუძლებელი არაფერია, ბოლოს და ბოლოს, შევან უხედი მეცენატებს, ხალხს, რომლებმაც კარგად იციან გოგი ცაბაძის ფასი...

— შოდა, შეან უხედი, ვგონებ, უარს არავინ გეტყვით... ახლა ეს მითხარით, ბატონო კახა: თქვენ გოგი ცაბაძის შვილი, თავადაც უკვე ცნობილი კომპოზიტორი, ავტორი პოპულარული სიმღერებისა — „გოგოებო, იყიდეთ ყვავილების მინა“, „ლიონზე გამოიღმა თბილისმა“ და სხვა და სხვა, ავტორი მუსიკისა სპექტაკლებისთვის, კინოფილმებისთვის, შედაგოგი და ბავშვთა საესტრადო სტუდიის



ხელმძღვანელი, გარდა ამისა თუ არა თავს მაინც სახელოვანი მამის „ჩრდილქვეშ“?.. — აბა, რა გითხრათ... მამა ჩემთვის ის სათაყვანო მწვერვალია, რომელსაც ვერ დაიპყრობ, ეთაყვანები და ეგ არის... იგი, საერთოდ, სხვა იყო...

მე, მაგალითად, არა ვარ ისეთი მამა, ისეთი მეუღლე... არ უყვარდა ჭკუის დარიგება, იმის მაგალითს იძლეოდა, როგორ ეცხოვრა კაცს ამ ქვეყანაზე... მიამიტი იყო, ყველაფერი სჯეროდა, შეგვეძლო დღეში ცხრაჯერ მოგვეტყულებინა, მაგრამ სწორედ ამ გულმურყვილობის, მიამიტობის გამო ვერ აკადრებდი ტყუილს... ანდა, რა მეუღლე იყო, როგორ უყვარდათ ერთმანეთი... დედაჩემმა, საერთოდ დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც შემოქმედის ჩამოყალიბებაში... ის კი არა, წესი რომ იყოს, შეიძლება ყოფილიყო: გოგი ცაბაძისა და თამარ მაჭავარიანის სახელობის ქუჩა, გოგი ცაბაძისა და თამარ მაჭავარიანის სახელობის მუსიკალური სკოლა... და ასე...

— საინტერესოა, მოსწონდა თქვენი შემოქმედება? — ცხადია, წარმატება უხაროდა, ოღონდ, არასდროს გაუმეღლავებია... ერთხელ ასეთ ფაქტზე „წავასწარი“: მე ცალკე ვცხოვრობდი და მშობლებთან რომ შევიარე, მესმის, მამა როიალზე ამღერებს ჩემ „ყვავილების მინას“... რა თქმა უნდა, გამიხარდა...

— თქვენი სიმღერები გონი ცოტათი ჰგავს გოგისას... — რა გასაკვირია... დავიბადე თუ არა, შინ და გარეთ მისი სიმღერები მესმოდა, მისი მუსიკალური ფრაზები გონებაში იჭედებოდა... მამამ ხომ ქალაქური საესტრადო მუსიკის სამყარო შექმნა... ეს სამყარო მზრდიდა, განა შეიძლება მთაში დაწერილი ლექსი ვაჟს ლექსს არ წააგავდეს?.. შვილი მამას უნდა ჰგავდეს, აბა, ვის... ოღონდ, სასიკეთოდ უნდა განახლოს და განაგრძოს მისი დანატოვარი საქმე... მეც ამას ცდილობ, როგორ გამომდის, ვერ გეტყვით. — არცთუ ურიგოდ. ვილენ მარდალაიშვილი

თანადგომა


ვინ უძსაუბრებს მძიმე ჭკარს მამაკაცს სულაქვად?

ჩვენმა გაზეთმა ადრეც დანერა. ახლაც ვწერთ. მამაკაც სალუქვაძისთვის ერთი ტრაგედია აფხაზეთის დატოვება იყო, მეორე — დევნილობაში სრულიად ახალგაზრდა მეუღლის გარდაცვალება. მძიმე სენი მოერია დარდისგან და განსაცდელისგან ისედაც გულგატეხილ ლიანა ქალდანს. შვილებზე — პატარა აკაკიზე და ნინოზე ზრუნვა ანდერძად დაუტოვა ცალად დარჩენილ მეუღლეს...

მითხველი იტყვის, — მერედა, ვის უტოვებდა შვილებს, სულელი ყოფილაო. თანაც, მამაკაცს მხოლოდ ორმოცი წლისაა! მართლაც, არ არის თვითმკვლელობა გამოსავალი, მაგრამ ადამიანი, რაგინდ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, მაინც ადამიანია და ცხოველისგან მას ესეც განასხვავებს, თვითმკვლელობის უნარი რომ გააჩნია. ცხოველები არასოდეს იკლავენ თავს გაჭირვებისთვის, მათ სხვა ინსტიქტები აქვთ!

ერთ დილას, კეთილი მეკვლევავით მიადგა სალუქვაძეების თავშესაფარს — მას ხომ დიდი ხანია არ ასვენებდა ოჯახის თავკაცისთვის მძიმე ჯვრის შემსუბუქების სურვილი. ...პატარა გლდანი. საერთო საცხოვრებლის საართული. მომცრო ოთახი. იატაკი — ფილაქისი (ალბათ, ზამთარში ამ იატაკზე შესცავთ ზაფხუებს). რკინის ორი სანოლი, პატარა მაგიდა და ტუმბო მათი ავლა-დიდება.

ლია გაჭირვებულ თანამომქმს რომ დაეხმაროს... უეცრად, რატომღაც თვალი გაშეშდა მაგიდაზე დადებული ქალბატონ ლიანას სურათისკენ. შავი ჩარჩოდან მომზირალ უდროოდ წასულ ქალს თითქოს თვალები უღიმოდა, თითქოს რაღაცას გრძნობდა... ან იქნებ, შეიძლება სულაც იქ იყო მისი სული, შვილების გვერდით! მერე, გარეთ გამოსული, შორი-ახლოს ვდგავარ და კარგად ვისმენ ორი ადამიანის კაცურ ლაპარაკს: — მამაშენი, 1937-ში ჩვენი ოჯახი რომ ყაზახეთში გადასახლდა, მაშინ შვიდი წლისა ვიყავი. ახლაც თვალში მდებარე, როგორ იწუნებ ადამიანებს ნარზე, ერთმანეთის მიყოლებით. მახსოვს დიდი შიმშილი და გაჭირვება. ჩემი მშობლების წუხილი... მაგრამ ცხოვრება ცვალებადია და დაცემიდან ხშირად იწყება ალმავლობა.



მამაშენი (მიუხედავად): შო, დიდი უაზრობა იყო ჩემი ის ნაბიჯი. ამას აღარასოდეს გავივლებ გულშიც კი. თქვენი დიდი მადლობელი ვარ. არასდროს დამავიწყდება ქალბატონ ეთერის სიკეთე. მან გადაამარჩინა მეც და გადაამარჩინა ჩემი შვილებიც. აკაკი ახლა ათი წლისაა, ნინო — ცხრის. ორივენი, როგორც ობლები, წლებულ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სხვა ობოლ ბავშვებთან ერთად, საბერძნეთში, კუნძულ ზაკინთოსზე დაასვენა. მათი უფერული, უმიწოდო ყოფა უკვე კეთილი ადამიანის წყალობით უკეთესობისკენ იცვლება. მათ ისინი ამიერიდან განსაცდელში მართო აღარასოდეს მიატოვებენ!

...სკოლაში გაუშვა ბავშვები. მარტოა. ველარ ერევა სულიერ ტკივილს. თანაც, უკვე თითქმის სხეულიც სტკივია. მისი მადლასთან, უფროსი რვეულიდან ფურცელს ამოხევა. წერილს წერს. წერილს თუ ანდერძს? წერს, რომ მამა გამოდგა მისი ცდა შვილების რჩენის, რომ წამებად იქცა მისი სიცოცხლე. მაგრამ, ამავედროულად, არ ავიწყდება ის მადლიანი ადამიანები, რომელთაც მიაკითხა და სახმარებლად და რომლებმაც გულთან მიიტანეს მისი ოჯახის უბედურება. ასეთი კი ამ წერილში მხოლოდ მინისტრი ეთერ ასტემიროვა აღმოჩნდა, რომელსაც საკვებ პროდუქტებთან ერთად საკუთარი ჯიბიდან გაღებული ფულადი თანხაც გაუზავანია განსაცდელში მყოფი კაცისთვის.

ეს შემზარავი ფაქტი მაშინვე გახმაურდა საქართველოში პრესითა თუ ტელევიზიით. ამაზე განცხადებებს აკეთებდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, ამის შემდეგ მას არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ დაურეკა და შესთავაზა დახმარება ბავშვებისა და მათი მამისთვის. სწორედ ჩვენი გაზეთიდან შეიტყო ამ ოჯახის არსებობა მამაშენი პატარაში, საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში. მას, როგორც ქართველ კაცს, გულსა და სულში დაუარა მოყვასის ტკივილი. „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი წერილი წააკითხა თავის თანამშრომლებსაც. შემდეგ კი, თხოვნით მიმართა ქალბატონ ეთერ ასტემიროვას, შეეხვედრებინა ამ ოჯახისთვის.

ოთახი, ველარც შევედივართ. ბატონი თამაზი და ბუთხუზა აკაკი „მოყვენ“ შიგნით. საწოლზე დაყრილი საჩუქრებს უხსნის პატარა მეგობარს ქველმოქმედი — ეს ბოტასები შენია, ეს — შენი დის, თბილი ქურთუკი, შარვლები და პერანგებიც შენთვისაა. ეს მამაშენისაა, ეს — შენი დის, — ეუბნება და ვხედავ, განუვლი მადლის სიხარულს აუტანია კაცი. მერე ცრემლს იმეღს და იქვე მდგარ მინისტრს, ქალბატონ ეთერის უბნება: — ნეტავი ჩამოგახდეთ, როგორ გამეხსნა გული, თითქოს დიდი სიმძიმე მოვიშორე მკერდიდან. ყველას ვა-

სა, ნინო — ცხრის. ორივენი, როგორც ობლები, წლებულ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სხვა ობოლ ბავშვებთან ერთად, საბერძნეთში, კუნძულ ზაკინთოსზე დაასვენა. მათი უფერული, უმიწოდო ყოფა უკვე კეთილი ადამიანის წყალობით უკეთესობისკენ იცვლება. მათ ისინი ამიერიდან განსაცდელში მართო აღარასოდეს მიატოვებენ!

მწარე შეიქმნა მათთვის წუთისოფელი, ამიტომაც სხვის უნდა გაპყვენ სინათლისაკენ. ისინი ახლა თბილისის 45-ე სკოლის მოსწავლეები არიან.

და კიდევ, ქალბატონ ეთერის ამ ოჯახის ბედზე მზრუნველი ადამიანები კვლავაც ურეკავენ. ერთერთი სამშენებლო ტრესტიდან თამაზ ნიკოლოზ შვილმა მამაკაცს სამსახური შესთავაზა... მამაკაც იმუშავებს, ნინო და აკაკი დაიზრდებიან. არასდროს დაავინწყდებათ კეთილი სტუმრები, რომელთა მატერიალური დახმარება მართლაც აუცილებელი იყო, მაგრამ ყველაზე მთავარი მათთვის მაინც სულიერი თანადგომაა.

ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანის სიცოცხლე. ყველამ სიკეთე უნდა ვაკეთოთ, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, — მხოლოდ ეს სიტყვები გვიტხრა თამაზ პატარაქემ, როცა ინტერვიუ ვთხოვეთ. ვინ იცის, ეს დღე იქნებ შემობრუნებად იქცეს სალუქვაძეების ცხოვრებაში. ღმერთმა მოუმართოთ ხელი ობლებს და არ დაელიოთ კეთილისმსურველი.

ვხედავდი, გამოცილებისას როგორ ხელგადახვეული მოჰყავდა ბატონ თამაზს პატარა აკაკი — თანამდებობის კაცს ცხოვრებისგან გამოორიული პატარა ქართველი ბიჭი...

საქართველოში ბევრია გაჭირვებული ოჯახი, რომელთაც დახმარება სჭირდებათ და რომლებიც უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე არიან. თქვენ მეტყვიეთ, ახლა ყველას უჭირსო. მაგრამ — მეტწილად აბა, გაიარეთ საღამოობით პრესტიჟული რესტორნების წინ და ნახავთ, რამდენი ძვირფასი მანქანა დგას, რომელიც პატრონებიც ათასობით ლარს ხარჯავენ ერთ ვაჭარში. ზოგისთვის კი მათი ერთი ქეფი ერთი წლის საარჩევნო საბადადებელს უდრის. მიმოვიხედოთ და გავუნოდოთ დახმარების ხელი განსაცდელში მყოფთ!

ლია ჭილაძე სურათზე: მამა გადარჩა! — საავადმყოფოდან გამოწერილი მამაკაც სალუქვაძე შვილებთან ერთად.

გაღლი

ზრუნვისა და თანადგომის ენაზე

დიდ ფრანგ მოაზროვნეს ფრანსუა დე ლაროფშუკოს „მაქსიმეში“ ერთი ასეთი აზრი აქვს გამოთქმული: „თითოეულ ჩვენგანს ეყოფა ძალა, რათა ახლობლის უბედურება გადაიტანოს“. სულაც არ ვპირებ ლაროფშუკოსთან კამათს, მაგრამ თეატრის დიდი რეჟისორის პიტერ ბრუკის გამონათქვამის პერიფრაზით, ჩვენ სამყაროში ვცხოვრობთ და თუკი ყველამ თავს ძალა არ დავატანეთ, პატარადან იგი ადვილად შეიძლება არარაობად იქცეს.

ყოველივე, რაც მოგახსენეთ, ცოტა ხნის წინათ თბილისის ალექსანდრე დიუმას ფრანგულ ცენტრში წამოტივტივდა მესხიერებაში, სადაც გამართულ კონფერენცია-შეხვედრაზე ჩვენმა ფრანგმა მეგობრებმა ძეგვის, კარსანისა და ბედიანის ბავშვთა ცენტრებში მიღებული გამოცდილება გაგვიზიარეს.

შეხვედრას, რომელსაც საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, ბავშვთა ცენტრების ალსაზრდელები და მათი აღმზრდელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები და მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ, უძღვევოდნენ „თავდადასავლების ევროპული გილდიის“ წარმომადგენელი საქართველოში ქალბატონი მილენ დიურუ და საქართველოს მხარის წარმომადგენელი ელისაბედ ჯიჯავაძე. დამსწრეთა გააცნეს კარსანის, ბედიანისა და ძეგვის ბავშვთა ცენტრების აღსაზრდელებთან ფრანგი მოხალისეების მუშაობის გამოცდილება. მასპინძლებმა სტუმრებს აჩვენეს რეჟისორ რუსუდან ჭყონიას მიერ გადაღებული 25-წუთიანი ფილმი, რომელშიც ბედიანის ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელთა ყოველდღიური ყოფა ასახულია. გარდა ამისა, წამოადგინეს რამდენიმე მცირე რონომეტრაჟიანი ვიდეოკლიპი, სადაც ძეგვისა და ბედიანში ბავშვთა ცხოვრების ერთი დღის შესახებაა მოთხრობილი — მისი ავტორები თბილისის მარი ბროსეს სახელობის სკოლის მოსწავლეები არიან. ნაჩვენები იყო ასევე ორი 3-3-წუთიანი კლიპი, რომელთა ავტორები თავად ბედიანის ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელები არიან.

დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა როგორც ქალბატონ მილენ დიურუს მიერ წარმოდგენილი რამდენიმე წლის მანძილზე ფრანგ მოხალისეთა მიერ საქართველოს სამ ბავშვთა ცენტრში დაგროვილი გამოცდილების ფოტოპრეზენტაციამ, ასევე ალექსანდრე დიუმას ცენტრის კვლევებზე გამოფენილი სახელდახელო მხატვრულმა გამოფენა-გაყიდვამ, რომლის ექსპონატთა ავტორები კარსანის, ბედიანისა და ძეგვის ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელები არიან. საგულისხმოა, რომ ალექსანდრე დიუმას ცენტრის დირექციის ინიციატივით გამოფენა-გაყიდვის ერთ-ერთი, კერძოდ, ხელნაკეთობათა სტენდი, მუდმივმოქმედი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსურველებს ახლაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიბრძანდნენ ცენტრში და შერჩეული ნამუშევარი შეიძინონ. ამ გზით მიღებული თანხები

კი ისევ ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელებს მოხმარდება. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი მოხალისე ახალგაზრდები ძეგვის ბავშვთა ცენტრში თავდაპირველად 1998 წელს ჩამოვიდნენ. ისინი სტუდენტები გახლდნენ, ხოლო მათი გზამკვლევი — ნახევრად ფრანგი, ამჟამად თბილისში მცხოვრები ქალბატონი ირენ გედევანიშვილი ბრძანდებოდა. ამ



შეხვედრის ბაზის დასაწყისში...

პირველი ჯგუფიდან 1999 წელს, საფრანგეთიდან ძეგვის ბავშვთა ცენტრში უკვე არა სტუმრად, არამედ მოხალისეებად სამი კაცი ჩამოვიდა...

ასე დაიწყო სოფლების: ძეგვისა და კარსანის (ორივე მცხეთის რაიონშია) და სოფელ ბედიანის (წალკა) ბავშვთა ცენტრების აღსაზრდელებისა და ფრანგი ვოლონტიორების მუდმივი კონტაქტები, რომლებიც, ძირითადად, ზაფხულის არდადეგების დროს ხორციელდებოდა ხოლმე (ამ კეთილშობილური მისიით საფრანგეთიდან დაახლოებით 30 ქალიშვილი და ჭაბუკი იყო ჩამოსული).

ფრანგი ახალგაზრდები სისტემატურად სტუმრობენ სამივე ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელებს, ცხოვრობენ მათ გვერდით, ერთად ატარებენ თავისუფალ დროს, თამაშობენ, ლაშქრობებში დადიან, საზაფხულო ბანაკებს აწყობენ...

ამ მხრივ წლებანდელი ზაფხული გამოჩენილი იყო — საზაფხულო ბანაკი პირველად მოეწყო, სადაც აღსაზრდელებს შეეძინა

ბითი და სპორტული თამაშები შესთავაზეს მათმა მეგობარმა ფრანგმა ახალგაზრდებმა. აღსანიშნავია, რომ სამივე საბავშვო ცენტრში ფრანგი ახალგაზრდები საფრანგეთის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „თავდადასავლების ევროპული გილდიის“ მეშვეობით ჩამოდიან, რომელიც მათ მხოლოდ კონტაქტების დამყარებასა და რეკომენდაციის განცხადებით ესმარება. მგზავრობის, ადგილზე ცხოვრებისა და კვების ხარჯებს თავად იღებენ.

ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას, რომ, როგორც თავად ფრანგები ამბობენ, ბავშვებთან ურთიერთობისას მათ ენის პრობლემა, ფაქტობრივად, არა აქვთ, ვინაიდან ზრუნვისა და თანადგომის ენა უნივერსალურია. — მაგალითად, როცა ბავშვებთან ურთიერთობისას ბანაკის

თბილისის ფოტოგრაფია



ფეხბურთის თამაშს ეხება, საკმარისია მათ ბურთი აჩვენო და ფეხი დაარტყა, რომ ყველასთვის გასაგებია, შენ მათ ფეხბურთის სათამაშოდ ენატიყები. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ როცა ფრანგი ახალგაზრდები საქართველოში მოდიან, ისინი, გარკვეულწილად, უკვე მომზადებული არიან და იცნან აქაური ვითარების შესახებ, კერძოდ, რომ ბავშვებთან ურთიერთობისას ენობრივი ბარიერი აუცილებლად იქნება და ურთიერთობა რაღაც სხვა მეთოდებით უნდა დამყარდეს.

მაშასადამე, ურთიერთობის პრობლემა მაინც არსებობს?

ჩემი აზრით, ენობრივზე მეტად მნიშვნელოვანია კულტურული ბარიერები, გარკვეული თავისებურებები, რომლებიც გაცილებით უფრო მეტად გვიშლის ხელს ურთიერთობის დამყარებაში.

იყო შემთხვევები, როცა ფრანგმა მოხალისეებმა რუსული ენა იცოდნენ და მაშინ ბავშვებთან ურთიერთობა გაცილებით უფრო ადვილი იყო. პირადად მე კი დავაკვირდი, რომ, როცა მოხალისეებმა და ბავშვებმა საერთო სალაპარაკო ენა არ იცოდნენ, მათი ურთიერთობა გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ვინაიდან ეს უფრო მეტად აფიქრებდა მოხალისეებს და მეტის სწავლის, მეტი ექსპერიმენტის სურვილს უღვივებდა. მერწმუნეთ, გაცილებით უფრო მეტი დატვირთვით ვმუშაობთ მაშინ, როცა ბავშვებთან საურთიერთობოდ მხოლოდ რამდენიმე ნაწილი სიტყვა გვაქვს, ასეთ დროს ორმხრივი კონტაქტები, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გაცილებით უფრო ადამიანურია, რაც, თავისთავად დიდად ამდიდრებს თავად ვოლონტიორებს, რომლებიც თითქოსდა ხელახლა პოულობენ გარკვეულწილად მივიწყებულ ფასეულობებს.

ანუ მოხალისეებისა და ბავშვების ურთიერთობა ორივე მხარისთვის ერთგვარად შემეცნებითი პროცესია: სწავლობენ როგორც ერთი, ასევე მეორე. თქვენი აზრი სწორად გავიგე?

— მოხალისეთა სწავლა არ გავლავთ აღნიშნული პროგრამის მიზანი, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, მოხალისეები სწორად უფრო მეტს სწავლობენ, ვიდრე ბავშვები.

გოლოთმის მამიკრად: მაშ ასე, ფრანგი მოხალისეები ყოველწლიურად ჩამოდიან საქართველოში და ბავშვთა ცენტრების აღსაზრდელებთან ზაფხულის უმეტეს ნაწილს ატარებენ. დიდი მადლობა მათ ამისთვის, რადგან ისინი დიდად კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ — მათ გზა გაყავთ მოზარდების მშობლიური სიტოთი არცთუ განუხივრებული გულბისკენ. არადა, როგორც ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში ამბობდნენ, გზებს ყოველთვის მათთან მივყავართ, ვინც ისინი გაიყვანაო.

ოთარ ტურაბაიძე

ინფორმაცია

საქართველოში

დღიდან გაიძლიან

სინოპტიკოსები 22 ოქტომბრიდან საქართველოში გამოდარებას ვარაუდობენ.
როგორც მედიანიუსის შიდარედაქციის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების სინოპტიკოსმა მზია მამარდაშვილმა განუცხადა, 22 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მსგავსი ამინდი შენარჩუნდება. 22 ოქტომბრის საქართველოში დღის ტემპერატურა უკვე 15 გრადუსს მიაღწევს. 23 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე დღის საშუალო ტემპერატურა 20 გრადუსამდე მოიმატებს. თუმცა, ღამის ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც, კერძოდ, შიდა ქართლში, უკვე 0 გრადუსის დაბლა დაინევს. 22-23 ოქტომბერს ღამით აქ — 2 გრადუსია ნავარაუდები.

საზოგადოებრივი

გაქრობა უფლა

საქართველოს საფრანგო ბირჟაზე 89 743 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც „მედიანიუსის“ საქართველოს საფრანგო ბირჟაზე განუცხადეს, საჯაროდ წარდგენილი კომპანიების აქციებიდან გაიყიდა „საქართველოს ბანკის“, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ბიზნეს-ცენტრის, „საქქალაქმშენ-პროექტის“, „საქტრანსპორტპროექტის“, მწვანე ოფისის, „თბილელექტროაპარატის“ და „ტრაქტორის“ აქციებზე დაიდო. გარიგების ჯამურმა მოცულობამ 21 ათას 500 ფასიანი ქაღალდი, საერთო ღირებულებამ კი 89 ათას 743 ლარი შეადგინა.

„სამხრეთ ოსეთი“

ელემენტარული


ბარშა დაჩხინი

„სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებული რესპუბლიკა უკვე მეოთხე დღეა ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ელექტროენერგის გათიშვის მიზეზად მალაღი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე მომხდარი ავარია სახელდება. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება, რომ ავარიის მიზეზი გადაუღებელი წვიმები გახდა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრმა ბორის გაგლოევმა განაცხადა, რომ ამჟამად „სამხრეთ ოსეთის“ ენერგეტიკოსები დაზიანებულ ადგილებს არემონტებენ. სარემონტო სამუშაოები სოფელ ჯომანის მახლობლად მიმდინარეობს.

გეორგიანი



ქალბატონი მილენ დიურუ



BONJOUR!

თბილისური ეპიზოდი

„იყიდე, იყიდე ჩქარა, თოხე“ ...

შეიძინეთ თქვენი ოცნებები, ცხოვრების ნარჩენები თბილისის კველანების ბაზრობაზე

თბილისური სვავი იდგა. ქუჩაში სიარული შეუძლებელი იყო — ლამის ადუღებულ ასფალტში ფეხი თითქოს იფლობოდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ახლად შეკეთებული, ბაზრობით განთქმული „მშრალი ხიდი“... მწველი მზის გამო გუდრონიდან აორთქლებულ ცხელ ჰაერს ხარბად ისუნთქვენ თორმეტი წლის მანძილზე დედაქალაქს შესისხლსორცებული „მშრალი ხიდის“ მოვაჭრენი, მყიდველები და დამთვალეირებლები. საოცარია — ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით გამსჭვალულ ადამიანთა ამ მუდმივ ჯაჭვზე ამინდის ცვალებადობა, კარგა ხანია, აღარ მოქმედებს. მიზეზი მარტივია — თბილისი „ქველმანთა ბაზრობის“ გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია.

და არა მარტო თბილისი, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ქალაქები თუ დედაქალაქებიც. პარიზის პიუსსა და ვანვში, რომის პორტა პორტენში, ლონდონის კემდენ-თაუნსა და პორტობლოში, ანკარის კაპალის-ჩარ-შში, სტამბოლის ჩიკრიკ-ჩილარში, არგენტინაში ბუენოს-აირესის სან-ტელმოში, მოსკოვის იზმაილოვის ვერნისაჟსა და მარკის პლატფორ-მაზეც წლის ნებისმიერ დროსა და ამინდში მოაკრავთ თვალს ხელოვანთა, პოლიტიკოსთა, ინტელექტუალებთა თუ სხვათა ცნობილ სახეებს.



ასეთი ბაზრობები, რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, საზოგადოების უსაყვარლეს ადგილებად ითვლება და ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა ამა თუ იმ ქალაქის ღირსშესანიშნაობად, ან უბრალოდ, მუზეუმად მიიჩნევენ. ადამიანები კილომეტრებზე გადაჭიმულ მოვაჭრეთა დახლებს შორის ენერგიულად ეძებენ ნივთებს, რომლებიც არასდროს ყოფილა მათი, მაგრამ ახალ პატრონს სიამოვნების მოსაგვრელად ეღიან. ან, ვინ იცის, ამ ძიებაში ისეთ საგანსაც წააწყდნენ, ბავშვობას, პირად თუ ოჯახურ ცხოვრებას რომ მოაგონებენ.

თუნდაც ისეთს, თბილისში, „მშრალ ხიდზე“ ჩემი პანტილეი-მონ ბაბუას უსაყვარლესი, დაბალ ფეხზე შემდგარი გვერდებამოთლილი არყის სირჩა რომ ვიცავნი. თვალის ნაცნობ ნივთზე შევაჩერე, თორემ აქ ცაცვეთილი და გამოყენებული ქაჩიკიდან დანყე-



ლი ალბომები, საეკლესიო „კუთხე“ ძველი (?) და ახალი ხატები, მეფის რუსეთისა და საბჭოური ფული, ქუდები, ყავადანები... შეუძლებელია ამ ნივთებში დიასახლისმა ამაღლია ტიმოსიანის მიერ შეკერილ, 4 ლარად ღირებულ ჩაის ტილოებსა და ხელსაწმენდებს გულგრილად ჩაუაროს. იგი ხუთი წელია დარწმუნებულია — ამ ბაზრობაზე ყველაზე სარფიანი მისი ბიზნესია. საქმეს არც საბჭოური საათების გამყიდველი, თვითნასწავლი მხატვარ-კერამიკოსი თამაზ ბათირიშვილი უჩივის. გასაუბრებისას მითხრა — დროის გაგება ყველას სჭირდება, სამსახურის მქონესაც და უმუშევარსაც: სტუდენტს, მოსწავლეს, ახალგაზრდას, დიასახლისსაც და მოხუცს. კლიენტურა ჭრელია — მათამ საათების ფასი კარგად იციან. უკმაყოფილონიც არ არიან. მე ხომ 8-20 ლარამდე ვყიდი ცნობილი

მასთან გამოლაპარაკებამ ატმოსფერო დაძაბა. ვიგრძენი, ეს უკვე სკანდალის დასაწყისი იყო. „გამყიდველებმა“ დათვალეირება აღარ მაცალეს, წრეში მომაქციეს და ქართულ სახელმწიფოსთან ერთად ჩემდამი დამოკიდებულეზაც „ნათლად“ გამოხატეს. ის კი არადა, სომხების რძალმა, რუსეთიდან 1951 წელს გამოთხოვილმა ნადეჟდა ემილიანეს ასულმა ეგნატუ შკინა-არუთინოვისამ ჩხუბითა და ყვირით მომთხოვა — პრეზიდენტს გადაეცი, რომ ქართულმა სახელმწიფომ 40 წლის ნაშრომ-ნაამაგარი ნამართვა და მარტო პენსიაზე დამტოვა. ახლა დრო დადგა, ან მთლიანად ამინაზღაუროს რაც ბანკში მქონდა შეტანილი, ან ნახევარი მაინც, თორემ ბაზრობაზე გამოტანილ ნივთებზე ფასებს ჩვენც გავზრდით.

რას იზამ, კავკასიური დამთმობი და სტუმართმოყვარე ხასიათიდან გამომდინარე ასე მწარედ მაინც დამაინც საქართველოში, კერძოდ, თბილისში რომ იგრძნობა, მთავრობაზე გაბრაზებული „მშრალი ხიდის“ მრავალეროვანი მოვაჭრენიც კი თავისუფლად მიუქვებიან!..

აღსვლიანი არუთინოვა განონასწორებულმა N ქალბატონმა დანყნარა. იგი, 43 წლის სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლებული, მისი მეზობელი ივეტა ლოლაშვილის მსგავსად „ხელის გაფუჭება“ უჩივის. — რაც ქვემოდან ზევით ამოვიწვევლეთ „ხალხი დაიკარგა“ და ულუკმაპუროდ დაგრჩით. თანაც მთელმა ქალაქმა გასაყიდი გაყი-



და და ჩვენ უკვე ვის რაში ვჭირდებით?! თუ რამეს მოგვიტანდნენ, თორემ აბა შინ მე რა უნდა მქონდა. ქალბატონების მიერ მითითებული ადგილი ხიდის ქვემოთ მიმდებარე ტერიტორიაა. სხვათა შორის ბაზრობა ქალაქის ხელმძღვანელობამ ინტელიგენციისა და მოსახლეობის თხოვნითა თუ მოთხოვნით არ გააუქმა, რითაც მსოფლიოში აპრობირებულ „ქველმანთა ბაზრობას“ „მშრალი ხიდიც“ მიუერთა. აქაც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ბაზრობისთვის შედარებით კეთილმოწყობილ მონაკვეთზე უსახსრობის გამო სოციალურად დაუცველმა ფენამ (იგი ბაზრობის რიგის ძირითადი შემადგენლობაა) ყოველდღიური ვაჭრობისთვის დამკვიდრებული თანხის გადახდა ვერ შეძლო, რისთვისაც კვლავ ხიდი და „ლია ქუჩა“ ამჯობინა. თუმცა პრინცი-

პი — რაში გაინტერესებს ვინ ვარ, თუ მოგწონს და საშუალება გაქვს იყიდე და წადი, თუ არადა, გაიარე — მუდმივ მოქმედებაშია.

არადა აქ, ბევრი ისეთი ადამიანი „მუშაობს“, ვისაც ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრებაში თავისი წვლილი შეჰქონდა. ვთქვათ, მეცნიერები, ლიტერატორები, სხვადასხვა დარგის ინჟინერები... მათი ლმობიერება, სითბო და გულისხმიერება ხელს უმართავს მყიდველის „თვალხილულ“ ჯიბეს.

ჩემი დოცენტი მეგობარი აქ მუშაობს და ვიფიქრე — დაბადების დღისთვის მისართმევ საჩუქარს იაფად შემაძინებლ-თქო. ცუდი არ უნდა იყოს, ოჯახის შემოსავალს აქედან კაპიკი შეჰმატო და რადგან თბილისის უფლება აქვს კვირას „რუსთაველი“ სასიყვროდ გადაკეტოს, „მშრალი ხიდი“ შაბათ-კვირას „დაუცველთ“ უნდა დაეთმოს. მართალია ეს ასეც არის, მაგრამ ვფიქრობ, იგი უფრო მასშტაბური უნდა გახდეს. — ბრძანა ინკოგნიტო ინჟინერმა ქალბატონმა.

ნამდვილად უნდა გაფართოვდეს მოვაჭრეთა დახლები, — ამბობს რადიოინჟინერი ბორის ჟ. — წლების წინ აქ „დიდ მაგიდაზე“ ყველაფერს ამოირჩევდი, დღეს კი როცა ოჯახებში „საჭირო“ ნაწილები აღარ არის, დაპატარავებული დახლებიც ნერვებ-მომშლელია.

მსგავსი საუბრები ბევრჯერ მოუსმენიათ ანგელინა გურაბა-ნიძესა და მერი ცხოვრებოვას ცნობილი ადამიანებისგან, მსახიობებისგან, პოლიტიკოსებისგან, სხვა ნაცნობი სახეებისგან. „მშრალ ხიდზე“ ყველამ კარგად იცის დღეს ფული ვის ხელშია, როგორ და რაში ხარჯავენ. ბიზნესმენებს უწონებენ კიდევ ფულის ყაირათის ცოდნასა და ხელმომჭირნეობას.

ამ გამოგონილმა სამსახურმა თვალის გამოუწილო და ხასიათის დაჭერის ხელოვნება შეასწავლა საუკეთესო ვერცხლის და ბროლის ნაკეთობების გამყიდველ ჩვენს ნაცნობ, ზემოთ ხსენებულ ქალბატონებს. ამიტომაც იყო განსაკუთრებულად რომ მიმანიშნეს უსათნოეს მანდილოსანზე ძველებური „სამოვრით“ ხელში.

ცხოვრებამ მოიტანა და კერძო ბინიდან პატარა ფართში გადავედი. სოხუმელი ლტოლვილები ვართ. იქ მართლა ვცხოვრობდით, აქ... ყველაფერი შეიცვალა. როცა ამ ჯოჯოხეთს გავეცვლეთ, ახალგაზრდებს ტრადიციული და რელიკვიური ნივთები ალბათ აღარ დასჭირდებათ. სჯობს, მე თვითონ გამოვემშვიდობო ჩემი ოჯახისა და წინაპრების წარსულს და ამით ვისარგებლო კიდევ. ცხოვრების სტილი შეიცვალა. ადრე ინჟინერი გახლდით, ახლა არავინ და არაფერი ვარ, ქალბატონო!!! — ბრძანა მანდილოსანმა და გზა განაგრძო.

მწელია მასალის დასკვნით ნაწილში ამის შემდეგ რაიმე განსაკუთრებული თქვა. პირიქით — დაუმარე და გულისტკივილით ჩაუვლი ჯერ კიდევ საჭირო და თითოეული ჩვენგანისათვის მოსაფერებელ ნაცნობ ნივთებს, ყველაფრის მიუხედავად ასე თვალით რომ მაინც ვკვირვებინებ ცხოვრებას.

იან კალანდარიშვილი
ბიჭი ჯოჯოხეთის ფოტო.

ინფორმაცია

თბილისის აეროპორტს ახალი მმართველი ჰქვამს

ბუშინ თბილისის აეროპორტი თურქულ კომპანია „ტავი და ურბანს“ მართვის უფლებით გადაეცა.

თურქული კომპანია თბილისის აეროპორტს 15 წელი და 6 თვე უხელმძღვანელებს.

როგორც „მედიანიუსს“ ეკონომიკის სამინისტროში განუცხადეს, თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას „ტავი და ურბანი“ ნოემბრიდან დაიწყებს. ამისათვის კომპანია საკუთარი სახსრებიდან 62 მილიონი დოლარის ინვესტიციას გაიღებს.

თბილისის აეროპორტის მშენებლობის პარალელურად, განხორციელდება ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია, რაც დამატებით 15 მილიონ დოლარს საჭიროებს. გარდა ამისა, ქართული მხარისთვის უფლებას, რომ თბილისის აეროპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დასაწინაგად დამატებით 18 მილიონ დოლარის ინვესტიცია მოითხოვოს. საერთო ჯამში, „ტავისა“ და „ურბანის“ ერთობლივი კომპანია 95 მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს და მშენებლობას 2006 წლის ნოემბერში დაასრულებს.

უსაზროვნობა რუსმა

საფუძვლიანობა უნდა იზრუნოს

დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების პრესამსახურის უფროსი ლევონ არზანოვი აცხადებს, რომ საქართველო-რუსეთს შორის გამჭოლი რკინიგზის ფსოუ-ენგურის მონაკვეთზე რუსი, აფხაზი და ქართველი ექსპერტების მუშაობის უსაფრთხოებას სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ.

როგორც ცნობილია, ექსპერტთა სამმხრივმა ჯგუფმა რკინიგზის ინფრასტრუქტურის შესწავლა რამდენიმე დღის წინადაიწყო. ჯგუფი ერთი კვირის ვადაში რკინიგზის სარეაბილიტაციო თანხების ოდენობას დაადგენს.

ლევონ არზანოვი აცხადებს, რომ ექსპერტებმა უკვე შეამოწმეს ოჩამჩირე-ენგურის საარკინიგზო მონაკვეთი.

ქართული სკოლების საქმე როგორია?

2006 წლის 1 სექტემბრიდან ახალციხის რაიონში რიგით მეორე სომხურენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ამოქმედდება. რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის ლეონიდ ქოქოიანის ინიციატივით, ახალციხის რაიონის სოფელ სხვილისში ახალი სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. „რეგიონის ადმინისტრაცია ყველანაირად გვერდში დავუდგებით ამ სკოლის მშენებლობას. საერთოდაც, რაც უფრო მეტი რამ აშენდება, ეს რეგიონისთვის კარგის მომტანი იქნება. ეს უკვე მეორე სომხურენოვანი სკოლაა და ვიმედოვნებ, რომ ეს ტენდენცია გარძელებს“, — განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გოგა ხაჩიძემ.

მედიანიუსი



მიწისქვრა თურქეთში

სტამბოლის სეისმოლოგიური ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზუთშაბათს ღამით ეგეოსის ზღვაში, თურქეთის ქალაქ იზმირიდან დაახლოებით 50 კილომეტრზე მოხდა რიხტერის სკალით 5,9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა.

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, დაიღუპა ერთი და

დაშავდა 15 კაცი. მიწისძვრას სერიოზული მატერიალური ზარალი არ გამოუწვევია.

ძლიერი მიწისძვრები თურქეთისთვის იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგალითად, 1999 წელს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოხდა ორი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 18 ათასზე მეტი კაცი და დაინგრა ასი ათასობით სახლი.

საეცნალო ცენტრი იქმნება



ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მიიღებს მკაცრ ზომებს, რათა არ დაუშვას და ყოველმხრივ აღკვეთის თაღლითობა ქარიშხლების „კატრინას“ და „რიტას“ შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების განაწილების საქმეში.

„თაღლითები დაუსჯელები არ დარჩებიან“, — განაცხადა შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ალბერტო გონსალესმა.

მა. მისი თქმით, იქმნება საეცნალო ცენტრი ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ცენტრში გაერთიანდებიან გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, საგანგებო სამსახურების თანამშრომლები და სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ წინააღმდეგ გამოიქვეყნა მზადყოფნა, გამოეყო დაახლოებით 200 მილიარდი დოლარი დაზარალებულთა დახმარების განევისა და დაზარეული ობიექტების აღდგენის მიზნით.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ სასამართლოებმა უკვე ნაუწყეს ბრალდებები 40-ზე მეტ პირს, რომლებსაც ბრალად ედებათ დახმარებისთვის გამოყოფილი სახსრების უკანონოდ დაუფლების მცდელობა.

სირია გაეროს მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დასკვნებს უარყოფს

სირიის ხელისუფალთა განცხადებით, გაეროს გამოკვლევის შედეგები, რომლებშიც საზგასმულია, რომ ოფიციალურად დამსკო მონაწილეობდა ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობაში, მცდარი და პოლიტიკურად მოტივირებულია.

„ჩემი აზრით, მოხსენება შორს დგას პროფესიონალიზმისგან და იგი ვერ მიგვიყვანს ჭეშმარიტებად“, — განაცხადა ტელეარხ „ალჯაზირასთვის“ მიცემულ ინტერვიუში სირიის ინფორმაციის მინისტრმა მეჰდი დაქალაქმა.

ანგარიში გაეროს გამოძიების შედეგების შესახებ, რომელიც დაინყო ჰარირის მკვლელობის შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოში ხუთშაბათს საღამოს წარმოადგინეს. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, არსებობს იმის ნიშნები, რომ ამ მკვლელობაში მონაწილეობდნენ მეზობელი სირიის ოფიციალური პირები.

გერმანელმა მოსამართლემ დეტლევ მესლისმა და მისმა კოლეგებმა იმოვეს იმის მტკიცებულებანი, რომ „ამ ტერორისტული აქტი ორგანი-

ზება-განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც ლიბანელები, ისე სირიელები“. აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა ჰარირი, საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და ეს აქცია რამდენიმე თვის განმავლობაში იგეგმებოდა, საზგასმულია ანგარიშში.

გამომძიებელთა აზრით, „შეუძლებელია, რომ ეს მომხდარიყო სირიის უშიშროების ძალების მალა-ლი თანამდებობის წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც მათ კოლეგებთან — ლიბანის უშიშროების სამსახურებთან შეუთანხმებლად“. „მრავალსაზიარებელია პირდაპირ გავყავართ სირიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ მკვლელობაში“, — აღნიშნავენ გამომძიებლები.

სირიას დე-ფაქტო მართავდა ლიბანს მანამ, სანამ ამ ქვეყნიდან გაიყვანა თავისი ჯარები მიმდინარე წლის გაზაფხულზე, მაგრამ სირიის წარმომადგენლები მაინც უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას ჰარირის მკვლელობაში, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს ლიბანის სრულ სუვერენიტეტს.

იაპონია დაზვერვის ახალ სამსახურს შექმნის

იაპონიამ შეიძლება შექმნას საგარეო დაზვერვის ისეთი სამსახური, რომელიც გამოიყენებს აგენტურას საზღვარგარეთის ქვეყნებში, იტყობინებოდა „კიოდოს“ სააგენტო, რომელიც იმონებდა საგარეო საქმეთა მინისტრის ნობუტაკი მატსუმურას უწყების საექსპერტო კომისიის წყაროს.

სააგენტოს მონაცემებით, ინფორ-

მაციის უფრო ეფექტიანი შეგროვების საჭიროების იდეა გამოითქვა სამთავრობო დონეზე მიმდინარე წლის სექტემბერში. ამის მიზეზი იყო ის, რომ როგორც იდების ავტორებს მიაჩნიათ, „იაპონიას ყოველთვის როდი აქვს ისეთი ოპერატიული და უტყუარი მონაცემები, რომლებიც შეესაბამება მის ამჟამინდელ საერთაშორისო დიპლომატიას“.

სადღესოდ „იაპონია მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არა აქვს საეცნალო ორგანიზაცია, რომელიც მკვრებს და გაანალიზებს საზღვარგარეთ მოპოვებულ ინფორმაციას, საზგასმულია კომისიის ანგარიშში. კომისიის შემადგენლობაში შედის ხუთი წევრი, რომლებსაც ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტთან არსებული საინფორმაციო კვლევის განყოფილების ყოფილი მეთაური იოსიო ომორი.



მოკლედ



სომხლის ნაპირებთან მეკობრეებმა დაატყვევეს 22 უკრაინელი. თბომავალს გადააქონდა ქვანახშირი სამხრეთ აფრიკიდან თურქეთში. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და გემის მფლობელმა დაამყარეს კავშირი ეკიპაჟის კაპიტანთან. მეკობრეების თავდასხმა სავაჭრო გემებზე სულ უფრო გახშირდა სომხლის ნაპირებთან. აზიის საზღვაო წყლებში მეკობრეობის შედეგად მიყენებული ზარალი ყოველწლიურად 25 მილიარდ დოლარს აღწევს.



დიდ ბრიტანეთში მიაგნეს მკერდის კიბოს მკურნალობის საშუალებას. ბრიტანელი ექიმების მტკიცებით, Herceptin პრეპარატი მოახდენს ნამდვილ რევოლუციას ამ დაავადების მკურნალობაში და გადააჩენს 1,5 ათას კაცს ყოველწლიურად ბრიტანეთში, მთელ მსოფლიოში კი — ათი ათასობით ადამიანს. პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი მოითხოვს, რომ ეს სამკურნალო საშუალება უახლოეს ხანებში ხელმისაწვდომი გახდეს ბრიტანელთათვის.



„ვილბამ“ შეიძლება დაუნგრის ვილები შარაპოვას და კურნიკოვას. ქარიშხალი მექსიკას უტყვევს. იგი უახლოვდება პოპულარულ კურორტებს, სადაც უკვე დაიწყო არნახული კოკისპირული წვიმები. კუბაში უბედურების ზონიდან სასწრაფოდ გახიზნეს 220 ათასი კაცი.



პროკურორ სვიატოსლავ პისკუნის მტკიცებით, იგი თანამდებობიდან დაითხოვეს უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ცოლის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების გამო. გავრცელებული ხმების თანახმად, პრეზიდენტის მეუღლემ შეერთებული შტატებიდან ჩართული რეისით ჩამოიყვანა თავისი ნათესავები მიმდინარე წლის დამდეგს იუშჩენკოს ინაუგურაციაზე დასასწრებად. როგორც პისკუნი აცხადებს, ყოველივე ეს დაჯდა 155 ათასი დოლარი, და იგი ცდილობდა გაერკვია, თუ საიდან იშოვა პრეზიდენტის მეუღლემ ასეთი ფული.

ნოვებლი — 2005

ორი ამერიკელისა და ერთი ფრანგის ტრიო

ნობელისპირი ქიმიკოსისთვის იოლი იყო ერთი ლაურეატის გამოცნობა — მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) 60 წლის პროფესორს რომბარტ ბრაბსს ხომ ეგრეთ წოდებული ციტირების ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს.

ის ჯილდოს მიიღებს კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) 63 წლის პროფესორთან, რიჩარდ შროკთან და 74 წლის ივ შოვენთან (საფრანგეთის ნავთობის ინსტიტუ-

ტი) ერთად. ნობელის კომიტეტის ფორმულირებით, მეცნიერებს პრემია მიეკუთვნათ „ორგანულ სინთეზში მეტათენისის (გაცვლის) მეთოდის განვითარებისათვის“. გავრცელებულ ანონსში ლაპარაკია დიდ ნაბიჯზე „მწვანე ქიმიისაკენ“, ანუ სახიფათო ნარჩენების რაოდენობის შემცირებისაკენ.

პრემიის დამსახურებულ აღმოჩენათა არის შემდეგია: ყველა ცოცხალი ორგანიზმი ორგანული მოლეკულებისგან შედგება. ყველა ორგანულ მოლეკულას

აქვს ნახშირბადის ატომთა იმ ძეგვებისგან შემდგარი ჩონჩხი, რომლებზეც სხვა მოლეკულათა სიმრავლე ჰქვია — ისე როგორც ადამიანის ჩონჩხზე მაგრდება კუნთები...

ქიმიური მრეწველობა ორგანულ ნივთიერებებს აწარმოებს — პოლიმერებს, მაგალითად. მეტათენისის საჭირო დანამატებით ნახშირბადული ძეგვის ალქურვის ხერხია... ასეთი რეაქციის ასა-მოქმედებლად საჭიროა კატალიზატორი.

ახლანდელი პრემია სწორედ

ამისათვის გაიცა: ივ შოვენმა თეორია 1970-იან წლებში შეიმუშავა, რიჩარდ შროკმა 1990-ში პირველი კატალიზატორი მოიფიქრა, — მოლიბდენის შემცველი რთული მოლეკულა, რომელიც გრობსმა კი ორი წლის შემდეგ ნებისმიერ გარემოში (წყალში, გამხსნელებში და სხვ.) მომუშავე კატალიზატორი მოიფიქრა.

1999-ში იმავე გრობსმა მრეწველობაში გამოსადეგი მეორე თაობის კატალიზატორები შექმნა.


ნობელური საზომებით ეს აღმოჩენა სულ ახალგაზრდაა, ამიტომაც მას ყველაფერი წინა აქვს. ვარაუდობენ, რომ მთელი ქიმიური წარმოებები გადავლენ ახალი მეთოდით მუშაობაზე.

პარსკაპტივები:


1. ნებისმიერი მოცემული თვისებების მქონე პოლიმერები.
2. ნატურალური ქსოვილების ანალოგიური სინთეტიკა.
3. ახალი ნამლები C ჰეპატიციების, ართრიტის, შიდსის სამკურნალოდ.
4. სათბობის ახალი სახეები.
5. ეკოლოგიურად სუფთა ქიმიური წარმოებები.



რომბარტ ბრაბსი



რიჩარდ შროკი



ივ შოვენი

სააკაშვილმა კვლავ დააღწია ქალი

ქალბავში მიხეილ სააკაშვილს არ უმართლებს. საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა პრეზიდენტის სასამსახურო რომანებთან აგორებული სკანდალი. ერთ-ერთი ასეთი რომანი სააკაშვილის პრესმდივნისთვის გასულ ზაფხულს აბორტივად კი დასრულდა.

ვლადიმერ პორსოპინი, „კომსომოლსკაია პრავდა“, 21 ოქტომბერი.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

სპიკერის მხრიდან არაერთი ხრიკის შემდეგ, მინისტრმა ველარ მოთოვა ნერვები და საჯაროდ სთხოვა სააკაშვილს, ბოლოს და ბოლოს, გამოეჩინა ვაჟკაცობა — დაეშალა ეს უვარგისი პარლამენტი. მიხეილი 20 წუთს ფიქრობდა და, ბოლოს, თვით მომჩივანი დაითხოვა. თუმცა, საკითხავია, ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება. ქართველი კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც ხელფასებს დასაველეთის ფონდებისგან იღებენ (მათ შორის, სოროსის ფონდიდანაც), ქართველ მინისტრს თვეში 15 ათას ევროს უხდიდა საფრანგეთი. იქნებ, აიძულონ კიდევ ფრანგებმა სააკაშვილი, რომ დააბრუნოს სალომე თავის პოსტზე? ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ სპონსორები არიან...

პოლიტიკური კოტეჯი

საპარლამენტო უმრავლესობის ზემოქმედებით, აგრეთვე, პარლამენტის სპიკერთან ნინო ბურჯანაძესთან და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბიშვილმა თანამდებობიდან გადააყენების შესახებ. ის, თუ რატომ იყო პარლამენტი უკმაყოფილო საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის მუშაობით, ნინო ბურჯანაძემ საკმაოდ ბუნდოვნად განმარტა, ხაზი გაუსვა მხოლოდ იმას, რომ მინისტრი სრულად იგნორირებდა იმ კურსს, რომლის განსახორციელებლადაც საჭიროა ერთობლივი მუშაობა. ბურჯანაძის თქმით, საქართველოს წარმატე-

ალბერტ ირემიანი, „გაზეთა“ (რუსეთი).

ТАБЕТА

ლიდერმა დავით გამყრელიძემ მომხდარ ამბავს უნოდა პრეზიდენტის ხელდასხმით და ნებართვით მომზადებული სექტაკლი. „ალბათ, სააკაშვილს შეეშინდა იმის, რომ ზურაბიშვილი საკმაოდ პოპულარული გახდა. ამ ადამიანის მიმართ მოსახლეობას არ ჰქონდა ისეთი ნეგატიური რეაქცია, როგორც აქვს თვით პრეზიდენტისა და სხვა მინისტრების მიმართ“, — განაცხადა მან.

მინისტრის პორტფელის დეკარგვასთან დაკავშირებით თვით სალომე ზურაბიშვილის რეაქცია სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. „მე საქართველოში ჯერ კიდევ მაქვს გასაკეთებელი მნიშვნელოვანი საქმეები და არ მსურს ამ გზიდან გადავუხვიო“, — თქვა მან „რუსთავი-2“-ს ტელეკომპანიის ეთერში გამოსვლისას და მოუწოდა თავის მომხრეებს, მომდევნო დღეს შეკრებილიყვნენ თბილისის იპოდრომზე, სადაც გაიმართებოდა საპროტესტო მიტინგი. გარდა ამისა, დაადასაშაულა რა ხელისუფლება ტოტალიტარიზმში, ან უკვე ყოფილმა მინისტრმა მოითხოვა რიგგარეშე პარლამენტის არჩევნების გამართვა, რომლებიც, მისი თქმით, საჭიროა ქვეყნის გადასარჩენად.



ბულ საგარეო-პოლიტიკურ კურსში საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე პრეზიდენტის და პარლამენტის დახმარებით. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას და 20 ოქტომბერს ხელი მოაწერა შესაბამისი განკარგულებას. ვაკანტური ადგილი იმავე დღეს დაიკავა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობა მიესალმა მთავრობის გადაწყვეტილებას, რასაც ვერ ვიტყვი საქართველოს ოპოზიციას, რომლის რეაქციაც აბსოლუტურად სანინააღმდეგო იყო. ბურჯანაძე-ნოლაიდელის მოლაპარაკების დასრულებისთანავე, რომელზეც, ფაქტობრივად, გადანიშნა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება, „მე-მარჯვენე ოპოზიციის“ ფრაქციის

საპროტესტო აქციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 10 ათასმა კაცმა, ძირითადად — ოპოზიციის წარმომადგენლებმა, და, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ იგი მათ მხარეს გადადის, ტაშის გრიალით შეხვდნენ. ამასთან, ქალბატონმა ქალის გადმოყვანის ხელისუფლების ძალის გამოყენებით დაამხობეს გზა და აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ არჩევნების შედეგად უნდა მოხდეს.

საპარლამენტო ფრაქციის „მე-მარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ დადებითი შეფასება მისცა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გადასვლას ოპოზიციის მიმართ, მისი თქმით, ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი იმაზე, რომ სალომე ზურაბიშვილი მოძრაობის ლიდერი გახდება.

სალომე ზურაბიშვილს სპეციალური მისიონარი

მიხეილ ვიზნასკი, „ნაზავისნიანია გაზეთა“, 21 ოქტომბერი.

НЕЗАВИСИМАЯ ПРАВДА



სალომე ზურაბიშვილი მსხვერპლად შეწირეს კრემლს — ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმიტომ, რომ საქართველოში ამ ბოლო ხანებში მიმდინარე ყველა პროცესი მოსკოვიდან იმართებულია“, — ამტკიცებს „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერი, დეპუტატი დავით გამყრელიძე. მისი აზრით, ქვეყნის „საგარეო-პოლიტიკური კურსი ამ ბოლო ხანებში მკვეთრად შეიცვალა დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ“. მაგრამ დეპუტატმა გიგა ბოკერიამ, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „ზურაბიშვილს, უბრალოდ, ეშინოდა თანამდებობის დაკარგვის. ამ შიშმა იგი ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მასზე ახლა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა უნდა იზრუნოს“, — დასძინა ბოკერიამ.

სერბი პარკელონი: ზურაბიშვილს გააღებოდა აქ მოახდინს გაკლანს საქართველოს საგარეო პოლიტიკა

ანდრეი მალიშკინი, „რია ნოვოსტის“ საინფორმაციო სააგენტო.

RUSSIAN NEWS & INFORMATION AGENCY NOVOSTI

საბარემო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გადადგომის შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, ასეთი მოსაზრება გამოთქვა „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ეროვნებათმშორისი ურთიერთობის პრობლემათა განყოფილების გამგემ სერგეი მარკედონოვმა.

„პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრატეგიულ კურსად დაისახა საქართველოს მიწების შეგროვება და ამ გზის იგი, ალბათ, არ გადაუხვევს. ამასთან დაკავშირებით, საშინაო პოლიტიკის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველა საკითხი მეორე პლანზე გადადის, მთავარია ტერიტორიული მთლიანობა“, — მიაჩნია პოლიტოლოგს.

მარკედონოვის თქმით, „ჯერჯერობით მთლად გაკვეთილი არ არის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების ყვე-

სალომე ზურაბიშვილს სპეციალური მისიონარი

მიხეილ ვიზნასკი, „ნაზავისნიანია გაზეთა“, 21 ოქტომბერი.

НЕЗАВИСИМАЯ ПРАВДА

ლაშქრის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე გაბაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტი აპირებდა ზურაბიშვილისთვის შეეთავაზებინა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი. „ეს ასეც მოხდებოდა, ზურაბიშვილი რომ არ გამოსულიყო ტელევიზიით, და საოცრად მტრული დამოკიდებულება და სიძულვილი არ გამოეხატა იმ ქვეყნის მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობს“, — თქვა პარლამენტარმა.

„სალომე ზურაბიშვილი მსხვერპლად შეწირეს კრემლს — ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება იმიტომ, რომ საქართველოში ამ ბოლო ხანებში მიმდინარე ყველა პროცესი მოსკოვიდან იმართებულია“, — ამტკიცებს „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერი, დეპუტატი დავით გამყრელიძე. მისი აზრით, ქვეყნის „საგარეო-პოლიტიკური კურსი ამ ბოლო ხანებში მკვეთრად შეიცვალა დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ“. მაგრამ დეპუტატმა გიგა ბოკერიამ, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „ზურაბიშვილს, უბრალოდ, ეშინოდა თანამდებობის დაკარგვის. ამ შიშმა იგი ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მასზე ახლა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა უნდა იზრუნოს“, — დასძინა ბოკერიამ.

ინფორმაცია

აუშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამომავალად

სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით კომენტარს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც აკეთებს.

„ეს საქართველოს მთავრობის შიდა საქმეა, საქართველოს ხელისუფლებასთან ორმხრივ თანამშრომლობას, ისევე როგორც ახალ საგარეო საქმეთა მინისტრთან მუშაობას, განვაგრძობთ“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკომარკმა ყოველდღიურ ბრიფინგზე.

მიხეილ სააკაშვილს საუბარი არ სურს

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მომავლის შესახებ საუბარი არ სურს.

როგორც გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა განაცხადა, მისთვის მთავარია, მთავრობა იყოს კოორდინირებული, მიზანდასახული და გამართული იმისთვის, რომ ქვეყანამ ახლო მომავალში სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიოს.

„ლა ფიგარო“: „პოლიტიკური კულტურული რეჟიმი“

„ზურაბიშვილის პროვინციული თბილისში ჩასვლამ პოლიტიკური კულტურული რეჟიმი გამოიწვია“, — ასე ეხმაურება ფრანგული გაზეთი „ლა ფიგარო“ სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენებას.

„საქართველოს პრეზიდენტი იძულებული გახდა განზოგადებოდა პარიზულ სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც კორუმპირებული დიპლომატების წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ფრანგი ქალბატონი კოზირი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ახალი საქართველოსთვის“, — ნათქვამია სტატიისში.

სტატიის ავტორი სალომე ზურაბიშვილს ზრუნავდა და გამოორჩეული ფრანგ დიპლომატს უწოდებს — „სწორედ მისი ხელმძღვანელობით გადის რუსეთის ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან. პრეზიდენტი საკმაოდ დიდხანს იცავდა ზურაბიშვილს შესაძლო მოწინააღმდეგისგან — პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისგან. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი გმირი ბურჯანაძე ძნელად ეგუებოდა სალომეს თამაშის წესებს“. გაზეთის განცხადებით, ყოველივე ამან პარლამენტთან მისი დამირისპირება გამოიწვია, სააკაშვილმა კი უკრაინის მაგალითზე საპარლამენტო კრიზისისგან თავი დაიზღვრა და ფრანგი დიპლომატი გაწირა.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, საქართველოს ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს პროდასავლური განათლება აქვს, თუმცა, „სალომე ზურაბიშვილის ყოფნა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის დიდ იმედს აძლევდა“.

ინტერპრესნიუსი

© შორ-მართალი

თბილისი ინტერნეტ-დასაპირბისპირებლად

არცა თუ არც უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური მოძრაობები „ნაციონალური მოძრაობის“ ზრტყეები?

ძარბაზიშვილის ქარბი დოზით პოლიტიზირების შესახებ იმდენი ითქმის და იწერება, აქ ამაზე შეჩერებასა და მსჯელობის გაშლას აზრი ნაკლებად აქვს.

მით უფრო ნაკლებადაა გასაკვირი საზოგადოების მეტად აქტიური ნაწილის — სტუდენტობის პოლიტიკით ზედმეტად დაინტერესება.

პოლიტიკაზე უფრო სტუდენტობას უფრო მეტად, სამსუხაროდ, საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ვაწყდებით, რომელთაგანაც უპირველესი დედაუნივერსიტეტია.

სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია ყველაზე თვალსაჩინო სხვადასხვა სტუდენტური მოძრაობები, რომლებსაც ცოდნის ტაძრის კედლებში მმართველი პარტიის სატელიტთა ფუნქცია აკისრიათ.

განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ ეს სტუდენტური ორგანიზაციები „ნაციონალური მოძრაობის“ ორი სხვადასხვა ფრთის ინტერესებს ემსახურებიან.

სტუდენტები პირად საუბარში მიუთითებენ, რომ უნივერსიტეტში თავიანთი პროტექტუ ორგანიზაციები ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანსა და დავით კირკიტაძეს ჰყავთ.

რაობა“, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობა“ მფარველობს, აქედან „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“ დავით კირკიტაძის გამოკვეთილი ფაფორიტია.

მართალია „სტუდენტური კლუბიც“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობაც“ რომელიმე პოლიტიკური ძალის პროტექტუებს უარყოფს, მაგრამ ამაზე კონკრეტული მავალითები მეტყველებენ, რომელთაგან ერთ-ერთს აქვე მოგიყვანთ:

როგორც ცნობილია, წლეულს პატრიოტული ბანაკების ორგანიზების ერთ-ერთი ფაფორიტი დავით კირკიტაძე გახლდათ.

თსუ-ში კი პატრიოტული ბანაკებისთვის სათანადო სტუდენტთა შერჩევა და კოორდინაცია, სწორედ „ერთიანი სტუდენტური მოძრაობას“ დაევალა, ანუ იმ ჯგუფს, რომელსაც კირკიტაძის ფრთის ქვეშ მოიაზრებენ.

ხოლო როგორც უნივერსიტეტულეზი ამბობენ, „ერთიანი სტუდენტური მოძრაობას“ ამ საქმეში მთლად კეთილსინდისიერად არ უმუშავია.

უნივერსიტეტის მოაზროვნე სტუდენტთა ნეიტრალური ნაწილი ამ სტუდენტური მოძრაობების რეალურ სახეს და ფუნქციას თავიდანვე მიხვდა და მათ ახლოს არ გაკარებია.

ტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა არაკეთილგანწყობა, ჯერ კიდევ გაგანია ვარდების რევოლუციისას იყო აშკარა.

ალსანიშნავი კიდევ ერთი რამეა, „სტუდენტურ კლუბსაც“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობასაც“ რამე ოფიციალური სახე ან სტატუსი არ გააჩნიათ.

მათ, როგორც იცხვიან, თავიანთი თავი თავად „დაიარსეს“ და სტუდენტები მათ პოლიტიკურ პარტიებად უფრო მოიაზრებენ, ვიდრე სტუდენტურ ორგანიზაციებად.

ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ უნივერსიტეტში რეალური თვითმმართველობა ჯერაც არ არსებობს, რადგან იქ არჩევნები არ ჩატარებულა.

თავის მიზეზები აქვს ამ არჩევნების ჩატარებლობასაც.

თსუ-ში თვითმმართველობის არჩევნები ამ წლის ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ „სტუდენტური კლუბის“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ „მეცადინეობით“ იგი აღარ გამართულა.

თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების დიდი მოაზრებები არც უნივერსიტეტის უფროსობა გახლავთ, რისი მიზეზებიც შემდეგია:

რეალურად არჩეული თვითმმართველობისთვის უნივერსიტეტს საკუთარი ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფა მოუწევს, რისი სურვილიც თსუ-ს მესვეურთსულაც არა აქვთ.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, უნივერსიტეტის რექტორატი სტუდენტებში თავის შერყეულ ავტორიტეტს თავადვე ნათლად ხედავს და იმის გვარინი შიშიც აქვს, ვითუ აჯაგარული სტუდენტობა ჩვენს წინააღმდეგ ამოძრავდეს.

ასეთ შემთხვევაში კი რეალურად არჩეული თვითმმართველობა მისთვის საკმაოდ საფრთხეს წარმოადგენს.

რაც შეეხება აურჩევლად მოფუნქციონირე „სტუდენტურ კლუბს“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობას“, უნივერსიტეტი მათ თავის ბიუჯეტიდან კინკლა თეთრსაც არ უყოფს. ისინი მთლიანად „ნაციონალური მოძრაობიდან“ ფინანსდებიან.

უცნობია ისიც, თუ სად და რაში ხარჯავენ ამ დაფინანსებას ეს მოძრაობები. ფაქტია, რომ უნივერსიტეტისა და სტუდენტების სასარგებლოდ ნაყოფიერ შრომას ისინი ნამდვილად არ (იქნებ ვერ) ეწევიან.

მათი თავგადაკლული ცდა მხოლოდ იმაშია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი გაერთიანონ თავიანთ რიგებში.

ვინაიდან უკვე გამოცდილი სტუდენტები მათთან კონტაქტს ერიდებიან, ეს მოძრაობები აქტიურ პირველკურსელებთან „მუშაობენ“.

რამდენად მიზანშეწონილია ქვეყნის უპირველეს უნივერსიტეტში პოლიტიკური წრეების ლობი სტუდენტური ჯგუფების არსებობა, რა შედეგებს მოუტანს ეს თავად უნივერსიტეტსა და მის ავტონომიაში საკმაოდ ღრმად შეჭრილ ხელისუფლებას, მართლაც დიდი განსჯის საგანია.

ამაზე უპირველესად ის სტუდენტობა უნდა დაფიქრდეს, ვინც პოლიტიკოსთა რუპორის ფუნქციას ასრულებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცოდნის უპირველესი ტაძრის სახელი ჯერაც შერჩენილი აქვს და მისი ინტრიგათა ხლართვის ციტადელად ქცევის უფლება არავის აქვს.

ჯაბა ხუზაშ



თსუ-ში მიხეილ მაჭავარიანის ინტერესები ნაკლებად აფიშირებულია, მაგრამ იქ ასეთი აზრიც მუსირებს: მაჭავარიანი პროტექტუობას უმიზნებს და მანიპულირების საშუალებები უპირველესად სტუდენტობასა და ცოდნის ტაძრებში სჭირდებათ.

უნივერსიტეტის აქტიურ სარბიელზე დღეს ყველაზე მეტად გამოჩენილი ორი ფრთაა: „სტუდენტური კლუბი“ და „ერთიანი სტუდენტური მოძ-

ხოლო რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტული კარგავს ნდობას „სტუდენტური კლუბის“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ მიმართ.

სტუდენტთა უნდობლობას კი ეს მოძრაობები იმიტომაც იმსახურებენ, რომ მათი ძირითადი ბირთვი „კმარას“ ყოფილი აქტივისტებიათა წარმოდგენილი.

„კმარას“ მიმართ კი უნივერსიტე-

მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის II პროექტი მსოფლიო ბანკის კრედიტი. 3701-GE საკონსულტაციო მომსახურება ინტერესის გამოხატვა

სამართლებრივ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA) და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადების კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელ გადახდებს.

კონსულტანტს მოეთხოვება ჩაატაროს SWOT-ის (ძლიერი მხარეები, სუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზი ქალაქ თბილისისათვის, განსახორციელოს ქალაქის არსებული აქტივებისა და ეკონომიკური ბაზის ანალიზი, განსაზღვროს ის ფაქტორები, რომელსაც წვლილი შეაქვს ქალაქის კონკრეტულ განვითარებაში და არსებული ინვესტიციებისა და ინვესტორების პროფილების თავისებურებები, ინვესტირების შესაძლებლობები/პოტენციალი და ის სექტორები და ბიზნესის კლასტერები, რომელთაც ზრდის პოტენციალი გააჩნიათ ასევე ამ სექტორების/კლასტერების წინაშე მდგარი დაბრკოლებები, კონსულტანტის მოვალეობას აგრეთვე წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ეკონომიკური აქტივობის ტიპებთან და სექტორებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალაქის ეკონომიკის და მის წინაშე მდგარი დაბრკოლებების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა.

კონსულტანტი ასევე განსახორციელებს ნებისმიერი სახის დამატებით ანალიზს მოპოვებული მონაცემების კონსოლიდაციისათვის, პრიორიტეტების შესაბამისად და პროგრამის ან სტრატეგიის განსახორციელებელი ინსტიტუციონალური და პოლიტიკური რეფორმისათვის. კონსულტანტი უზრუნველყოფს ტექნიკურ და პროფესიონალურ დახმარებას ქალაქის წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესაძლებელი ანალიზის, საჭირო ინვესტიციების განსაზღვრის, პრიორიტეტების დასახვის, ყველაზე დიდი პოტენციური ზეგავლენის მქონე ჩარევისა და განსახორციელებელი გადაწყვეტილების ღონისძიებების განსაზღვრის მიმართულებით. ამ დავალების საგარეულო ხანგრძლივობა 29 კვირას შეადგენს.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს ეკონომიკის, კრძო სექტორის განვითარების, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ან სხვა შესაბამის განვითარების სფეროებში სპეციალიზაციის გამოცდილებას. ძირითადი ყურადღება მიექცევა ფართო გამოცდილებას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებაში, SWOT-ის ანალიზში, კონკრეტულ განვითარების შეფასებასა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტში ერთი თბილისის მსჯელობის მინიმუმ ერთი ქალაქისათვის). კონსულტანტის პერსონალი უნდა ამყარებდეს კვლევების ჩატარების, მონაცემთა შეგროვების, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის განხორციელებისა და განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში პროექტისა და ქალაქის შესრულების დეტალური მონაცემების შემცველი ანგარიშების მომზადების მაღალ კვალიფიკაციას. საფარველთა მალა საკომუნიკაციო და საორგანიზაციო უნარ-ჩვევების ქონა. სასურველია, კონსულტანტს ჰქონდეს გარდაამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიციურები არიან შემოსუნიერული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა. შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შესარჩევად აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამლებთან მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებულია 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოაპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა ქვემოთ მოყვანილ მისამართზე უნდა იქნას წარმოდგენილი არაუგვიანეს 2005 წლის 7 ნოემბრისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,
ბ-ნი მინდია გადაყვი, აღმასრულებელი დირექტორი,
საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ,
ტელ: +995-3294-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69.

ფაქსი: +995-32 94-04-39
ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE

სს „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკის“ აქციონერთა საჭურადაღვაშო!

2005 წლის 10 ნოემბერს, 14 საათზე, ახუნდოვის ქ. № 13-ში (მთანმინდა-კრწანისის რაიონი) ტარდება სს „მე-11 შერეული ტიპის პოლიკლინიკის“ აქციონერთა კრება.

- დღის წესრიგი:**
1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა.
 2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ხელფასის დანიშვნის შესახებ.

დირექტორატი

არ გვეშვებოდა

ვის ათოხიაქებს ქაჩოყვითა გამხაჯება?

რუსეთში გაგიჟებულა. იგი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა. ქვეყანა ყოველწლიურად მცირდება ერთი მილიონი კაცით. და ეს შემცირება ძირითადად ხდება რუსი ეროვნების ადამიანთა ხარჯზე. მაგალითად, ბოლო 15 წლის მანძილზე მოსკოვში რუსების რაოდენობა 90 პროცენტიდან 85 პროცენტამდე შემცირდა. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში იქ ჩინელების რაოდენობა გაიზარდა 35-ჯერ, ვიეტნამელებისა — 15-ჯერ, ტაიჯიკებისა — 13-ჯერ, ინგუშებისა — 6-ჯერ. აზერბაიჯანელებისა — 5-ჯერ...

იმავე პერიოდში მოსკოვში ქართველების რაოდენობა გაზარდილია მხოლოდ 2,8-ჯერ (ისიც, სომხებთან ერთად). მიუხედავად ამისა, მოსკოვის აგრესიული ელიტას (ძირითადად, მაინც მასმედიას) იერიში მხოლოდ ქართველებზე მიექცა. მას შემდეგ, რაც გადაწყდა საქართველოდან რუსი ჯარების გასვლა, არ ცხრება ხმაამაღლი გაკაპასება მოსკოვიდან ქართველების გასახლების შესახებ. ბოლოს ყველაზე მწარედ გამოვიდა სათათბიროს დეპუტატი ალექსისი, რომელიც თავად ბალტიისპირელია, მაგრამ რუსის ჯარის ოფიცერი და ქართველების დაუძინებელი მტერია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან. მას მერე მოდის ასევე ჩვენი ამომგდები, ასე-



ვე სათათბიროს დეპუტატი ჟირი-ნოვსკი. ქართველების ხსენებაზე მას ჟრუანტილიც კი უვლის.

არადა, ჩვენ რას გვერჩიან? არა სჯობია, იმათ მიხედონ, ვისგანაც მართლაც ელით გადაშენება? ერთ ბოშა ქალზე მოსკოვში საშუალოდ მოდის 2,5 ბავშვი, ჩეჩენზე — 2,2, აზერბაიჯანელებზე — 1,8, თათარზე — 1,7, სომეხზე — 1,6 და რუსზე — მხოლოდ 1,4; ამ სიაში, როგორც ხედავთ, ქართველი ქალი საერთოდ შესულიც არ არის, ესე იგი, ისევე როგორც სა-

ქართველოში, ჩვენი ქალები რუსეთშიც 1-1,2 ბავშვზე მეტს არ აჩენენ. მაშ რას გვერჩიან? რას გვემდურებან?

უპირველეს ყოვლისა, ამით სურთ თავიანთი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება, ორ ერს შორის შუღლის გაღვივება და, რაც მთავარია, საკუთარი ერის უსუსურობისა და უგნურობის დაფარვა. ლოთობამ, ნარკოტიკებისადმი მიძალებამ, ბოზობამ გადაშენების პირას მიიყვანა მთელი რუსეთი — კაციც და ქა-

ლიც. თავად განსაჯეთ: ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტი რუსია. რატომ ვერ ჯობნის იგი გამრავლებით დანარჩენი ეროვნების 20 პროცენტს? ვინ უშლის ამაში ხელს, გარდა საკუთარი თავისა? იგივე მოსკოვში, 2005 წლის პირველ ნახევარში, გარდაიცვალა 20 ათასით მეტი კაცი, ვიდრე დაიბადა. არის ამ ქალაქში ისეთი ზონები, სადაც გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა რაოდენობას აჭარბებს ორჯერ, სამჯერ (მაგალითად, იზმაილოვო, მეტროქალაქი, „აეროპორტი“). ამ ზონებიდან ახალგაზრდობა გაიქცა და იქაურობა მხოლოდ მოხუცებს დაუტოვა. ესეც ქართველების ბრალია?

ახლა რაც შეეხება საქართველოდან რუსი ჯარების გაყვანას. არ კითხულობთ ვის გაყვანას მოვიტოვოთ? ბნელი, გაუნათლებელი ხალხის! აი, რა თქვა 2005 წლის 9 ოქტომბერს პრესკონფერენციაზე ლისაბონში (დიახ, უცხოეთში) რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა: „საკონტრაქტო პრინციპებზე გადასვლის წყალობით ჩვენი ჯარის რამდენიმე ნაწილი და შენაერთი დავაკომპლექტებთ გაცილებით ნაკლები რაოდენობის სამიში ნაციონლებითა და სრული უნიფორმებით“.

აი, ვის გაყვანას ვითხოვთ — ყოფილი პატიმრებისა და საცხებით უნიფორმებისა და, ციცი, მოსკოვიდან ვის გამოურას ცდილობენ? იქაური ქართველების 30 პროცენტი მუშაობს პედაგოგად და ექიმად. საკითხავია, ვინლა უნდა განკურნოს ან განანათლოს იგივე ალქსისი და ჟირიანოვსკი? მათ საკმაოდ დიდი სჭირდებათ ერთიცა და მეორეც!

ანდო გულიანოვილი

გველეშობა

სსრკ-ის თანად გაიქცა

სამწესობრივად, ბოლო წლებში საქართველოში დანაშაული იზრდება, რაც ყველაზე საგულალოა, იგი ახალგაზრდადებდა. მოზარდებისთვის დამატებით ახალი ციხეც კი ავაშენეთ...

ახლახან ვაკე-საბურთალოს რაიონში ტრაგედია დატრიალდა. მოზარდებმა 28 წლის ზორო აბულაძე მოკლეს, უფრო სწორად, დანებით აკუნეს.

ბიძაშვილ-მამიდაშვილები, — 16 წლის ლევან ოგანეზოვი და 18 წლის დათო კუჭავა ძმაცაცებთან ერთად ქუჩაში საკმაოდ შეზარხოშებულნი მოდიოდნენ. გზად პატარა ძალღს ფეხი ამოარტყეს, — გაინი იქით, არ გვიკბინო. იქვე მდგომმა ზორომ უთხრა, — ნუ სკემთ, ბიჭებო, შინაურიაო, არაფერს გერჩითო. შენ ძალღს როგორ გამოექომაგეო, გინება და უწყეს. მერე „გვერდზე გაიყვანეს“ და დანები ურტყეს...

შემთხვევის ადგილზე მისულმა კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ეს ორი ბიჭი დააკავეს, მკვლელობის იარაღი ამოიღეს, დაჭრლი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ველარაფერი უშველეს.

დაკავებულები ახლა გაიძახიან, — მთვრალეები ვიყავით, არაფერი გვახსოვსო. ერთი სკოლის მოსწავლეა, მეორე — კოლეჯის სტუდენტი. ჯერ ერთი, რატომ თვრები უგონოდ? მეორეც, — რად ატარებ ჯიბით დანას?

ამ კითხვებზე ოჯახებმა, მშობლებმაც უნდა გასცენ პასუხი!

ზურაბ მოდვაძე

აკრძალული ზონა

ბოლო დროს საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში სხვადასხვა მიმართულებით არაერთი რეფორმის განხორციელება დაიგეგმა. როდესაც ნებისმიერი იდეა ჩნდება, უწყებების ხელმძღვანელები საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებენ და გვარწმუნებენ, თუ რამდენად წარმატებული იქნება მომავალი რეფორმა. ხშირად კომპეტენტური პირები სიასლებზე აქტიურად მუშაობენ, ნაშრომს საბოლოო სახესაც აძლევენ, მაგრამ ყველაზე საინტერესო შემდეგ ხდება: — რატომღაც ერთობ საჭირო სიასლის პრაქტიკაში დამკვიდრება ფერხდება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

გვახსოვს, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ენაწყლიანად საუბრობდნენ ამ ახალი კოდექსის მნიშვნელობაზე. იდეის თანახმად იგი 2006 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო. ახლა საუბრობენ, რომ ეს 2007 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. ცხადია, ჩნდება კითხვა: — თუ ასეთი საჭირო და აუცილებელი იყო კოდექსში უამრავი ცვლილების შეტანა, მაშინ რატომ ვაჭიანურებთ მის ამოქმედებას?..

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გადადება

უკვირთ

როგორც კუ ვუსკი...

19 ოქტომბერს დაიწყო ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი. ტელევიზიით ვნახე, რომ იგი იჯდა დაბალი თევჯირით შემოსაზღვრულ ღია სივრცეში ხელბორკილების გარეშე. ასევე იჯდა მისი 7 თანამზრახველიც. კაცს ბრალად ედება ასი ათასობით ადამიანის ამოწყვეტა, ელის

ასე ახალი ციხეებიც გადაიჭედება

დაუშვებელია, რადგან მის უკან ათასობით ადამიანის ბედი დგას. ამჯერად ყურადღებას კოდექსის ერთ მუხლზე გავამახვილებთ, რომელიც ექვმიტანილისთვის საგამომიებო პერიოდში აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას გულისხმობს. დღეს სასამართლო დაკავებულთა 98 პროცენტს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას უფარდებს. არადა, ხშირად, მცირე დანაშაულის ჩადენისთვის შეიძლება ადამიანს პატიმრობის ნაცვლად პოლიციის ზედამხედველობა, ქვეყნიდან გაუსვლელობა, გირაო ან სხვა ფორმა შეეფარდოს. ეს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით გაკეთდება. მაშ რად უნდა ამას გადავდებთ? მოკლედ, თუ ჩვენმა ძალოვნებმა ამ ტემპით გააგრძელეს დამნაშავეთა თუ უდანაშაულოთა დაკავება, ხოლო მოსამართლეებმა



ყველას ვირის აბანოში გაშვება, მაშინ მერწმუნეთ, ეს გადაჭედული ციხეები, კიდევ უფრო გადაიჭედება და ახლებიც პირთამდე გადაიჭენება. ნუთუ ეს გვირდა? ნუთუ ამისთვის ვაშენებთ კიდევ 3 ევროპულ საპროცესო ილეს?

ლელა სვადაგინი

კრიზისალი

ირანში

პომოსესუალისტები

ჩამოსწრხმის

ძალად მამხადში სახალხო დედაჯეს ორი ახალგაზრდა, რომელთაც ბრალად დასდეს პომოსესუალისტობა. ერთი 18 წლის იყო, მეორე — 17-ის. თეირანის უმაღლესმა სასამართლომ მათ ჩამოსწრხმა მიუსაჯა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდებმა დანაშაული აღიარეს. პომოსესუალისტობა ირანში კანონით აკრძალულია, სიკვდილით დასჯა კი იწყება გოგონებისთვის 9 წლიდან, ბიჭებისთვის — 15 წლიდან. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ბიჭები 14 თვე ციხეში გამოკეტეს, სადაც სხვადასხვა ცოდვებისთვის 228-ჯერ გაროზგეს.

მეაპაზაპა გოლუშვილის

ლოზუნში მოიპარეს

ბელგიაში მოენყო მეძაფთა მასობრივი დემონსტრაცია ერთიანი ლოზუნგით, — „სექსუალური ყველა კუთხისა, შეერდიო!“ ათიათასობით ქალი ქუჩაში ხმა-მალა გააჰვიოდა, რომ მათ უფლებებს ლახავენ, სამუშაოს აღმაცერად უყურებენ, აბუჩად იგდებენ და დათქმულ ფულს არ აძლევენ. რაღა დასამალა და, ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნების სუსტი სქესის წარმომადგენლები კარგა ხანია წაქსილი შუილობენ ოჯახის სარჩენ თანხას.

ჩვენც თუ ეს მოგველის და... წინამორბედი უკვე საკმაოდ არის!

გორონეში

რუსული ნაციონის

დედაქალაქი ხდება

ნაციონში და ფაშიზმი მთელს რუსეთს მოედო. ბიძგი მოსკოვიდან მოდის, მაგრამ არც პროვინციები ჩამორჩებიან დედაქალაქს. ვორონეჟი, მაგალითად, უკვე იქცა უცხოელთა ანგარიშსწორების უპირველეს ბუდედ. შარშან სკინსედეების მსხვერპლი გახდა სტუდენტი ალფირიდან, ახლახანს კი — ასევე სტუდენტი პერუდან. კიდევ კარგი, ყველა თავდასხმა სიკვდილით არ მთავრდება. გაშმაგებულ მოზარდებს წლეულს ძლივს გადაურჩენენ სტუმრები საფრანგეთიდან და ჩინეთიდან. ისინი დაბეგვეს ხალხმრავალ ადგილებში, მშველელი კი არავინ აღმოჩნდა. თუმცა, ვინ მოგვამარება, — შეიარაღებული ნაციონტები ხროვა-ხროვა დაძრწიან, — 15-20 კაცის შემადგენლობით!

პატიმრობა თაში

დედის დისხებას

უმსწირს

არბანტინაში ყოველწლიურად პომპეზურად აღინიშნება დედის დღე. ასევე პომპეზურად სურდათ დედის დღის აღნიშვნა ბუენოს-აირესის მასობრივად მდებარე ციხის პატიმრებს, მაგრამ მათ სამართლდამცავებმა შეხვედრის საათებში შეუკვეცეს. ამით განაჩენი ბულმა მსჯავრდებულებმა ბუნტი წამოიწყეს, კერძოდ, ლოგინებს ცეცხლი წაუკიდეს. საბოლოო ჯამში ხანძარი ისე გაჩაღდა, რომ შიგ 32 პატიმარი გამოიწვა. შეიღების უბედურება დედის შორიასლოდან უყურებდნენ, მაგრამ ამაოდ. მეციხოვნეებმა ისინი შიგნით არ შეუშვეს და ცრემლები გარედან აღვრევინეს.

გადრი ღვინიაშვილი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №29

სამშობლო, სამშობლო...

ეს იყო 1965 წელი. ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა საფრანგეთიდან და მე და დედა პარიზში გავემგზავრეთ.

ემიგრაციასთან შეხვედრა იმ წლებში თითქმის შეუძლებელი იყო და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პარიზის ქართული ოჯახების სევედამ...

ვცხოვრობდით პარიზში, ბებიის — ლიდა შარაშიძის ოჯახში. ის თავის ქმართან გოგი ნოზაძესთან ერთად ჟურნალ „კავკასიონს“ გამოსცემდა. ამავე ბინაში ცხოვრობდა გოგი ნოზაძის ძმა — ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი გენიალური შრომები, მათ შორის, რუსთველოლოგიაშიც და რომელსაც საბჭოთა საქართველო „ხალხის მტრად“ მიიჩნევდა...

ჩვენების უახლოესი მეგობრები იყვნენ ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ოჯახის წევრები, ნიკო ნიკოლაძის შთამომავლები...

ზურაბიშვილების ოჯახში სადილად დაგვპატიჟეს... პარიზის ტიპიურ, ჩვეულებრივ ბინაში პატარა საქართველო დამხვდა.

კედლებზე წინაპრების გადიდებული სურათები ეკიდა, უმშვენიერესი, ღირსებით სავსე სახეები... მათ ფონზე, თითქოს იმავე სამყაროში იყვნენ სამუდამოდ ჩაწერილი ლევან ზურაბიშვილი და მისი მეუღლე ულამაზესი ზეინაბ კედიანი... იმავე ბინაში დამხვდნენ დაახლოებით ჩემი ტოლი ბავშვები — სალომე და ოთარო. სალომე ზურაბიშვილი მაშინ 13-14 წლის იქნებოდა...

სალომეს და ოთარს თავიანთი საბავშვო კუთხე ქართული სუვენირებით, ქართული ნივთებით, ფოტოებით, სურათებით ჰქონდათ სავსე... უფროსებს შორის საუბარი ჩამოვარდა, რომ ალბათ მალე გაიხსნება გზები და ყველას ექნება საშუალება საქართველოში გამგზავრების...

სალომესთვის და ოთარისთვის, რომლებიც უცხოეთში იყვნენ დაბადებულნი, საქართველოს ზღაპრულ საოცნებო მხარედ მიიჩნევდნენ, ისინი მშობლების გავლენით, უკვე მაშინ, თავიანთი ბავშვური წარმოდგენით საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად... ჩემს თვალწინ იჩხუბეს კიდევ: „არა, მე ჩავალ პირველი საქართველოშიო და არა მეო“...

აი, ამ სურათზე სწორედ იმ ასაკისაა სალომე, როცა პირველად ვნახე...



ბე და როცა მისი ყველაზე დიდი ოცნება საქართველოში ჩამოსვლა იყო.

60-იანი წლების პარიზში ქართველი ემიგრანტების ერთობა არ არსებობდა... ისინი ცალ-ცალკე სხვადასხვა პარტიებში იყვნენ გაერთიანებულნი... ერთმანეთს მტრობდნენ, კინკლაობდნენ...

ლევან ზურაბიშვილის ოჯახი ქართველების მედიატორობას და მორიგებას ცდილობდა.

იმდროინდელ ამბებს ახლა ვანალიზებ და მეჩვენება, რომ ჩვენი ახლანდელი პარტიების მრავალგვარობის, ქაოსის მოდელი მაშინ გაითითოკაცებულ, პარტიულ ემიგრაციაში იყო.

ლევან ზურაბიშვილის ოჯახი სხვა სიმბოლიდან უყურებდა საქართველოს და ქართველების პრობლემებს და ტრაგედიას...

ბოლო ხანებში სალომე ზურაბიშვილის საქართველოში ჩამოსვლა სიმბოლოური იყო. თითქოს მისი დიდი წინაპრების ტოკილები უნდა მოეშუშებინა, მათი ოცნებები განეხორციელებინა...

ფიქრობთ, ყველაფერმა სწორი მიმართულება მიიღო, რადგან დღეს იგი უფრო დიდ ამბლუას იქნეს, ვიდრე მინისტრობის დროს ჰქონდა. ის ქართველი ერის უკანასკნელ იმედს ატოცხლებს...

ზინა დათუნაშვილი

მთავარი თემა:


ნიკო ნიკოლაძე:

...განა ატყობს ისეთი ძეგლი, სადაც თითქმის მთელი ინტელიგენციის გმობაზე გემდებლებენ და ბაფინებენ მეფისმეფად გმობამეფლდრული და ნაკლებგანვითარებული ადამიანები. ასეთი ადამიანები, ცხადია, ყულა ძეგლიანი იბარებინ, მაგამ მუდამ უტყულებად ბრებიან და მსდლდ იმ ძეგლიანი, ბმელიც სტულიად გასტყულია პდლიციუტიც ცხდებებისგან, სადაც საყდდ წაბმდრეცილიც კია გმნებათა უტყულებად დატგწილიც და უტყულებად ილია ატბა გაციულა-გამდვულა, ბაფინებთა თაგმუბულიც იყნა, ბმლის რბსაც თაგი შიბლუბა გამდინინდ აბა გმნიებთ, აბამდ ცუინილით, აბა ცდინით, აბამდ მდმით, აბა თანმიმდრეუტლბით, აბამდ უსაციულიბით, ბაციბუტი, აყალმაცალით“...



თანაგვაგულე

პრტი ბაგოუკუგუგუბალი ზანილის ბაგი



„იმედი მაქვს, მოკვდა ჩემს საყვარელ საქართველოში“ ...

— ბბბბი რომ წინილას დაჰკარგავს, დაღონდების და ქების. — დაგვიწყებვივართ, აღარ გაბსოვართ, ჩონ ხომ ერთი სისხლსორცი ვართ!

...იმ დიდი სიხარულის შემდეგ, რასაც ფერეინელი ქართველი „დიდი გურჯისტიანიდან“ ჩასულ ქართველის ნახვისას გამოხატავდა, ასეთ საყვედურსაც აუცილებლად დაუმატებდა ხოლმე.

ასე მოხდა ორმოცი წლის წინათაც თეირანში, როდესაც საბჭოთა კავშირის სამრეწველო-საგაქრო გამოფენის დროს საქართველოს პავილიონის სანახავად მოაწყდა ფერეინიდან საშოვარზე ჩამოსული ქართველობა. იმ ტყვედქმნილ ქართველთა ნაშიერნი, რომელნიც შაჰ-აბას პირველმა 1612-16 წლებში ირანში „ნახირივით წაასხა“ — როგორც თავად უბრობენ, და ჩაასახლა იქ, სადაც ქურთი, ლური, ბახტიარი და ყაყაელი ირანის სატახტო ქალაქისპასანს „აღონებდნენ“...

მართლაცდა, ბედის უკუღმართობა! ქართულ მინას მოწყვეტილი „სისხლ-ხორცი“ დიდი ხნის მანძილზე მიტოვებულ-მივიწყებული იყო დედასაქართველოსაგან. მაგრამ სწორედ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება უხდებოდათ უცხო მიწაზე, უცხო ცასა და გარემოში თავად არ დაივიწყეს — თუ ვინ არიან და საიდან მოვიდნენ „ირანის ზამინზე“ (მინაზე)!

ბული იყო დედასაქართველოსაგან. მაგრამ სწორედ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება უხდებოდათ უცხო მიწაზე, უცხო ცასა და გარემოში თავად არ დაივიწყეს — თუ ვინ არიან და საიდან მოვიდნენ „ირანის ზამინზე“ (მინაზე)!

ბახტიარიის მთიანეთის სოფლებში ქართული ლაპარაკი რომ ისმოდა, სწორედ მათი „დედის ენა“ იყო, რომელიც ვერაფერმა ვერ ამოძირკვა საუკუნეების მანძილზე და დღემდე ვამაყობთ, რომ „ჩონ ჩონი ენა და სისხლსორცი სუფთად შავინახუთყო“!

დიახ, დავიწყებულნი იყვნენ, სინამდვილეს ვერ გავიქცევით, რა თქმა უნდა, მიზეზებიც იყო, მაგრამ მათ მაინც არ დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ფესვები.

რა თქმა უნდა, საქართველოშიც იყვნენ ერთეულები, რომელთაც გული შესტკიოდათ თავიანთი „თანაფესვისადმი“, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე შეძლო იქ — ფერეინში ჩასვლა და მათი მონახულება.

იხ. გვ-12 გვ.

თანამეგობრული

„იმედი მაქვს, მოკვდა ჩემს საყვარელ საქართველოში“...

ერთი გამოუქვეყნებელი წერილის გამო

(მეთერთმეტი გვერდიანი)

პირველი იყო ლადო აღნიაშვილი, რომელიც 1894 წელს ეწვია ფერეიდანს და დაგვიტოვა წიგნი „ირანი და იქაური ქართველობა“. ამბაკო ჭელიძე, 1927-29 წელი, კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი, 1944 წ...

ზემოთ აღნიშნულ გამოფენაზე საქართველოს პავილიონს უამრავი ფერეიდნელი „მოაწყდა“. სპეციალურად ფერეიდნიდან ჩამოდიოდნენ, რათა საქართველო გამოფენაზე მაინც ენახათ...

...არ დამავინწყდება ფერეიდნის შვიდი ქართული სოფლის, შვიდი მოხუცი ქედხურა (მამასახლისი), რომელთაგანაც ერთ-ერთმა მკითხა „რუსის ხელმწიფე გარდადებით?“

გამოფენის გახსნის პირველსავე დღიდან საქართველოს პავილიონის მუდმივი სტუმარი გახლდათ ვაჟკაცური შესახედაობის ინტელიგენტი ამირ მირჯაზაძე, ანუ იგივე ამირან პაპიაშვილი. ის, 9 წლის ყმაწვილი, 1929 წელს ამბაკო ჭელიძემ საქართველოში ჩამოიყვანა სოფელ ზოინიდან და მიაბარა თბილისში ეგნატე ნონოშვილის შვიდწლიან სკოლაში, რომელიც მუშტაიდთან იყო.

ამირან პაპიაშვილი მეხუთე იყო იმ ბავშვებიდან, ვინც ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოიყვანეს 1929 წ. (1971 წ. იოთამა ონიკაშვილი, 1896 წ. რეზო ხუციშვილი, 1900 წ. მოჰამედ ონიკაშვილი და ნას ნასროლა, 1922 წ. სეიფოლა იოსელიანი).

ამირანმა ორი წელი დაჰყო სკოლაში და მამამისის მოთხოვნით ფერეიდანში დაბრუნდა, რის შემდეგაც ველარ შესძლო საქართველოში ჩამოსვლა, თუმც ბევრჯერ უცდია. ერთხელ ბაქომდეც მოუღწევია, მაგრამ დაუჭერიათ ირანისთვის გადაუციათ, იქი 2 წელი ციხეში გაუტარებია.

ამირანი მამის გარდაცვალების შემდეგ დასახლდა ისპაჰანში და ტექნიკოსად მუშაობდა სამშენებლო ფირმებში...

უნდა აღვნიშნო, რომ ამირანი გამოფენაზე ისეთი სიამაყით უყვებოდა ირანელებს საქართველოს დიდებასა და სილამაზეზე, რომ ყველას საქართველოდან ჩასული გიდი ეგონა.

გამოფენა დაიხურა და თვალცრემლიანმა ამირან პაპიაშვილმა წერილი გადმოშვა, რათა მის საყვარელ ქართველებს წაეკითხათ...

ეს წერილი კი ჩამოვიტანე, მაგრამ მისი გამოქვეყნება მოგეხსენებათ, მაშინ დიდად ჭირდა. თუმც ბევრს ვეცადე, ბევრი თანაგრძობობითაც შემეცდა, მაგრამ... აი, ეს წერილიც:

...რაც უნდა მტანჯონ, რაც უნდა მანვალონ, მაინც არ გავხდები სპარსელი. მე ვარ ნამდვილი ქართველი. მე ჩემიერ და მთელი ფერეიდნელ ქართველების მიერ გადმოქცემთ სალამს და გამარჯობას ჩემო ძვირფასო ძმებო, დეებო. მთელ ფერდნელ ქართველებ უნდათ საქართველოში წასვლა და თავიანთ ძმების და დების და ნათესავების ნახვა. ჩვენა დალუპულ ქართველობას არაფერი

განვითარება სწავლა და შკოლა არ აქვს. ერთგულათ გვინდა დედაცა ქართული წიგნები სხვადასხვა სოფლის იარაღები რომ მტერმა არ დაგვავაროს თავზე მინა და თქვენ მოხმარებით და მოშველებით ფეხზე დავდგეთ და ავშენდეთ. როცა მე თეპრანში ვნახე ბატონი ნოდარი კოჭლაშვილი ძალია გამიხარდა და იმას ვაკოცე, როგორც მთელ საქართველოს. ამ შეხვედრით ჩემი აზრი სიხარული დარეულია ბევრი რამის დაწერვა მედა მაგრამ არ შემიძლიან. ჩვენ ბედი ფერეიდნელ ქართველები არ დავკარგავთ ჩვედედა ენას და სულ დავრჩებით ქართველები. თქვენ რა შეგიძლიათ ჩვენ დაგვეხმარეთ. ჩვენ მამაძალ მტერს დაგვხედებით ქართულად.

ვემშვიდობები მთელ საქართველოს და იმედი მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი საქართველო და მოკვდა ჩემ საყვარელ საქართველოში.

ამირა მირჯაზაძე, ამირან პაპიაშვილი.

P. S. ამირან პაპიაშვილი ვერ ეღიროსა მეორედ საქართველოს ნახვას. ის სამი წლის წინათ გარდაიცვალა ისპაჰანს.


ნოდარ კოჭლაშვილი.

სურათზე: ამირა მირჯაზაძის წერილის ავტოგრაფი, ფერეიდნელი ქართველი მუსულმანები (ქვეყნდება პირველად).



საყ უნდა მტანჯონ ისე უნდა მანვალონ
მეც არ ვახდები სპარსელი მეუბნები ვილო
ქართველი მე ჩემიერ და მთელი ქართველები
მის შვიდი ვაჟკაცური სკოლა და ვაჟკაცობა
ჩემო ქვის ვაჟკაცობა რუსთ. მთელ ვაჟკაცობა
ქართველებს უნდათ საქართველოში
მისივე ქვეყნის და რუსის და სოფლები
ნახვა. ჩვენა დალუპულ ქართველობას
მა ვუბნებ ვანუშიაქის/ სოფელი და მტერი
ახატეს. სპარსელები მიახლოები რეხ ფეხობა
შვიდამ რეკოცა ქართველი მტერი სხვა რეკოცა
საყლოდ იარაღი ხომ შექმნა ახ დაგვავაროს
ვაჟკაცობა და ვაჟკაცობა მოხმარება და მთელი
მოქმედებით ვაჟკაცობა და ვაჟკაცობა
ხოცა მე თქვენში ვნახე ბატონი ნოდარი
კოჭლაშვილი ძალია გამიხარდა და იმას
ვაკოცე ხომ ვაქცე ვაქცე საქართველოში
აქ შეხვედრით ჩემი აზრი სიხარული დარეულია
ბევრი რამის დაწერვა მედა მაგრამ არ შემიძლიან
ჩვენ ბედი ფერეიდნელ ქართველები არ დავკარგავთ
ჩვედედა ენას და სულ დავრჩებით ქართველები
თქვენ რა შეგიძლიათ ჩვენ დაგვეხმარეთ
ჩვენ მამაძალ მტერს დაგვხედებით ქართულად
ვემშვიდობები მთელ საქართველოს და იმედი
მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი
საქართველო და მოკვდა ჩემ საყვარელ საქართველოში

ამირა მირჯაზაძე



„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“...

ამ ქალბატონმა, საბჭოთა წყობილების ზეობის დროს, უდიდესი ძალისხმევით შედეგად, სასწავლო სახელმძღვანელოებიდან ამოაღებინა „კოლხეთის ცისკარი“, ალ. მირცხულავას ლექსები და სხვა, აგრეთვე, კომუნისტური იდეოლოგიით გამორჩეული კიდევ რამდენიმე ნაწარმოები...

ამ ქალბატონმა ხმამაღალი ინტერნაციონალიზმის ეპოქაში, როცა ქართველებსაც რუსულ სკოლებში შეჰყავდათ შვილები, სწორედ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისთვის დაიწყო ბრძოლა (მაშინ არაქართულ სკოლებში ქართულს, როგორც უცხო ენას, V კლასიდან ასწავლიდნენ).

ლებლების ზნეობის შესახებ საერთოდ საკითხის დასმაც კი... განუსაზღვრელი იყო ჩვენი მოკრძალება მათდამი...

— იმ პერიოდში არასოდეს ალბათ დასმულა უნივერსიტეტის ძირეული რეფორმირების საკითხი.

— უნივერსიტეტი ეს იყო არა სახელი, არამედ ცნება! რა რეფორმები უნდა შეხებოდა სიმონ ყაუხჩიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ვარლამ თოფურიას?..

— და მაინც, მათ, სწავლულებს, აპატიმრებდნენ, ლექციებიდან გაჰყავდათ. „დანოსებს“ უწერდნენ... გადასახლებული იყო თქვენი საყვარელი პროფესორიც — მიხეილ ზანდუკელი...

პარალელურად თამარ ლაშქარაშვილმაც მიიმინვია განათლების სამინისტროში, მეთოდისტად...

შეუძლებელია, არ გავისხენო ბატონი ოთარ ქინქლაძე, მაღალი რანგის სპეციალისტი, არაჩვეულებრივი პიროვნება... იმისთვის, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლის გაუმჯობესების საკითხი გადაგვეჭრა, კულინგებში თუ კულინგებს მიღმა ბევრი იბრძოლეს: ოთარ ქინქლაძემ, ენათმეცნიერმა აკაკი დავითიანი, სარგის ცაიშვილმა, გურამ ასათიანმა, რომან მიმინოვილმა, რეზი თვარაძემ...

№32-ე დადგინილიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიზნით, რომ საქართველოს არ არის რესპუბლიკის სასწავლებელთა ბევრი მოსწავლის ზეპირი მეტყველებისა და წერილი კულტურის დონე აგრეთვე ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმე და მოცულობა. პრესაში, ტელე და რადიოგადამცემებში, აფიშებში, სარეკლამო გამოცემებში და სხვ. არის ლიტერატურული ქართული ენის დამახინჯების ფაქტები.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს მთელი რიგი სახელმძღვანელოები... ბევრ შემთხვევაში ლიტერატურული მასალის სწავლების დროს შეიმჩნევა პრიმიტივიზმი, პროვინციალიზმი, უპატივცემულო დამოკიდებულება ქართული ენის სიმინდისადმი... დაბალია ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია...

— დიხს, რეფორმების საკითხი არახალია... ამით კი ჰგონიათ, რომ პირველმა დაინყეს ნოვაციებზე ზრუნვა...

მაშინ მე მოვამზადე პროექტი რესპუბლიკის ქართულ და არაქართულ სკოლებში ქართული ენის გაუმჯობესების შესახებ... რაც ამ სფეროს ძირეულ გარდაქმნას ითვალისწინებდა...

შემდეგ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში — სწავლების მეთოდიკათა კათედრას 14 წელი ვხელმძღვანელობდი...

1995 წლიდან ლევან ჩიქვანიამ მიიმინვია ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ნამყვან მეცნიერთანამშრომლად.



ეთიარ გულდამაშვილი (მარცხნივ) თანამშრომლებთან ერთად.

ამ ქალბატონმა, ოფიციალური და არაოფიციალური მიმართებით ხელში, ირბინა მწერალთა კავშირში, ლიტერატურის ინსტიტუტში, უნივერსიტეტში... დაძრა მთელი ქართული ლიტერატურული ელიტა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1979 წლის ცნობილი დადგინილება მიიღო — „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“...

დღესაც აღზფოთებული საზოგადოების ხმაურიანი პროტესტების ფონზე, როცა სწუხან „მიგვითიებენო, იფიქრეთ, იაზროვნეთ და იმოქმედეთო, სოროსულად“! ამ ქალბატონმა შეძლო იმავე სოროსის თანხებით ქართული ეროვნული იდეოლოგიით განმსჭვალული სახელმძღვანელო დაეფინანსებინა...

იზი გალაკტიონის ფრაზას „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ასე აგრძელებს: „არაფერი არ არის შეუძლებელი“... თვლის, რომ ყველა დროში, ყველა ეპოქაში შესაძლებელია, თუნდაც სადღაც, ჩრდილში მდგომმა, მაგრამ ნამდვილად გამოიხატოს გზა პროფესიული მისიის აღსრულებისთვის...

რა არის პედაგოგის და მეცნიერის, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატის ქალბატონ ეთიარ გულდამაშვილის პროფესიონალიზმის საფუძველი და რა „საიდუმლო“ გზები იცის დასახულ მიზნებათა მისაღწევად?..

— მი მიხეილ ზანდუკელის უკანასკნელი ასპირანტი გახლდით... ის ახალი ჩამოსული იყო გადასახლებიდან. მაღალი, ულამაზესი, ნამდვილი ძველი ქართველი ინტელიგენტის ტიპი... მან სრულიად შეცვალა ჩემი ცნობიერება და მომცა ყველაფერი, ის, რაც შეძლო ახალგაზრდა ასპირანტს შეეძინა...

დიდებული იყო მაშინდელი უნივერსიტეტიც და მისი რექტორიც ნიკო კეცხოველი. მამასავით მხარში ედგა და გზას უკავფავდა თითოეულ სტუდენტს... ვის შეეძლო ჩვენი პროფესორ-მასწავ-




გარდა, ყველა მოსწავლის მშობელი დაპატიმრებული იყო და ბავშვებს გარეთ, „მავნებლის შვილებს“ ეძახდნენ, იქ, სკოლაში კი ყველანი თავისუფლები ვიყავით. პედაგოგები ლიტერატურულად ნენ. განთავისუფლებულები ვიყავით იდეოლოგიური ჩარჩოებიდანაც... ქართულს გივი გაბლიანის მიღმა — ვერა გაბლიანი გვასწავლიდა...

ჩვენ სკოლაშივე ვიღებდით სიღრმისეულ განათლებას...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არაქართულ სკოლაში მივედი ქართულის პედაგოგად. მიკვირდა, რომ იქ ქართველებიც სწავლობდნენ, რომელთათვის ანბანი მე უნდა მესწავლებინა. ქართული არაქართულ სკოლებში უცხო ენად ითვლებოდა და მესუთე კლასიდან ასწავლიდნენ. რუსი სამხედროების შვილები კი განთავისუფლებული იყვნენ ქართულის გაკვეთილებისგან.



30-14 სკოლა, 1939 წელი



და რაც მთავარია, დღეს პროფესიონალმა თავმარგულად, ყოველგვარი ხმაურისა და ლოზუნგების გარეშე უნდა აკეთო საქმე... მე არ ვიჯერებ მოსაზრებას, რომ დღეს ან როდესმე შეუძლებელია მოღვაწეობა, მაგრამ ჩვენს დროებაში პროფესიონალს ბრძოლის უნარიც უნდა ჰქონდეს... მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძოდი. ლაფის დასხმაც დამინყეს. გიჟადაც მომნათლეს, მაგრამ არ ვაჩერდი...

2004 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა, ექსპერტმა მისტიარ დევიდმა თბილისში გამოცემული სახელმძღვანელოები გადაათვალიერა. გულდამაშვილის ჯგუფის მიერ შედგენილი V კლასის „გმობლიური ლიტერატურა“ განსაკუთრებით ჩაუღრმავდა და „პაშპაშა პარსკაშაში“ უწოდა.

მისტერ დევიდმა ქართული ენა არ იცის, მაგრამ მან ამ წიგნზე ნამდვილი პროფესიონალთა ხელის ანაბეჭდი იგრძნო.

ეს კი ის ძალაა, რომელიც არასოდეს არც ერთ დროებაში არ ჩერდება. ის ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა.

გოგა და დოდოშკა

ასე ეძახდნენ ერთმანეთს მთელი სიცოცხლე და-ძმა ტოვსტონოგოები



გიორგი ტოვსტონოგოვის დეიძლი და ნათელა ტოვსტონოგოვა დღესაც პეტერბურგში, პეტრეს სანაპიროზე იმ სახლში ცხოვრობს, რომელსაც რუსეთში „თავადაზნაურთა“ ბუდე შეარქვეს. არა ერთი ათეული წელი იცხოვრა ამ ბინაში ქალბატონმა ნათელამ ძმასთან და საკუთარ მეუღლესთან — დიდი დრამატული თეატრის სახელგანთქმულ მსახიობთან, ვეგენი ალექსის ძე ლებედევთან ერთად.

პეტერბურგელმა ჟურნალისტებმა საიუბილეოდ ტოვსტონოგოვის თეატრი გაიხსენეს:

— ძალბატონო ნათელა, კვლავაც გაქვთ კავშირი დიდ დრამატულ თეატრთან?

— დიახ, მე ბევრთან ვმეგობრობ. ყველა პრემიერას ვესწრები.

— ძველი თეატრალურიდან ახლა ცოტა თუ ვინმე დადის დღე-ში. ასე ამბობენ, არ გვინდა განბილუბულები დავრჩეთო. ის თეატრი აღარ არის, ტოვსტონოგოვის დროს რომ იყო...

— ის ვერც იქნება „ისეთი“, რადგან იქ ახლა სამხატვრო ხელმძღვანელიც სხვაა და რეჟისორებიც სხვები არიან. ეს ხომ ბუნებრივია, თუმცა თეატრი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი დონე, არ ცდილობს რაღაც გასართობი ხერხებით მიიზიდოს მაყურებლები. თეატრი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს „ის“, როდესაც გამოჩნდება თუნდაც სხვა მართულების, მაგრამ ტოვსტონოგოვის დონის ადამიანი.

— თუ ჰქონდა გიორგი ალექსანდრეს ძეს ისეთი სპექტაკლი, რომელიც თქვენ განსაკუთრებით გიყვარდათ და ბევრჯერ გაქვთ ნანახი?

— ძალიან მიყვარდა „ბარბაროსები“, ანსამბლის თეატრისთვის, გასაოცარი სპექტაკლი იყო. შემდეგ ბევრჯერ მენახა „ხოლსტომერი“, ეს სპექტაკლი ყოველთვის რაღაცნაირად სხვანაირი იყო, მოსაწყენი კი არასდროს ყოფილა. მიყვარდა „ვაიჭკუისაგან“, სპეციალურად მივდიოდი ლავროვისა და დორონინის შესანიშნავი დიალოგის სანახავად. „ხანუმას“ ნახვაც ბევრჯერ შეიძლება. რაღაც განსაკუთრებულად, ძველ თბილისზე ნოსტალგიით იყო გაკეთებული. ეს იყო მიუზიკლი, მაგრამ დიდი სიღრმის მქონე. ამბობენ, რომ გიორგი ალექსანდრეს ძე ისეთი ძლიერი ენერჯის პატრონი იყო, რომ მისი ემინოდა. მისი იმდენად არ ემინოდათ, რამდენადც ერიდებოდათ, რომ არ მიუსულიყვნენ რეპეტიციაზე, რომ დაეგვიანათ...



— ძმა თეატრის საქმეებზე თუ გესაუბრებოდათ ხოლმე, ეჭვებს, პრობლემებს თუ გიზიარებდათ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით.

— ისე, ეს გასაკვირია. თქვენ ყოველთვის მეგობრები იყავით, განუყრელები. საიდუმლო, ალბათ, თქვენს აღზრდაშია, ყველაფერი ოჯახიდან მომდინარეობს?

— ოჯახში ხუთი მამაკაცი იყო, გიორგის ორი პატარა ვაჟი შვილი, ერთი მათგანი — ჩვილი, ისინი დიდ ყურადღებას ითხოვდნენ. ასე რომ, სამუშაოსთვის არ მცხელვდა. თანაც, ინსტიტუტის შემდეგ ხომ განაწილებით სადღაც უნდა წავსულიყავი. ჩვენს სიტუაციაში კი ეს სრულიად არარეალური იყო.

— არასდროს გინანიათ, რომ თქვენი სიცოცხლე ოჯახს შესწირეთ, ჯერ ძმას, მერ კი ქმარსაც?

— იყო შემთხვევები, როდესაც სადღაც მიწვევდნენ. მაგრამ ჩემი კაცები ძალიან მთხოვდნენ, რომ საშუაოდ არ წავსულიყავი და ყველაფერი მშვიდდებოდა. საერთოდ ჩემთვის საინტერესო იყო მათთან ყოფნა, და ეს პროფესიის კომპენსირებას ასდენდა.

— მოგვიანებით, როცა სახლში „მეორე თეატრი“ გაქონდათ, სცე-

ნაზე არ გიოცნებიათ? მაგალითად, მსახიობობაზე?

— მსახიობობაზე — არასდროს. სხვა რამეზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი, რომ თეატრალურზე უნდა წავსულიყავი. შემთხვევით ხომ არ ვაპირებდი ფსიქიატრობას, სამისო მონაცემები მქონდა. თეატრსა და ფსიქოლოგიას ხომ ბევრი საინტერესო ურთიერთობა აქვს.

— წიგნი კი არ დაგიწერიათ?

— არა. თუ მოვასწარი, შეიძლება ვუკარნახო კიდეც. მეტისმეტად ბევრი მოგონება მაქვს, ძნელია ყველაფრის დალაგება, ერთი მეორეს „ეჯახება“, ორი ბედი გადაეწინა ერთმანეთს — ტოვსტონოგოვისა და ლებედევის, ორივე ასე საინტერესო და განსხვავებული.

— გამოდის, რომ ვილას არ დაუნერია მათ შესახებ, — თქვენ კი, მათთვის ყველაზე ახლობელ ადამიანს, არა.

— დიახ, ასე მოხდა. და მართალია, რომ მე შემეძლო ბევრი რამე მომეხსრო, ბევრი რამისთვის მომეფინა ნათელი. და მაინც, იცით, როდესაც ერთ ბინაში სამი მონიფუნი შემოქმედი ადამიანი ცხოვრობს, ერთს პიესის გარჩევა უნდა, მეორემ ამ დროს სცენარი უნდა წავიკითხო. ამასთან ყველას ჭამა უნდა! გიორგი ალექსანდრეს ძემ იცოდა ხოლმე თქმა: „ნურაფრის მოზადებას ნუ დაიწყებ, ერბოკვერცხი გაიკეთე და მორჩა“. მე კი ვესიტყვებოდი: ერბოკვერცხი შენ დილით უკვე ჭამე-მეთქი.

— შვილიც და შვილიშვილიც კულინებში გაიზარდნენ?

— არა. ჩვენ ამას გავურბოდით, არ გვინდოდა, თეატრით დაავადებულიყვნენ. გვემინოდა, ხელოვნურად არ გამოგვსლოდა, თითქოს ბიჭებს თავს ვახვევდით ამას. თუ ადამიანს ნიჭი აქვს, ის ისედაც გამოვლავლდება.

გიორგი ალექსანდრეს ძე იმის წინააღმდეგი არ ყოფილა, რომ მისი შვილი რეჟისორი გამხდარიყო. მაგრამ არც ხელს უწყობდა ამაში. თბილისში მის ხელში შესანიშნავად მუშაობდა გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი. მოგვიანებით ის მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. თუმცა, მას ისეთი პოზიცია არ ჰქონია, როგორც მამამისს, რომლისთვისაც თეატრი ცხოვრების

მთავარი საქმე იყო. მას შეეძლო, როცა პირადი პრობლემები გაუჩნდა, თეატრიდან წამოსულიყო, რაც გიორგი ალექსანდრეს ძისთვის ყოველად წარმოუდგენელი იყო.

— შვილიშვილია, ალბათ, ვერნახა სახელოვანი პაპის დადგმები?

— არა, რალაც-რალაცები ნახა. პატარა იყო, მაგრამ საკმაოდ განვითარებული. გიორგი შვიდი წლის თუ იქნებოდა, როდესაც მსხვილშრიფტიანი წიგნი მივუტანე და ვუთხარი: „თუ შენ დღეს „ხოლსტომერს“ წაიკითხავ, ხვალ წაგიყვანს სპექტაკლზე „სცენის ისტორია“. ის კი მეუბნება: „დოდოშკა, მე ეს უკვე სამჯერ წავიკითხე. მაგრამ თუ შენ გინდა, შემიძლია მეოთხედაც წავიკითხო...“

— დღეს ტოვსტონოგოველები ლაპარაკობენ იმაზე, როგორი იქნებოდა დიდი დრამატული თეატრი, იქ რომ ახლა გიორგი ალექსანდრეს ძე მუშაობდეს...

— რა სალაპარაკო! სამწუხაროდ, მან იმ დრომდე ვერ იცოცხლა, როდესაც შეიძლებოდა თეატრის ისე რეფორმირება, როგორც ის იცნებოდა და დაედგა ის, რაც სურდა. მას ხომ ძალიან ხშირად უწევდა სუსტი ავტორების გადაკეთება. ეს ძნელი იყო, მაგრამ მან ეს ისწავლა. საზეიმო, „ადამია-

ნურ“ სპექტაკლებს დგამდა. სხვანაირად ვერ იარსებებდა! ამას სიცოცხლის ნაწილი მოახმარა სხვათა შორის, ზოგჯერ არცთუ ცუდი სპექტაკლები გამოდიოდა. ერთხელ, როცა ჩემი ძმა ის-ის იყო ლენინგრადში მოღვაწეობას იწყებდა, დიდ დრამატულ თეატრს მაყურებლის მოზიდვა სჭირდებოდა და გიორგი ალექსანდრეს ძემ დადგა პიესა „როცა აკაცია ყვავის“. მას მუსიკალური ნიჭი ჰქონდა და მშვენიერი სპექტაკლი გამოვიდა, უმნიშვნელო სულაც არ ეთქმოდა...

— ტოვსტონოგოვს არცერთი სურათი არ გადაუღია, ასე არ არის?

— ძალიან უნდოდა ფილმის გადაღება. უკვე მომზადებული ჰქონდა „მკვდარი სულები“. საქმე როდესაც განაწილებამდეც კი მივიდა. მაგრამ როგორც კი წარმოიდგინდა, რომ ერთი წლით უნდა მოსულიყო თეატრიდან (მაშინ ხომ ასე წინააღმდეგობა იღებდნენ, როგორც ახლა — სერია ერთ კვირაში), უმალ უარს ამბობდა ამ იდეაზე.

90 წელი შესრულდა გიორგი ტოვსტონოგოვის დაბადებიდან. მას სიყვარულით იგონებენ პეტერბურგში... ვნახოთ, როგორ აღნიშნავენ ამ თარიღს ჩვენთან, თბილისში...



ნარსულიდან

ფოროზა უჩერებელი დრო



1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო, შემდეგ განათლების და ერთდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე 1921 წელს ემიგრაციაში არ გადახვენილა, დარჩა



საქართველოში, ღრმად სწამდა საქართველოს მომავლისა, ის არ ეპუებოდა სტალინის უსასტიკეს ტირანიას და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხებში ეწინააღმდეგებოდა კიდეც „დღე ბელადს“, იგი მაგალითად, წინააღმდეგი იყო საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გაერთიანების ამიერკავკასიის ფედერაციაში. ის მოითხოვდა, რომ საქართველო ცალკე რესპუბლიკა ყოფილიყო და ამას მიიღწია კიდეც. აღსანიშნავია, რომ სტალინის მის შენიშვნებს არაერთხელ დათანხმებია. მაგალითად, 1928 წელს მას ნება დართეს, გადასახლებიდან საქართველოში ჩამოსულიყო, საქართველოს მთავრობამ — მიხეილ კახიანმა, ლევან ლოლობერიძემ მანქანა გამოუყვეს, შენი თვალთ ნახე, რა გავაკეთეთ სა-

ქართველოში; შერიგება და თანამშრომლობაც შესთავაზეს, მაგრამ გრიგოლმა ამიერკავკასიის ფედერაციაში ცხოვრებას საპყრობილესი ცხოვრება ამჯობინა და თავისი ფეხით დაბრუნდა უკან. 1936 წ. გრ. ლორთქიფანიძეს ნება დართეს მეუღლესთან ლუბა ავრამენკოსთან ერთად თვენახევრით კურორტ კისლოვოდსკი ჩამოსულიყო დასასვენებლად და სამკურნალოდ. ეს სურათი სწორედ იქ არის გადაღებული. ხოლო 1937 წელს 2 სექტემბერს (მის დაბადების დღეს) ჩეკას ჯურღმულებში წამებით ამოხადეს სული...

ეს ორი სურათი ნათელი დადასტურებაა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა. გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწემ გრიგოლ ლორთქი-

ფანიძემ 1902-1918 წლები ძირითად უკრაინაში გაატარა. აქ, ოდესის უწინვერსიტეტში სწავლისას, უკრაინელ სტუდენტებთან მეგობრობით გაიცნო უკრაინელი მწერლის ტომოთე ავრამენკო, რომელმაც ღირსეული მეგობრობა გაუწია გრიგოლს და იმ გაჭირვების და საშიშ პრობლემებში საქართველო არ მიუტოვებია და საშუალოდ ღირსეული ქართველი შვილი აღუზარდა საქართველოს, ხოლო 1917 წელს, როდესაც მთელ რუსეთში განუკითხაობა სუფევდა, გრ. ლორთქიფანიძემ 1918 წელს ავრამენკოების ოჯახი საქართველოში ჩამოიყვანა და მათი მეორე ქალიშვილი კლავდია ავრამენკო ბრწყინვალე ქართველმა ეკონომისტმა პროფ. სორმა ნიკოლოზ ქოივამ შეერთო ცოლად. ამრიგად, საქართველოში დაფუძნდა ორი ბრწყინვალე ქართულ-უკრაინული ოჯახი, როგორც განსახიერება ამ ორი ერის მეგობრობისა.

გურამ ბობრიაძე.

ჩვენი ტელეფონებია:
99-55-01; 893 14-57-56.
ჩანართში მუშაობენ: ნინო სოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



ქრისტიანული

24 ოქტომბერი, 1648 წელი

დაიწყო ვესტფალიის სამშვიდობო ზავი, რომლითაც დასრულდა გერმანიის პროტესტანტულ და კათოლიკურ სამთავროთა შორის გაჩაღებული ოცდაათწლიანი (1618-1648 წ.წ.) სისხლისმღვრელი ომი. ვესტფალიის ზავმა დამოუკიდებლობა მოუპოვა ნიდერლანდებსა და შვეიცარიას, ხოლო საბედისწერო როლი ითამაშა გერმანიისათვის.

25 ოქტომბერი, 1722 წელი


რეიხსის საკათედრო ტაძარში მეფედ აკურთხეს ლუდოვიკო XIV მეფე-მზის შვილთაშვილი თორმეტი წლის ლუდოვიკო XV. ტახტზე სვლისთანავე სახელმწიფო სადავეები მეფესთან ერთად ხელთ იგდეს სახელმწიფო მინისტრებმა და ფავორიტებმა. სახელმწიფოს მართვა ლუდოვიკო XV მხოლოდ 20 წლის შემდეგ შეძლო. მან რეგენტი ჰერცოგი ფილიპე ორლეანელი შეცვალა ბურგუნდიის ჰერცოგით, რომელმაც თხოუმეტი წლის მეფე აიძულა დაქორწინებულიყო მასზე შვიდი წლით უფროს მარია ლეშინსკაიაზე, პოლონეთის მეფის სტანისლავის ასულზე.



26 ოქტომბერი (+1815 წ.)

სსანეპის დღე ღირსი ანტონისა ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და მისი მოწაფე იაკობ ხუცესმონაზონისა. ღირსი ანტონ ჭყონდიდელი დაიბადა სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის მრავალშვილიან ოჯახში.

ღედა — გულქანი — რაჭის ერისთავის შოშიტა III-ის ქალიშვილი იყო. ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული — მარიამი იზრდებოდა (შემდგომში იმერეთის დედოფალი, ცოლი სოლომონ დიდისა). მამის გარდაცვალების შემდეგ ღირსი ანტონი, ძმის კაცია დადიანის კარზე იზრდებოდა. მას საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა შრომებზე მეტად საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება შეასწავლეს. ანტონი ფლობდა თათურულ ენასაც. მოხდა ისე, რომ ანტონმა მონაზვნობა გადაწყვიტა და მალე აღიკვეცა კიდეც. მან მიმართა მარტვილელ ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ცენტობდა წმინდა მამათა თხზულებებს. განაქვეყნა ფრანგი მისიონერები, რომლებიც მას ფილოსოფიას ასწავლიდნენ. ამხილა ისინი მწვალებლობაში. სწავლას მოწყურებული ანტონი 1757 წელს გაემგზავრა თბილისში, ერეკლე II კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი. 1761 წელს სამეგრელოში დაბრუნებისთანავე მას ხელი დაასხეს ცაგერის ეპისკოპოსად. 1765 წელს ანტონ ცაგერელს კვლავ მოუხდა თბილისს გამგზავრება — მისმა ძმამ ცოლად შეირთო ერეკლე მეფის და ელისაბედი. წირვის დროს მან აღაფრთოვანა საქართველოს კათოლიკოსი და უმაღლესი სამღვდელთა კოლეგია. 1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლი, მის ტახტზე ღირსი ანტონ ცაგერელი ავიდა. XVIII საუკუნეში სამეგრელოში ზოგიერთმა დიდებულმა შემოიღო ტყვედ გაყიდვის უსაშინლესი წესი. ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას. 1792 და 1794 წელს ანტონის თავმჯდომარეობით მოეწყო ადგილობრივი კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. 1789 წელს მიტროპოლიტმა ანტონმა ც დატოვა ჭყონდიდის კათედრა, უბრალო მონაზვნური ღვაწლი იტვირთა და მის მიერვე აშენებულ ნახარებაუს მონასტერში განმარტოვდა. მან მთავარს კაცია დადიანს ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფლებინა საერო გადასახადებისგან. ღირსი ანტონს მუდამ გვერდით ედგა უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღვდელ-მონაზონი იაკობი, რომლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ღირსი ანტონი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს მის მიერ აშენებულ მონასტერში, დაკრძალულია იქვე.



ღედა — გულქანი — რაჭის ერისთავის შოშიტა III-ის ქალიშვილი იყო. ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული — მარიამი იზრდებოდა (შემდგომში იმერეთის დედოფალი, ცოლი სოლომონ დიდისა). მამის გარდაცვალების შემდეგ ღირსი ანტონი, ძმის კაცია დადიანის კარზე იზრდებოდა. მას საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა შრომებზე მეტად საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება შეასწავლეს. ანტონი ფლობდა თათურულ ენასაც. მოხდა ისე, რომ ანტონმა მონაზვნობა გადაწყვიტა და მალე აღიკვეცა კიდეც. მან მიმართა მარტვილელ ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ცენტობდა წმინდა მამათა თხზულებებს. განაქვეყნა ფრანგი მისიონერები, რომლებიც მას ფილოსოფიას ასწავლიდნენ. ამხილა ისინი მწვალებლობაში. სწავლას მოწყურებული ანტონი 1757 წელს გაემგზავრა თბილისში, ერეკლე II კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი. 1761 წელს სამეგრელოში დაბრუნებისთანავე მას ხელი დაასხეს ცაგერის ეპისკოპოსად. 1765 წელს ანტონ ცაგერელს კვლავ მოუხდა თბილისს გამგზავრება — მისმა ძმამ ცოლად შეირთო ერეკლე მეფის და ელისაბედი. წირვის დროს მან აღაფრთოვანა საქართველოს კათოლიკოსი და უმაღლესი სამღვდელთა კოლეგია. 1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლი, მის ტახტზე ღირსი ანტონ ცაგერელი ავიდა. XVIII საუკუნეში სამეგრელოში ზოგიერთმა დიდებულმა შემოიღო ტყვედ გაყიდვის უსაშინლესი წესი. ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას. 1792 და 1794 წელს ანტონის თავმჯდომარეობით მოეწყო ადგილობრივი კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. 1789 წელს მიტროპოლიტმა ანტონმა ც დატოვა ჭყონდიდის კათედრა, უბრალო მონაზვნური ღვაწლი იტვირთა და მის მიერვე აშენებულ ნახარებაუს მონასტერში განმარტოვდა. მან მთავარს კაცია დადიანს ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფლებინა საერო გადასახადებისგან. ღირსი ანტონს მუდამ გვერდით ედგა უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღვდელ-მონაზონი იაკობი, რომლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. ღირსი ანტონი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს მის მიერ აშენებულ მონასტერში, დაკრძალულია იქვე.

27 ოქტომბერი, 1275 წელი

წინანსურ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს პოლანდიელი გრაფი ფლორის V, პირველად მოხსენიებული ქალაქი ამსტერდამი.

გრაფის თავდებით ყოველგვარი საეკლესიო გადასახადებისგან თავისუფლებიან ამსტერდამის მცხოვრებნი. თავდაპირველად ქალაქი მეთევზეთა დაბა იყო, რომელიც ააგეს ამსტერდამის ყურეში. თავიანთი სახლები რომ მიქნევარე ტალღებისაგან დაეცვათ მეზობლები აგებდნენ დამბებს — პოლანდიურად „დამბ“. ქალაქის სახელწოდებაც აქედან წარმოდგება — ამსტერდამი. შემდგომში ტრანსფორმაცია განიცადა სიტყვა და იქცა ამსტერდამად. დღეს ამსტერდამი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია ევროპაში.

დასოვნება

ის უბრალოდ მამასა, შვილი შეეძვას... ჩამასა

„დიდაცხების“ („დიდაცხები-საც“) შვილები მშობლებს ზოგჯერ სერიოზულ პრობლემებს უქმნიან უღირსი ქცევით... უკრაინის პრეზიდენტს, ვიტორ იუშჩენკოს პირველი ქორწინებიდან მოზრდილი ვაჟ-ქალი გადმოჰყვა. ვაჟი, ანდრეი, აგერ მერამდენედ გაება სკანდალში...

ამას წინათ, ლამით, კიევის ცენტრში უცნობმა პირებმა ჟურნალ „პაპარაცის“ გამოცემლის, ვალდარ ფუშის კუთვნილი ავტომობილი „ვენტლი“ დაწვეს. დედაქალაქში ხმა აგორდა, რომ ეს შურისძიება იყო თურქეთში ანდრეი იუშჩენკოს „გრილისადმი“ მიღწენილი ფოტორეპორტაჟის გამოქვეყნებისთვის. გაზეთ „КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА“-სთვის მიტერევიუში გამოცემელმა დაადასტურა ეს ვერსია.

ეს არის თქვენი პირველი კონფლიქტი ანდრეისთან...

სწორია. მარტში პრეზიდენტის ვაჟს ფოტო მაშინ გადაეუღეთ, როცა ძვირფას საძვალეს ყიდულობდა კიევის ცენტრში. დავებქვით კიდევაც. მოგვიანებით რესტორანში მყოფ ჩემ ძმასთან მოულოდნელად მივიდა თვით ანდრეი იუშჩენკო და განუცხადა — კიდევ ერთხელ ჩემი სურათის გამოქვეყნება და თქვენი გაქრობა ერთი იქნება. შემდეგ ჩვენ ერთ-ერთი მინისტრი, აგრეთვე პრეზიდენტის დაცვის უფროსი დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს, ეს ამბავი ევროპაში

არ გაგვეზიარებინა — უკრაინის იმიჯი შეეღებოდა.

თქვენ არ შეშინდით და თურქეთშიც რაღაცა გამოჩნდით...

იქ იმასთან ერთად მეგობრების მთელი კომპანია ჩავიდა. ოტელში მარტო ერთი დღე-ღამით ცხოვრებაში ანდრეი 2500 დოლარს იხდიდა. რესტორანში რომ შედიოდა, დარბაზი სხვა მიმსვლელთათვის იკეტებოდა!

წინასწარ როგორ შეიტყო პრეზიდენტის შვილმა, რომ თურქეთიდან ფოტოს დაბეჭდვას გეგმავდით?

ანონსი მოვათავსეთ, „პაპარაცის“ ყდისა, ერთ-ერთ კიევერ გაზეთში. მაშინვე მუქარებიანი დარეკვა დაგვიწყეს. 30 სექტემბერს, ღამით, აივანზე გამოსულმა დავინახე, თუ როგორ ბრიალებს ჩემი „ვენტლი“. ვილაცამ ავტომობილის სარკმელი ჩაამსხვრია განტეხილი და შიგნით ბენზინიანი კანისტრს შევადგო. ჩვენ საფრანგეთში გავილაღეთ, თუმცა მუქარებიანი სატელეფონო ზარები გრძელდებოდა...

ქალიშვილს, ვიტალინას რაც შეეხება, მან პირველად მიიპყრო უკრაინელი „პაპარაცების“ ყურადღება. კიევი ჩავილა „მოდის რეზონანსზე“ ის პირდაპირი აზრითაც „გაიჩითა“ დოლჩესა და გაბანას მიერ წარმოდგენილ გამჭვირვალ სამოსელში. ფოტოკორესპონდენტებმა ჯეროვნად შეაფასეს პრეზიდენტის ქალიშვილის თამამი ტანსაცმელი.



იუშჩენკოს ქალიშვილი — ვიტალინა

იმის გათვალისწინებით, რომ ასალი კოლექციები მხოლოდ უკრაინელმა მოდელიორებმა გამოიგინეს და ყველა იქ დამსწრე მანდილოსანი ადგილობრივ კულტურეთა ტანსაცმლისთა კონსიაობდა, იუშჩენკოს ასული ამოყარდნილი გახლდათ საერთო რიგადან.

ნეტავ თუ მოხვდება, მამიკოსგან, გამომწვევი შესახედაობისთვის?... არადა, ეს ვიტალინა, თურმე, ძმას კიდდად არც ჩამორჩება კიევის კლუბებში თავგადასავლებით.

ამასობაში უკრაინის პრეზიდენტი თავგამოდებით ცდილობს ფუქსავატი ვაჟის დაცვას, რომლის ირგვლივ სკანდალები არ წყდება. ახლახან სპეციალურ პრესკონფერენციაზე განუცხადებია: „ის, რაც ჩემ შვილზე დაინერა და ითქვა, ჭეშმარიტებისგან შორს არისო“. თუმცა, როგორც ჩანს, ანდრეის ორი-სამი ხულიგნური გამოხდობა კორესპონდენტებს დასძინა: „საერთოდ კი ზოგიერთ რამეში ჟურნალისტები სწორი გამოდგნენ და იმათი მაღლირი ვარო“...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



ჩემი თავი არ მომწონს

არც ხალხს მოსწონს

იუშჩენკოს ვაჟი ანდრეი მორიბ ტურფასთან ერთად

ყველაფერი ყველაფერზე

სიმულანტობა

შემოთხვეული მწერტონელები მათი მკურნალობისას დიდხანს აზრზე ვერ მოდიოდნენ, რომ უბრალოდ, ტყუფდებოდნენ. თეატრში არსებობს შეფარული შეთანხმება: ყველა გაცხიებული მაიმუნი თანამშრომლებს დროებით თავისთან გაჰყავთ, სამსახიობო ოთახში (სადაც ცხოველებისთვის სპეციალური ვოლიერებიც კი არის). აქ მათ ლიმონიან ტკბილ ჩაის ასმევენ, თაფლს აჭმევენ, სხვადასხვა ტკბილეულით ანებივრებენ. ბევრ დროს უთმობენ, ხელში აჰყავთ, ეფერებიან. ისედაც, „საერთო საცხოვრებელთან“ შედარებით, ცხოველთათვის სამსახიობო გაცილებით თბილი და მყუდროა.



ჭიროა ავად გახდომა. გაციების სიმულირება პირველად დედამა მაიმუნმა ელისმა დაიწყო, მერე სხვებიც აჰყვეს. ყველას უხვად სდიოდა ცხვირიდან ცინგლი, ამასთან შიმპანზები არ ახველებდნენ, არ ამცხიკვებდნენ და საერთოდ, საკმაოდ აქტიური და მხიარული ჩანდნენ. დაექვებულმა მწერტონელებმა თვალთვალი დაუწყეს. გამოიკვია, რომ როგორც კი მაიმუნები მარტო რჩებოდნენ, ნერწყვს გამოყოფდნენ, ტუჩს აიბურცავდნენ და ცხვირს გვარინად ილბობდნენ. ასე იქმნიდნენ ძლიერი სურდოს „იმიჯს“... მსახიობებმა როდი მიმართეს საზრიანი ცხოველების დასჯის ხერხებს...

ინტერნეტზე სარჩელით ამირიკალ მწერალთა ჯგუფი სასამართლოში უჩივის ინტერნეტკომპანიას „GOOGLE“ — ციფრულ ფორმაში რამდენიმე დიდი საბიბლიოთეკო კრებულის გადატანა ლიტერატორთა საავტორო უფლებებს არღვევს. 8 ათასი მწერლის

გამაერთიანებელმა ავტორთა გილდიამ სარჩელი ნიუ-იორკის საოლქო სასამართლოში შეიტანა. მოსარჩელები ზარალის ანაზღაურებასა და მომავალში ამგვარ ქმედებათა აღკვეთას მოითხოვენ. „GOOGLE“-ის წარმომადგენლებმა სინანულებდნენ, არ ექვემდებარებოდნენ გილდიის ასეთი ნაბიჯის გამო და განაცხადეს, რომ ინტერნეტში მრავალი ცნობილი წიგნის ტექსტების მოხვედრა ავტორებს სარგებლობას მოუტანს. ამასთან კომპანია მწერლებს დამატებითი კონსულტაციები თხოვა.

იმისთვის, რომ სტანფორდის, ჰარვარდისა და მიჩიგანის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებიდან, აგრეთვე ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკიდან მილიონობით წიგნის ციფრული არქივი შეიქმნას, კომპანია 200 მილიონ დოლარს გამოყოფს. ვარაუდობენ, რომ ციფრულ ფორმაში წიგნების გადატანის ყველა სამუშაოს 10 ენა დასჭირდება. ოლონდ ეს საქმე უკვე შეჩერებულია ნოემბრამდე — რამდენიმე ჯგუფის პროტესტების გამო, რომლებიც აცხადებენ, რომ ადგილი აქვს საავტორო უფლებათა დარღვევას.

კრედიტი გინდა? – წილში გაიყვანე!

კომერსანტმა ალექსეი ე.მ საკუთარი ბიზნესის გაფართოება გადამწყვეტი და 100 ათასი დოლარის კრედიტისთვის ბანკს მიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი ჰქონდა, მას უარი უთხრეს კრედიტზე. სამაგიეროდ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები, რომლებმაც ყველაფრის მოგვარება შესთავაზეს, ოღონდ დამატებითი პროცენტით. როგორც გამოიჩვენა, ე. წ. წილში გაყვანის სისტემა წარმატებით მოქმედებს საბანკო კრედიტის მიწოდებაში. ინტერნეტში მე ძალიან სწრაფად მივაკვლიე განცხადებას: „ბიზნესის იურიდიული თანხლება. დახმარება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კრედიტის, სესხის მიღებაში“. ყურმილში გახარებული გაისმა: „გინდათ საბანკო კრედიტის მიღებაში დაგეხმარეთ? კომისია — 15-20 პროცენტი, გააჩნია იმ თანხის ოდენობას, რომელსაც იხვოვთ და აუცილებელი დოკუმენტების ფლობას. რატომ ასე ბევრი? ეს მარტო ჩვენი მადა არ არის. ნაკლები პროცენტისთვის მუშაობა არასებელსაყრელია — ფულის მეტი ნაწილი მსესხებლის წარმომადგენლებს მისდით. უნდა „მოუტეხოთ“ — ისინი ხომ ბანკირები არიან. ამ ცხოვრებაში მათი ამოცანა ფულის შოვნაა. ალბისთვის შობილს კი გაცემა არ შეუძლია“.



გულუხვად არიგებდნენ ამ „მოსატყუებელს“ და კარგა მოზრდილი თანხებსაც ღებულობდნენ რუსეთის ბანკებში, მერე კი ამ ფულით იარაღს ყიდულობდნენ.

მას მერე საბანკო მომსახურების ბაზარმა ბევრად უფრო „ცივილიზებული“ სახე მიიღო. მაგრამ უნიკალური ველური ტრადიციები ზოგან ჯერ კიდევ შემორჩა. ოღონდ ახლა ბანკირები უფრო ფრთხილები არიან. თუ ადრე მსესხებელს პირდაპირ უცხადებდნენ, რამდენი უნდა „მოეტეხათ“ რათა კრედიტი მიეღოთ, ახლა ეს უფრო ხშირად შუამავლების მეშვეობით ხდება. ბანკების ხელმძღვანელობაში ამ ადამიანებს მჭიდრო კავშირები აქვთ და სწორედ ისინი არჩევენ კლიენტებს, საამისოდ კი გაზეთებსა და ინტერნეტში გამოქვეყნებულ განცხადებებს ან ნაცნობების ფართო წრეს იყენებენ. როგორც წესი, ისინი ეძებენ კომერსანტებს, რომლებსაც ინვესტიციები სჭირდებათ. კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის ხარისხისდა მიხედვით პროცენტმა შეიძლება მიღებული სახსრების ნახევარსაც მიაღწიოს. მაგრამ ჩვეულებრივ, ამ მიზნისთვის თანხის 5-15 პროცენტი მიდის ხოლმე — 5 პროცენტს შუამავალი იღებს ჯიბეში. და თუმცა, როგორც წესი, ფინანსების

გაცემის საკითხი ბანკის საკრედიტო კომიტეტის სხდომაზე წყდება ხოლმე, რაც უფრო მაღალია „მოტეხვის“ ადრესატი, მით უფრო დიდია დადებითი გადამწყვეტილების შანსი. შეიძლება გარისკოთ და ბანკის მენეჯერთა საშუალო რგოლის წარმომადგენელსაც შეუთანხმდეთ, მაგრამ ეს სრულ გარანტიას არ იძლევა. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ლაპარაკია იურიდიულ პირთა მსხვილ თანხებთან მუშაობაზე. კერძო პირებთან საქმეს იშვიათად იჭერენ.

საკრედიტო კომიტეტის სხდომა რაღაცით სასამართლო სხდომას მოგვაგონებს. კონკრეტულ კრედიტზე პასუხისმგებელი თანამშრომელი იძლევა ინფორმაციას მსესხებლის შესახებ და გამოთქვამს კრედიტის გაცემის მხარდასაჭერ არგუმენტებს. ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტების (რისი კუთხე დეპარტამენტი, იურიდიული, უშიშროების სამსახური და ა. შ.) წარმომადგენლები გამოთქვამენ საკუთარ აზრს, რომლის საფუძველზეც ხდება საბოლოო გადამწყვეტილების მიღება. მაგრამ ბოლო სიტყვა ყველაზე მაღალ ხელმძღვანელს ეკუთვნის. ზოგჯერ ბანკირები სპეციალურადაც კი ართულებენ განცხადებების განხილვის პროცედურას, — ამისთვის კი ხელშეკრულებაში დამატებითი პუნქტები შეაქვთ ან მსესხებლის შეძლებულობის დამატებით მტკიცებულებებს მოითხოვენ. თუ ორმხრივ ინტერესზე შეთანხმდებიან, გაცემის მოხდენა ამ პროცედურებზეც შეიძლება.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ დაუბრუნებლობის შემთხვევაშიც კი ბანკი არაფერს კარგავს. ცენტრალური ბანკის განკარგულებით ყველა კომერციულმა ბანკმა საკუთარი შემოსავლიდან უნდა შექმნას რეზერვი „არდაბრუნებელთა“ მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაციისთვის, მოგებას კი ბანკები, როგორც ცნობილია, თავიანთი შენაბრების სახსრების სწორი განთავსების შედეგად ღებულობენ. მათ შორის იმ პროცენტებიდანაც, რომლებსაც პატიოსანი მსესხებლები იხდიან. გამოდის, რომ იმ თალღითების ნაცვლად, რომლებიც ფიქტიური ფირმების საფარველში იდებენ კრედიტებს ისე, რომ მათ ნაწილს ბანკირებს „მოუტეხავენ“, ფულს ფარულ ეკონომიკურ თამაშებში ჩაუხედავი მოქალაქეები იხდიან.




გვადებენ, რატომ თქვა უარი ჩვენმა მკითხველმა ასეთ სახარბიელო წინადადებაზე. ცოტა ვინმეს თუ შეუძლია 15-20 ათასი დოლარით მეტი აიღოს, რათა მაშინვე მისცეს ეს თანხა ვიღაც უცნობ ბიძას და მერე მისი საკმაოდ მოზრდილი პროცენტებიც იხადოს.

თუ როგორ ხორციელდება საბანკო, „მოტეხვის“ საქმე, რუსეთის ერთ-ერთი ბანკის ანალიტიკის განყოფილების თანამშრომელმა ამიხსნა. თავად სისტემა 90-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა. იმხანად საბანკო კრედიტის მიღების მსურველებს ნორმალურ ამაღლ მიანდდათ თანხის იმათთვის გაყოფა, ვინც ამ კრედიტს გასცემდა. მით უმეტეს, რომ მსესხებელთა ნახევარი ფულს არ აბრუნებდა... სპეცსამსახურების მონაცემებით, მაშინ ჩვენნი ტერორისტები

ყველაფერი ყველაფერზე

„ცისფერი“ პინგვინები

ნიუ-იორკის ცენტრალური ბაღის ზოოპარკში მცხოვრებმა ორმა მამალმა პინგვინმა თბილისის „ცისფერი“ ოჯახი შექმნა და ერთს-ქეხსა სიყვარულის მიმდევარი ორფეხების ყურადღება დაიმსახურა. უფრო მეტიც, მამათმავალმა პინგვინებმა ნაშვილები ბარტყი გამოზარდეს, რომელზეც (ტანგოდ მონათლულზე) მთელი წიგნი დაიწერა. ეგ კია, ანტარქტიდელი



ფრინველების ექვსწლიანი ჰომოსექსუალური ქორწინება გაიბზარა: პინგვინმა საილოუმ მიატოვა 18 წლის საყვარელი როი, მეტიც, ორიენტაცია შეიცვალა. მიზეზი გახდა კალიფორნიის ზოოცენტრიდან გადმოყვანილი დედალი სკრეუი, რომელთანაც საილოუმ ახალი ოჯახი შექმნა.

ჰომოსექსუალიზმი პინგვინთა შორის სულაც არ ყოფილა იშვიათობა. ეს იმათი ანატომიური აგებულებითაც არის თურმე განპირობებული — ორი მამლისთვის მოსახერხებელია ერთმანეთთან სურვილობა. არც ის ფაქტია გასაკვირი, რომ ერთ-ერთი პარტნიორი, პირველივე შესაძლებლობისას, დედალზე გადაერთოს. ჰომოსექსუალური წყვილები ამ ფრინველებთან დედალი პარტნიორების უკმარისობის დროს წარმოიქმნება ხოლმე, თუმცა გამონაკლისებიც ხდება, როცა მამლებს ერთმანეთი უყვართ ქალურ მშვენიერებათა სრული უგულვებლყოფით...

ჭრილობები, იარაბი მოღაში უეპოლის

წარმოშობით რუსი, ჰიუსტონში მოღვაწე ქირურგი ალექსი კაზაკინი, დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალაქში. მან პლასტიკური

ქირურგიის კერძო კაბინეტი გახსნა. თუმცა იგი სრულფასობით არ ისწრაფვის გაალამაზოს ამერიკელები — პირიქით, კაზაკინი უმახინჯებს მათ სახეებს, ტანს ისე, რომ პაციენტებს ახლობლებიც ვეღარ ცნობენ.

ამავე დროს ისინი ამაში დიდ ფულს იხდიან. დაახლოებით ერთი წლის წინათ ქირურგმა იაზრა, რომ ტატირება მალე გადავა მოდიდან და ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სხვა უფრო ეფექტურ საშუალებებს მიმართავენ. მან — აბსოლუტურად სწორადაც, იწინასწარ იმტყველა, რომ ჭრილობები და იარაბი ამერიკელი ყმაწვილების დამამშვენიებელი ატრიბუტი იქნება. სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში უწყინარ, ჩვეულებრივ ყმაწვილებს, ღრმა ჭრილობებისა და იარაბის იმპროვიზაციით, დაუნდობელ, საშიშ პიროვნებებზე და აქცევს. ჭრილობები კეთდება ძირითადად შუბლზე, ყელზე. კაზაკინი პაციენტების სიმცირეს არ უჩივის — მას მრავალ კლუბთან აქვს დადებული ხელშეკრულება.

ალსანიშნავია, რომ ყმაწვილებთან ერთად ეს მოდა სხვადასხვა სპეციალობის გოგონებმაც აიტაცეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ოპერაციის შემდეგ მათ მარტო გაჩვენდება კი არ ეცვლება, არამედ ემატებათ მამაცობა, თვითდაჯერება, სიმკაცრე.

ქრუსოფრეა

28 ოქტომბერი, 1746 წელი

სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე მიწისძვრისგან გამოწვეული ცუნამისგან პირისაგან მიწისა აღიგავა პერუს ვიცე-სამეფოს ქალაქი ლიმა და მის მახლობლად მდებარე საზღვაო პორტი კალიაო.



ოკეანეში წარმოქმნილმა 25-27 მეტრი სიმაღლის ტალღებმა მიწისძვრისგან დანგრეულ ქალაქებს გადაუარა. დაიღუპა რამდენიმე ათობით ათასეული ადამიანი. ქალაქ ლიმაში 3 ათასზე მეტი შენობა-ნაგებობიდან მხოლოდ 25 გადაურჩა სტიქიას. პოსტ კალიაოში 4 ათასი მაცხოვრებელიდან 200 ადამიანი გადაარჩა.

ეს იყო სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ყველაზე დიდი და საშინელი სტიქია.

29 ოქტომბერი, 1973 წელი

სტამბოლში საზეიმოდ გაიხსნა ათათურქის სახელობის ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს თურქეთის აზიურ და ევროპულ ტერიტორიას.



იგი თავისი კილომეტრნახევრიანი სიგრძით მსოფლიოს უდიდეს ხიდთა ათეულში შევიდა. 33 მეტრი სიგანის დაკიდული ხიდი თავისი უნიკალურობით გამოირჩევა, მისი სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 64 მეტრია. მის ქვეშ თავისუფლად გადიან საოკეანო ლაინერები. პროექტის ავტორია ინგლისელი არქიტექტორი უილიამ ბრაუნი. ფეხით მოსიარულეთა გარდა, ხიდზე გადასვლა ფასიანია. ხიდის აგების იდეა თავდაპირველად თურქეთის პრეზიდენტისა და რეფორმატორის მუსტაფა ქემალისგან მოდიოდა.

30 ოქტომბერი, 1653 წელი

რუსეთში პირველად გამოვიდა ჰუმანური კანონი ქურდებისა და ყაჩაღების მიმართ.

აიკრძალა სიკვდილით დასჯა. ამ დღიდან სამართალდამრღვევთა მარცხენა ხელის ცერა თითის მოკვეთა, ან გაროზგვა, ანდაც განკითხვა უნდა იქნებოდათ. ეს ერთ-ერთი დემოკრატიულ-ჰუმანური კანონი იყო რუსეთის ტერიტორიაზე მიღებული.

31 ოქტომბერი, 1984 წელი

ინდოეთის დედაქალაქ დელიში თავისი პირადი მცველების სინგხების მიერ მოკლული იქნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული პოლიტიკოსი ქალი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი.

სინგხებმა მკვლელობის მიზეზად დაასახელეს პრემიერის განცხადება იმის შესახებ, რომ ოქროს ტაძარში სამხედროები უნდა შესულიყვნენ. ინდირა განდიმ, თითქოსდა გრძობდა მის ალსასრულს, წინა დღეს განაცხადა: „დღეს მე ცოცხალი ვარ, ხვალ კი... არ ვიცი. მაგრამ ჩემი სისხლის ყოველი წვეთი ინდოეთს ეკუთვნის“. 31 ოქტომბრის დილას იგი უნდა შეხვედროდა ცნობილ ინგლისელ მსახიობს, მწერალსა და დრამატურგს პიტერ უსტინოვს. განდი დიდხანს არჩვედა სპეციალურ სამოსს ამ შეხვედრისთვის. ბოლოს ზაფრანისფერი კაბა შეირჩია, ტყვიანობაში უილფრედი გაიხსნა და... პრემიერ მინისტრის მკვლელობამ ინდოელი ხალხის სინგხების მიმართ სიძულვილი და საპროტესტო აქციები გამოიწვია. შური იძიეს ათა-



სობით უდანაშაულო სინგხზე, ინდოეთის პენჯაბის შტატის მაცხოვრებლებზე. მკვლელობის მთავარი შემგვეთი დღემდე უცნობია.

ათასი საიდუმლოს კუნძული

გოლიათები ზღვიდან ამოტივტივებულ კლდეზე იზოვებს

იყო თუ არა აღდგომის კუნძული ჩამირული კონტინენტის ნაწილი?

რატომ სცემდნენ კუნძულის ბინადარი თავყვანს იმავე კერპს, რომელსაც ძველი ეგვიპტელები? საიდან აქვთ კუნძულის ქანდაკებებს ევროპული სახეები, მცხოვრებთ კი თეთრი კანი? ყოველივე ამის შესახებ რეპორტაჟში პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ადგილიდან.

— მოდი აქ! ასე უკეთესად ჩანს. ვულკანის მწვერვალზე ძლიერ ქარს ვებროდი და ისე მივიწვევდი წინ, კლდეში არსებულ პატარა ღრმულს მივუახლოვდი და კინაღამ ადამიანის სახეს წამოვხედი ფეხი. ცხვირი და ტუჩები ზღვის მარილს ამოეჭამა, ვაშლისოდენა თვალეში კი გუგები არ ჰქონდა. გიგანტის სხეული ვულკანში გაჩხირულიყო, თითქოს იქიდან ამოღწევას ლამობს.

— აი ასე ხდებოდა მათი გამოკვეთა, — დამიყვირა ჩემმა მეგობარმა. — ჯერ მთელ ტანს ჩაქუჩებით თლიდნენ, მერე ქანდაკება ოკეანესთან მიჰქონდათ. ამბობენ, რომ სულ პირველი ასეთი გოლიათი აქვე ძლიერი მიწისძვრის დროს ზღვიდან ანაზადამ ამოტივტივებულ კუნძულზე უპოვიათ...

ადგილობრივი მკვიდრი პერ

სსნიდნენ, ვის უაქლო ასობით პირი დაეღაპა ამ

„ჩვენ უბრალოდ ვერ გაგვეტო, რა შეიძლება მომხდარიყო აქ. ასობით გიგანტური ქანდაკება მთელ კუნძულზეა მიმოფანტული. ზოგი მათგანი ევროპული სახის ნაკვეთებიან ადამიანებს განასახიერებენ, სხვები — უცნაურ გრძელყურებულ მამაკაცებს, ერთი კი — თხისწვერებიან ადამიანს. კერპების წონა 10-დან 80 ტონას აღწევს და მათ გადასატანად ჩვენ ამნეს ვიყენებთ. ვის შეეძლო ამ გოლიათების შექმნა, როგორ ასერხებდნენ მათ გადაადგილებას? რომელი ცივილიზაცია არსებობდა აქ, შუა ოკეანეში ამოზრდილ პატარა კუნძულზე?

ცნობილია ნორვეგიელმა მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა, რომელმაც აღდგომის საიდუმლო კუნძულის (ანუ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ, კუნძულ რაპანუის) გამოკვლევას წლები მოანდომა, ეს ჩანან ერებთ ორმოცდაათი წლის წინ გააკეთა. თავიდანვე, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც 1722 წლის 7 აპრილის ადრინი დილით ჰოლანდიელი ადმირალის იაკობ როგოვენის გემი „უცნობ მიწას“ მიადგა, რაპანუი პლანეტაზე ერთ-ერთ ყველაზე მისტიკურ ადგილად ითვლება. ჰოლანდიელები გაოცდნენ, როდესაც დაინახეს, რომ ხმელეთის ამ პატარა სამკუთხა მონაკვეთზე ერთდროულად სამი სხვადასხვა რასა ცხოვრობდა — შავი, წითელკანიანი და... თეთრი ადამიანები. ამასთან ეს უკანასკნელნი იმდენად თეთრები იყვნენ, რომ თავიდან მეზღვაურებს ეგონათ, რომ ისინი აქ გემის დაღუპვის შედეგად მოხვედრილი ევროპელები იყვნენ. კუნძულის ზოგ ბინადარს იმდენად გრძელი ყურები ჰქონდა, რომ მხრებს სწვდებოდა, სხვებს კი ყურები სპეციალურად ჰქონდათ

შეჭრილი. იდუმალ კუნძულზე არც ერთი ხე არ იყო. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თვითონაც არ იცოდნენ და ვერც ხსნიდნენ ვინ და რისთვის დადგა აქ ასობით უზარმაზარი კერპი. მკვლევართა შემდგომმა ჯგუფებმა კუნძულის გამოკვლევებში ასობით მიწისქვეშა გასასვლელი აღმოაჩინა, ის კი



ვერავინ გაიგო, სად ამოდიოდა ისინი. მას შემდეგ, რაც ათამდე ადამიანი უკვალოდ გაქრა ამ ლაბირინთებში (უკანასკნელი — 1965 წელს), გუბერნატორმა აკრძალა ვულკანური კატაკომბების ყველაზე დაბალ ფენებში შეღწევის მცდელობები.

...კუნძული მართლაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. სუნთქვა გეკვრის, როდესაც ვულკან რაპანუარაკუს ძირს უახლოვდები და ირგვლივ ასობით პირქუშ ქანდაკებას (ადგილობრივ ენაზე — „მაოის“) ხედავ, რომლებიც მშვიდად გაჰყურებენ ზღვას. ძალიან ბევრი ქანდაკება დაუმთავრებელია — ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მოქანდაკეთა გუნდმა რაღაც აუხსნელი კატაკლიზმის გამო ერთ წამში შეწყვიტა მუშაობა. როგორც ახალზელანდიელმა ეთნოგრაფმა მაკმილან ბრუნმა დაადგინა, ამ ქანდაკების აგებასა და დადგმას იმაზე არანაკლები შრომა დასჭირდა, რაც ეგვიპტის პირამიდებს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში გაჩნდა თეორია, რომლის თანახმად, აღდგომის კუნძული ოდესღაც კონტინენტის ნაწილი იყო, ეს კონტინენტი კი შემდგომში ჩაიძირა. ქანდაკებების შემქმნელებად მითიური ატლანტიდის მცხოვრებლებსაც ასახელებდნენ და უფრო ძველი ლემურიის კონტინენტის (რომელიც ასევე წყლით დაიფარა) მკვიდრთაც. — მე თავი ატლანტიდა არ მიმაჩნია, მაგრამ რაღაც მსგავსი აქ მართლაც იყო, — მიაბობს ოტელის მეპატრონე მარტინ როდრიგესი. — ჩვენი ძველი ლეგენდები გვიამბობს, რომ აქ დიდი წარღვნა მოხდა, „ციდან და დედამიწის წიაღიდან უამრავი ელვა მოსკდა, მოვარდა დიდი წყალი, და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა“.

უპველანი მკვიდრი მკვიდრი

წახალძევა სამყაროს ცნობილმა მკვლევარმა ჟაკ-ივ კუსტომ, როდესაც კუნძულის შემოგარენს სწავლობდა, ზღვის ფსკერზე მთაგრეხილი აღმოაჩინა — მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ შეიძლება ეს მთები ოდესღაც წყალზე იყო. გარდა ამისა, უმაღლესი მთის მწვერვალზე ათასწლოვანი გზა კუნძულზე ძალზე საინტერესოდ არის გაკეთებული ისინი პირდაპირი ოკეანისკენ მიდის, იქ კი უფროად

წყდება. ზღვის ნაპირზე აღმართულია ცნობილი „მაგნიტური ქვა“. როდესაც საათი ლოდთან ახლოს მიგაქვთ, წამების ისარი ადგილზევე ჩერდება — რაღაც უცნობი მიზეზით ქვა მართლაც ძალიან არის დამაგნიტებული. ის აქ ყველაზე პირველი ქანდაკებების დადგამაზე ხუთასი წლით ადრე აღმართეს. ჰეიერდალი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჩამირული კონტინენტის — ლემურიის უძველეს აღწერილობებში მოხსენიებულია ამგვარი ქვა, რომელსაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები როგორც ლემურთ, ისე ეთაპეანებოდნენ. ნაპირიდან მოშორებით ნაქცეული ქანდაკებებია, ზოგ

მათგანს თავი აქვს მოტეხილი: როგორც ვარაუდობენ, თითოეული მათგანის დამუშავებას ქვისმთელეთა ორი თაობის შრომა მიაჩნია ხმარდებოდა. დღემდე დადგენილია მხოლოდ რამდენიმე კერპის ზუსტი ასაკი — ბევრი მათგანი ქრისტეშობამდე ბევრად უფროსია. იმის დადგენას კი, თუ დანარჩენები რამდენი წლის არიან, ჯერ მხოლოდ ცდილობენ, და ეს ერთ-ერთი მთავარი გამოცანაა, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც გამოდის, ადგილობრივი მკვიდრნი აქ იმაზე ბევრად გვიან დასახლდნენ, ვიდრე აქ პირველი ქანდაკებები დაიდგა. თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება. ასე მაგალითად, XIX საუკუნის ცნობილი რუსი თეოსოფოსი ელენა ბლავატსკაია მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ მათი სულ ცოტა 4 მილიონი წლისაა, შექმნით კი ისინი იმ „გიგანტთა ჯადოქრული რასის“ შექმნილია, რომლებიც ოდესღაც სახლობდნენ დედამიწაზე.

— პირადად მე სკეპტიკოსი ვარ და არ მჯერა იმის, რასაც ატლან-



ტიდაზე ყვებიან, — ამბობს სანფრანცისკოს უნივერსიტეტის თანამშრომელი კეივი ლეიბახი, რომელიც უკვე ათი წელია კუნძულზე ცხოვრობს. — მაგრამ ჩვენ გამოვითვალეთ, რომ 2000 წლის განმავლობაში ციციქნა კუნძულის ძალზე მცირერიცხოვანი მოსახ-

ლეობა ყველა მაოს ნახევარსაც კი ვერ გამოთლიდა ქვისგან, ვერ გადათრევდა ოკეანესთან და ვერ დადგამდა პლატფორმებზე. მაგრამ თუ მათ არა, მაშინ ვინ გააკეთა ეს?

მეცნიერები დიდი ხანია „ჩხუბობენ“ იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ის, ვინც პირველი გადმოვიდა კუნძულზე? მაგალითად, ტურ ჰეიერდალი მუშაობდა ვერსიაზე, რომლის თანახმადაც აქვე, სიახლოვეს აღმოჩნდა ვიკინგების საზღვაო ექსპედიცია და სწორედ ამიტომ ჰქონდა შემდგომში ერთ-ერთ ტომს თეთრი ფერის კანი. მას ბევრი ეთანხმება. ბევრ ქანდაკებას მართლაც სახის ევროპული აგებულება აქვს — სწორი ცხვირი და თხელი ტუჩები. კერპების ნაწილს თავზე წითელი ქუდი ეხურა — ჰეიერდალის ვარაუდით ეს ქუდები სკანდინავთა ჟღალ თემებს ნიშნავდა. მთას, რომლისგანაც „ქუდებს“ თლიდნენ, ადგილობრივ ენაზე პუნა-პაო ჰქვია, საინტერესოა, რომ ფინურად (ანუ ვიკინგთა ერთ-ერთ ენაზე) „პუნა პაო“ „ჟღალ თვალს“ ნიშნავს. ინგლისელი მკვლევარი ელიოტ სმიტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ აღდგომის კუნძულის პირველი მოსახლეები ეგვიპტელთა მიერ ზღვების გამოსაკვლევად გაგზავნილი ფინიკიელი ზღვაოსნები იყვნენ — ისინიც თეთრკანიანები და ჟღალთმიანები ყოფილან. ორივე ერი მზეს სცემდა თაყვანს, რომელსაც რაპანუელები „რა“-ს ეძახდნენ, ეგვიპტელები კი „ამონ რას“. ორივე ერი ქვის ქანდაკებებს დგამდა, ორივე ეროვლივებით წერდა, ორივე გრანდიოზულ ნაგებობებში კრძალავდა მიჯვარებულებს. ერთ-ერთ მათგანზე, რომლის ასაკი 2500 წლით თარიღდება, ამოკვეთილია ანტიკური აფრებიანი გემი ლუზით, ადგილობრივ მკვიდრთ კი ასეთი რამ არასოდეს ჰქონიათ.

...მეორე დღეს მე და მარტინმა გამოკვებულების მონახულება დავაპირეთ. — დარწმუნებული ხარ, რომ იქ წასვლა გინდა? — ჩურჩულით მკითხა მარტინმა. — რომ იცოდეთ, ზოგჯერ იქ გაუგებარი ამბები ხდება. ადამიანები იკარგებიან, მერე კი მათ ან აფრიკაში პოულობენ, ან ავსტრალიაში. ოლონდ ისინი ჭკუაზე აღარ არიან ხოლმე და ვერ ხსნიან, როგორ მოხვედნენ იქ და რა შეემთხვათ.

— კარგია! — სკეპტიკურად შევანყვიტინე მე. — ისეთი რა უნდა იყოს იმ გამოკვებულებში, რაც მე ჯერ არ მინახავს? თურმე როგორ ვცდებოდი... გაგრძელება იხილეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ მომავალ ნომერში. არსებობდა თუ არა აღდგომის კუნძულზე მისიქცევა სამეფო? რატომ იყო რაპანუის ძველი ლემური არსება, რომელსაც მფრინავის თანამედროვე სათვალე ეკეთა? საიდან აღმოჩნდა კუნძულზე დაღუპული ცივილიზაციის ანბანი?

გიორგი ზოტოვი

არგუმენტი ი ფაქტის

ყველაფერი ყველაფერზე

შურლობასაც სწავლა უნდა

პრალაში შედგა რომან პოლანსკის ახალი ფილმის პრემიერა — „ოლივერ ტვისტი“. რეჟისორი ბოლო სამი წელიწადი მუშაობდა სურათზე, რომელიც ყველაზე ძვირადღირებული გამოვიდა მის მთელ 50-წლიან კარიერაში — ბიუჯეტმა დაახლოებით 60 მილიონი დოლარი შეადგინა.

გადაღებები მეტწილად ჩეხეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა. პრესკონფერენციაზე პოლანსკიმ შენიშნა, რომ რომანის ეკრანიზაციის შიდა თავის შვილებთან ურთიერთობის დროს მოუვიდა და რომ ჩარლზ დიკენსი, მისი ნიგუნების პირქუში ელფერის მიუხედავად, ბავშვებში კვლავაც პოპულარულია. კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ „ოლივერ ტვისტის“ ეკრანიზაცია რეჟისორმა პარი პოტერზე პოპულარული ფილმის პასუხად ჩაიფიქრა.

ოლივერის როლზე 10 წლის ბრიტანელი ბიჭუნა ბარნი კლარკი მიიწვიეს, მისი დამრიგებლის როლში კი — ბენ კინგსლი („განდისა“ და „შინდლერის სიით“ ცნობილი). ბარნი ამბობს, რომ გადაღებების დროს მოუწია ჯიბის ქურდთა ზოგიერთი ხერხის შესწავლამაც: როგორ უნდა ამოაცოცოცო თები ჯიბეებიდან, ან ბანქოს სხვადასხვა ფოკუსით გააბრუო რომელიმე პირლია...

პრემიასაც გამოპიხავენ

ჰოლივუდის ორი სუპერვარსკვლავი კვლავ ერთად გამოჩნდა ეკრანზე, ამჯერად სატელევიზიოზე. გაიხსენოთ, რომ პოლ ნიუმენი და რობერტ რედფორდი გადაღებული იყვნენ ორ გახმაურებულ ფილმში „ბუჩ კესედი და სანდანი კიდი“ (1969) და „აფორა“ (1973). ახლა ოკუმენტურ სერიალში „ხატის მებრძოლებში“ მონაწილეობენ, რომელიც ნაჩვენები იქნება არსებ „სანდანი“. სერიალის აღმასრულებელი პროდიუსერი რობერტ რედფორდი გახლავთ (არხის დამარსებელიც ისაა). მთელ ნიუმენთან ინტერვიუში რობერტი ეკითხება ლეგენდარულ მეწყვილეს შემოქმედებში, პირადი ცხოვრების, რობ-



ლებით გატაცებისა და ფილანთროპიული საქმიანობის შესახებ. „ხატის მებრძოლი“ ყოველ სერიაში ერთი სახელგანთქმული პირი მეორისგან იღებს ინტერვიუს.

CNN-ის კორესპონდენტი ქრისტიან ამანური მსახიობ ქალს რენე ზელვეგერს იმ ადგილას ესაუბრებოდა, სადაც 2001 წლის 11 სექტემბერს დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრი იმყოფებოდა ნიუ-იორკში. სერიალი იმ ინტერვიუთი იწყება, რომელიც მსახიობმა სემიუელ ჯექსონმა კალაბურთის ვარსკვლავს ბილ რასელს ჩამოართვა.

ავტოსაღმონი

იაპონელები უბენზინოდ დადიან

ბანისნა ტოკიოს ყველაზე ტექნოლოგიური საერთაშორისო ავტოსაღმონი. უახლოეს მომავალში, როცა ნავთობის მარაგი ამოიწურება, სანავთობად გამოვიყენებთ მეთანოლს, სპირტს, წყალბადს...

Audi TT Shooting Brake Concert



AUDI TT პროტოტიპი ბენზინის ერთგული დარჩა. მაგრამ ავტომობილში მომავლის ტექნოლოგიები საკმარისზე მეტია. ინგოლშტადტელი ინჟინრები აპირებენ ავტომოყვარულთა გულები დაიპყრონ Magnetic Ride უაღრესად კომფორტული საკიდრის მეშვეობით, რომლის სიმამრეც ელექტრომაგნიტების საშუალებით იცვლება.

უმს შორის: სპორტული და კომფორტული. პოტენციური მყიდველი შეიძლება მიიზიდოს კიდევ იმანაც, რომ ამ მანქანაში დააბრუნეს ტრადიციულ სიჩქარეთა კოლოფი. სპორტულ მანქანაში ხელით ექვსი სიჩქარის გადართვის სიამოვნებას, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება ვერც პიდროტრანსფორმატორი, ვერც სოლენოიდი და ვერც ვარიატორი.

Mazda SENKU



ეს კონცეპტი გახდა კონცერნის მიერ აღორძინებულ RX-8 მოდელებში როტორიანი ძრავის მქონე ოთხადგილიანი სპორტ-კარების თემის გაგრძელება. როტორული ძალური დანადგარის გარდა, ავტომობილი ალტურვილია

ჰიბრიდულითაც, რაც მანქანაში იძლევა სპორტ-კარის სიმძლავრის და ბიუჯეტური ავტომობილის ეკონომიურობის შესაბამის საშუალებას. ხიდეშ შორის განლაგებული ძრავა კი მანქანას იდეალურად აწონასწორებს.

Mitsubishi D5



ალბათ, არც ერთ მიკროავტობუსს არა აქვს ელექტრონიკით მართვადი ასეთი სრულამძრავი ტრანსმისია, მინიმალური წონა და სწორკუთხა ფორმები. ავტომობილის ძირითადი მყიდველები, რა თქმა უნდა, გახდებიან მოგზაურობის მოყვარულები და ის ადამიანები, რომლებიც აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. ხოლო იმისთვის, რომ მგზავრები დატკბნენ პეიზაჟით, მანქანის სახუ-

რავი მთლიანად მინისგანაა დამზადებული. სამრიგად განყოფილ სავარძლებზე კომფორტულად მოთავსდება 6 კაცი. უკანა რიგის სავარძლებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური გასანევი კარი და თანაც, არაერთი, როგორც ეს წინა მოდელებში იყო. მანქანა ალტურვილია 2,4-ლიტრიანი 4-ცილინდრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრე 170 ცხენის ძალას შეადგენს.

სსიპ საგარტველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის აცხადებს კონკურსს TanamSromelta miRebaze

Table with 2 columns: შიგნითი სახელწოდება, შიგნითი სახელწოდება. It lists various scientific projects and their descriptions.

დანიტრესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი 2 ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (CV-ის სახით) ყველა შესაბამისი დოკუმენტის დართვით. განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 31.10.2005წ. საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 10-დან 13 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). მისამართზე: უზნაძის ქუჩა 68. IV სართული (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეორე კორპუსი). ტელეფონი: 95 74 16 საკონკურსო კომისია

ინფორმაცია

ბსუში, აიცილოთ ფრინველის ბრიპი?

„დაიცავით პროფილაქტიკური ღონისძიებები და დაცული იქნებით ფრინველის გრიპის დაავადებისგან“, - ამ მესიჯით ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი უახლოეს დღეებში სპეციალურ ბროშურას გამოსცემს. იგი შემდეგ ღონისძიებებს გეტავაზობს: ახალდაბოცილ ფრინველებთან საჭიროა პიგიენური წესების დაცვა, ფრინველის სისხლით, ღორწოთი და ექსკრემიენტებით არ უნდა მოხდეს სხეულის დაუცველი ადგილების დაბინძურება. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა პირბადეებისა და რეზინის ხელთათმანების გამოყენება. ნანადირევის დამუშავებისას აკრძალულია მონევა, საკვები-სა და სასმელის მიღება. ყურადღება უნდა მიექცეს, ნანადირევის ღორწოვანზე და შინაგან ორგანოებზე სისხლჩაქცევების არსებობას. ეს პირდაპირ დაავადებაზე მიუთითებს. კატეგორიულად იკრძალება თოლიებისა და სხვა გარეული ფრინველების კვრცხების შეგროვება და საკვებად გამოყენება. თუ მონადირეს გარეულ ფრინველზე ნადირობის შემდეგ გამოუვლინდა გრიპის ნიშნები, აუცილებელია ექიმის გამოძახება. საქართველოში ფრინველის გრიპის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თუმცა სპეციალისტების ვარაუდით, საშიშროება არსებობს, რადგან ამ დაავადების გავრცელების შემთხვევები რუსეთში, ყაზახეთსა და თურქეთში დაფიქსირდა. ინტერპრესნიუსი

თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი 22, 23 ოქტომბერი — ფელიქს მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, თრეი მაკინტაერის ქორეოგრაფია. დასაწყისი 19 საათზე. საამიფო უანის თეატრი 22, 23 ოქტომბერი — გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“. რეჟისორი თემურ ჩხეიძე. დასაწყისი 19 საათზე. მინილ თუბანიშვილის სახელობის ქინოფსანიოტა თეატრი 22, 23 ოქტომბერი — პრემიერა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“. რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი. დასაწყისი 19 საათზე. თეატრი ათონელაზა 22 ოქტომბერი — დარეო ფოს „ბელოდები საყვარელო“. რეჟი-

ფაქტი

ინვანილეზი საუთას თააუოზან

22 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე, ასოციაცია „კათარზისში“ გაიმართება გრანდიოზული კრამიარა ინვანილეზა და ხანდაზმულთა თეატრალური დასი წარმოგიდგენთ ა. ცაგარელის ხანუგას რეჟისორი — სათუნა ჭალიაშვილი. სპექტაკლი გაიმართება სათნობის სახლის ეზოში სპეციალურად მოწყობილ სცენაზე. დასაწყისი 16 საათზე. მისამართი: დავით აღმაშენებლის 121. ასოციაცია „კათარზისი“.

ფეხბურთი

უოთაგოლი

ბარბანინი შემოდგომა უდგას შოტლანდიის სპორტს — ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთილი ქართველი ბომბარდირი გულს შოლანდიურ „ალკმაარში“ იოსებს და გოლი გოლზე გააქვს. ამჯერად „ტიყუმმა“ უკრაინაში გაილაღა და უფასო თანხის გათამაშების ჯგუფური რაუნდის სასტარტო შეხვედრაში დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ კარში გაიტანა პირველი ბურთი. თამაში საბოლოოდ სტუმრებმა მოიგეს — 2:1.

შემდეგი ტური: „ბრონდბიუ“ — „მაკაბი“, „პალერმო“ — „ლოკომოტივი“. ისვენებს „ესპანოლი“.



„ბ“ ჯგუფი. „ჰალმშტადი“ — „ჰერტა“ 0:1, „სტიაუა“ — „ლანსი“ 4:0. ისვენებს „სამპდორია“.

შემდეგი ტური: „სამპდორია“ — „სტიაუა“, „ლანსი“ — „ჰალმშტადი“. ისვენებს „ჰერტა“.

„დ“ ჯგუფი. „დნეპრი“ — „ალკმა-ტიორი“.

არი“ 1:2, „გრასხოვერსი“ — „მიდლსბრო“ 0:1. ისვენებს „ლიტეკსი“.

შემდეგი ტური: „მიდლსბრო“ — „დნეპრი“, „ლიტეკსი“ — „გრასხოვერსი“. ისვენებს „ალკმაარის“.

„ე“ ჯგუფი. „ბაზელი“ — „სტრასბური“ 0:2, „ტრომსო“ — „რომა“ 1:2. ისვენებს „ცრვენა ზეზდა“.

შემდეგი ტური: „ცრვენა ზეზდა“ — „ბაზელი“, „სტრასბური“ — „ტრომსო“. ისვენებს „რომა“.

„ვ“ ჯგუფი. ცსკა (მოსკოვი) — „მარსელი“ 1:2, „დინამო“ — „ჰერენვენნი“ 0:0. ისვენებს „ლეგსკი“.

შემდეგი ტური: „ლეგსკი“ — „დინამო“, „ჰერენვენნი“ — ცსკა (მოსკოვი). ისვენებს „მარსელი“.

„ზ“ ჯგუფი. „შახტიორი“ — პაოკი 1:0, „რენი“ — „მტუტგარტი“ 0:2. ისვენებს „რაპიდი“.

შემდეგი ტური: „რაპიდი“ — „რენი“, „მტუტგარტი“ — „შახტიორი“. ისვენებს პაოკი.

„თ“ ჯგუფი. „ზენიტი“ — „გიმარაეში“ 2:1, „ჰეიქილაში“ — „ბოლტონი“ 1:1. ისვენებს „სევილია“.

შემდეგი ტური: „ბოლტონი“ — „ზენიტი“, „სევილია“ — „ჰეიქილაში“. ისვენებს „გიმარაეში“.

რაზი

„ლოკომოტივი“ ციხროზას არ თოზს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მერვე ტურში კვლავ ერთმანეთს სიმბოლურად აღმონდა ერთმანეთს „ლოკომოტივი“. ვარკეთილის სტადიონზე რკინიგზელებმა შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს — „აკადემიას“ უმასპინძლეს. „ლოკომოტივის“ უპირატესობა პირველი წუთებიდანვე გამოიკვეთა და სანდრო გილაური — მსოფლიო თავის გუნდი დაიწინაურა. „აკადემიის“ მორაგბეები მდგარ წინააღმდეგობას კი უწევდნენ, მაგრამ მატჩის გადარჩენა მანინც ვერ შეძლეს. საბოლოოდ 28:11 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ და 14 ქულით (7 თამაშიდან) კვლავ გათამაშების ცხრილის სათავეშია, თანაც ქულათა სოლიდური სხვაობით.

6-ე ქულით მეორე-მესამე ადგილებს ქვეყნის ჩემპიონი „ლელო“ და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ხულიგანა“ იყოფენ. მერვე ტურში (თუმცა, ორივეს 6-ე მატჩი აქვს გამართული) სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში „ლელომ“ ქულით აჯობა მეტოქეს. ამჯერად კი ფორტუნა „ხულიგანას“ მხარეს იყო. მატჩის მე-11 წუთზე სწორედ დებიუტანტებმა გახსნეს ანგარიში. მერვე ორთაბრძოლის ბოლომდე არ დაუთმიათ უპირატესობა და გაიმარჯვეს 25:12.

უმაღლესი ლიგაში გათამაშების ცხრილის ბოლო ორი ადგილი „აკადემიას“ და „ყოჩებს“ უკავიათ, შემდეგ მათსა და 3 და 1 ქულით.

პირველი ლიგაში მე-9 ტურის მატჩები გათამაშდა: „აია“ — „არმაზი“ 1:1, „ელიტი“ — „თელაველები“ 4:7, „უნივერსიტეტი“ — „დინამო“ 10:24.

სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „არმაზი“ (9 მატჩიდან) — 12 ქულა, „დინამო“ (8) — 12, „უნივერსიტეტი“ (8) — 12, „აია“ (8) — 8, „ელიტი“ (8) — 6, „თელაველები“ (9) — 0 ქულა. შეგახსენებთ, რომ გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში გადადის, მეორეადგილოსანი კი უმაღლეს ეშელონში ბოლო ადგილზე გასულ გუნდს შეხვედრა გადასასვლელ მატჩში. ეს ორთაბრძოლები 31 ოქტომბერს და 4 ნოემბერს გაიმართება.

ლემსო ცინცაძე

სპორტულ ორბიტაზე



დიდი სკანდალი ვიეტნამურ ფეხბურთში

ვიეტნამის სამართალდამცავმა ორგანოებმა მექრთამეობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ათი ადამიანის მიმართ. მათ შორის რვა ფეხბურთის მსაჯეა, ერთი მწვრთნელი და ერთიც ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის აღმასრულებელი დირექტორი. ერთ-ერთი არბიტრაჟი ფიფას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯეა, რომელიც ხუთშაბათს დააპატიმრეს. ეს სახლი გარეუღლია კორუფციულ სკანდალში — მოსყიდული მსაჯეები ფულს ღებულობდნენ კლუბებიდან მათთვის საჭირო შედეგების უზრუნველყოფისთვის. ერთ-ერთი წამყვანი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ 2005 წლის ქვეყნის ჩემპიონატზე დიდმნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ მსაჯეებისთვის გადაცემული თანხა შეადგენდა 130 მილიონ დონგს (დაახლოებით 8,5 ათას დოლარს).

სუფთა ფეხბურთისთვის ვიეტნამის ბრძოლას მხარი დაუჭირა

ჩვენი „მეგობრების“ მსოფლიო ჩემპიონატი

სწორედ ჩვენი ოთხფეხა მეგობრების პირველ მსოფლიო ჩემპიონატს ბოულინგში მასპინძლობდა მოსკოვის ბოულინგ-კლუბი „ბიბაბო“. ჩემპიონატი მიმდინარეობდა სპორტული ბოულინგის საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით შემოკლებული რეგლამენტით.

მოგეხსენებათ, ბოლო დროს სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ ადამიანის მიერ „ჩვენი უმცროსი მეგობრების“ ინტელექტუალური, მხატვრული და სხვა უნარების შეუფასებლობაზე. თუმცა ისინი სატავენ, უსმენენ მუსიკას, მღერიან, ცეკვავენ და, რასაკვირველია, თამაშობენ კიდევ. მათ განსაკუთრებით უყვართ მრგვალი ფორმის საგნებით თამაში. რომელ ცხოველს უფრო მეტი მიდრეკილება აქვს სფეროს მრგვალი ნივთებით თამაშსკენ? სწორედ ამის გარკვევასაც ემსა-

ხურებოდა ეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი.

როგორც ოლიმპიურ თამაშებში, ამ ჩემპიონატშიც მონაწილეობდნენ დედამიწის ხუთივე კონტინენტის „სპორტსმენები“ — ევროპის წარმომადგენელი დათვი პოტაპი, აზიის — თხა ტუსა, აფრიკას — მაიმუნი ჩუპა, ამერიკას — მინი-გოჭი დეიზი, ავსტრალიას — მაჩვზღარბა დენი.

„მსოფლიო ჩემპიონი“ გახდა მაიმუნი ჩუპა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ადამიანებიც შეეჯიბრნენ. მათ თავიანთი ოთხფეხა „მოძიებებს“ ბოულინგ-მატჩის შედეგების მიხედვით მხოლოდ ათი ქულით აჯობეს.

შარაპოვას მეტოქე?

მთელმა სპორტულმა სამყარომ მსოფლიო ჩოგბურთის სექს-სიმბოლოდ მიიჩნია მარია შარაპოვა. თუმცა მხოლოდ შარაპოვა ყველას როდი გასწვდებდა, ამიტომაც ჩოგბურთის ასე თუ ისე



საგამო

ახლა დიდების ჯარია

სალმონიძე (საბერძნეთი) დამთავრდა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 26 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა (მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე). ახალგაზრდებში ყველას დედოფლისწყაროელმა ლევან ნიკლაურმა (90 კგ.) აჯობა. ვერცხლის მედლი გორელ დიმიტრი ბერუაშვილს (მძიმე წონა) ხვდა, ქუთაისელი გელა სანიკიძე (62) „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

უფრო ხვავრიელი გამოდგა ჭაბუკთა ნადავლი. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ფოთელი ნიკოლოზ კუცია (75) და ქარელელი იოსებ მსხალაძე (87), მე-

ორე იყო გარდაბნული ბექა იმერელი (70), ხოლო თბილისელე — ლაშა ტვილიდაძე (52) და ლევან ქორიევი (60), ასევე, კასპელი გივი ტატანაშვილი (მძიმე წონა) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ორიოდე კვირაში ყაზახეთი სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს წარგზავნილებს: უშანგ კუზანაშვილი (52), გელა ბარათაშვილი (57), გელა სანიკიძე (62), ნოდარ მჭედლიშვილი (68), ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82), მინდია ბოდაველი (90), მირიან პავლიაშვილი (100) და ზვიად ჩინჩალაძე (მძიმე წონა). იმედია, ისინიც გვასახელებენ.

გიორგი გაგუა

კონტაქტები

უსინათლოთა კამპრობა

ახლახან საქართველოს უსინათლოთა კავშირის ენვია აზერბაიჯანის უსინათლო მოჭადრაკეთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ანაბაზ ყულიევი, ვაგიფ გუსეინოვი, აიდი ზეინალოვი, არიფ მამედოვი, ანარ ყულიევი.



სტუმრებს გულბობილად შეხვდა გამგეობის ხელმძღვანელობა და მასპინძლებთან მატჩის გასამართად ისინი თბილისიდან ციხისძირის დასასვენებელ სახლ „მეგობრობაში“ გააცილა, სადაც გაიმართა კიდევ ორი მეზობელი ქვეყნის მოჭადრაკეთა პაექრობა.

გუნდურ შეხვედრაში გაიმარჯვა საქართველოს უსინათლოთა ნაკრებმა, ხოლო პირად ჩათვლაში საუკეთესო იყვნენ გივი ბერძენიშვილი, გოგი ჭუმბურიძე, იოსებ სარიშვილი და ანარ ყულიევი. ციხისძირის დასასვენებელი სახლის კოლექტივმა (დირექტორი

ხელბურთი

„უეპარდენი“ „უეპარდნოს



ძვეჩნის უცვლელი ჩემპიონი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „უეპარდენი“, როგორც ჩანს, ტიტულს არც ლეულს შეეღებოდა. ოთხგუნდიან ეროვნულ ჩემპიონატში უკვე ორი წრე მიიღია და მისი მძლეველი ჯერეჯერობით არ გამოჩენილა. მეორე რაუნდის ბოლო დღეს „უეპარდენმა“ „თბილისი“ დაამარცხა 33:28 და 12 ქულით ლიდერობს. „ქარიშხალამ“ „მამულს“ სძლია 32:20. ამ მოგების შემდეგ „ქარიშხალამ“ 6 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. 4 ქულით მე-სამე „თბილისი“, ბოლო ადგილზე მყოფ „მამულს“ კი 2 ქულა აქვს.

ვიქტორ სანეივი-60

კულაქ სანეივის წყურვილი

საპრესკონფერენციო დარბაზი ჟურნალისტებითა და გულშემატკივრებითაა სავსე. მიკროფონთანაა სამსტომში მსოფლიო რეკორდსმენი ბრაზილიელი ჟოაო ოლივეირა, რომელმაც ეს-ესაა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე საპატიო კვარცხლბეკზე უფრო მაღლა ასვლა, ვიდრე მონრეალში, რადგან მეტოქეები დღესაც ჩემზე ძლიერები იყვნენ. ვულოცავ რა იააკ უუდმიავს ოლიმპიურ ოქროს მედალს, მინდა აღვნიშნო, რომ მსტომელებში აბსოლუტურ ჩემპიონად მე მაინც ვიქტორ სანეივს ვთვლი.

მქუხარე ტაში დარბაზში და... ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვა: — რას იტყვის ამ განცხადებაზე ოლიმპიური ჩემპიონი?

— მე ვეთანხმები ოლივეირას, — უპასუხა იააკმა. — რაც სანეივმა გააკეთა, იმას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაიმეორებს.

ჭეშმარიტად! სოსუმში დაბადებულმა (1945 წლის ოქტომბერი) და გაზრდილმა ქაბუკმა რაც შეძლო, მართლაც ფანტასტიკურია. სამჯერ ოლიმპიური თამაშების ოქროს (1968, 1972, 1976) და ერთხელ ვერცხლის (1980) მედალი დაიმსახურა. სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-71, 1973, 1975) ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებზე რვაჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.



მძველადვე კი სოსუმში ჩაეყარა საფუძველი. ქაბუკობისას ფეხბურთითა და კალათბურთით იყო გატაცებული. შემდეგ ბატონ აკოვ კერსელიანის ხელმძღვანელობით მძლეოსნობაში დაინსყო ვარჯიში. ერთბაშად სამსხეობაში ცდიდა ძალებს და სამივეგან — წარმატებით.

— განსაკუთრებით კარგად მას-სოვს ჩემი ერთ-ერთი პირველი დიდი შეჯიბრება — მოსწავლეთა 1963 წლის საკავშირო სპარტაკი-ადა, რომელიც ვოლგოგრადში გაიმართა, — იგონებს ვიქტორ სანეივი. — იმ ხანებში პირველთაწრიგოსანი სპორტსმენი ვიყავი. ვოლგოგრადის სტარტბანდზე საქართველოს ჩემპიონატზე სამსხეობაში შევქელი გამარჯვება — 100 მეტრზე რბენაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, თანაც სამმაგ ხტომაში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი დავამყარე — 14,88 მეტრი. ვოლგოგრადშიც გამარჯვება მენადა, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედი.

იმ საკავშირო სპარტაკიანობაზე მივხვდი, რომ სპორტში ვარჯიში სტადიონზე იოლი გასეირნება არ არის. ეს ძლიერი, ნებისყოფიანი, მომთმენი კაცის ბრძოლაა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მაშინ — 1963 წლის ზაფხულში გავხდი ჭეშმარიტი სპორტსმენი.

მას შემდეგ ვიქტორ სანეივმა მრავალ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და სარბიელზე ყოველთვის გამარჯვების წყურვილით გამოდიოდა, მაშინაც, რო-

მესამე ცდაზე არაჩვეულებრივი სიმსუბუქე და თავისუფლება ვიგრძენი. ნახტომიც სარეკორდო გამოდგა — 17,23! თუმცა, ჩემში ამას განსაკუთრებული ემოციები არ გამოუწვევია. უბრალოდ, კმაყოფილი დავრჩი კარგად შესრულებული ნახტომის გამო. წინ კიდევ სამი ცდა გეკონდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა. ბრაზილიელი ნელსონი 17,27 მეტრზე გადახტა და მსოფლიო რეკორდით დანაშაურდა.

მართლაც, სასწაულია, ერთ დღეს ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდი დამყარდა, თუმცა, შეჯიბრების ბოლომდე კიდევ რამდენიმე ცდა იყო დარჩენილი.

არ მიყურებია, როგორ ასრულებდნენ ბოლო ნახტომს ფინალის მონაწილენი. ყველაფერს გამოვეთი შე, ძალებს ვიკრებდი, რადგან ამ ბოლო შანსზე იყო დამოკიდებული კვარცხლბეკის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა.

ძნელი ცდა გამოდგა. ვიგრძენი, რომ არევის ზოლამდე ერთი ნახტომი დამაკლდა და ნახტომში ყოველი აკვრისას „ვინაზლაურებდი“ დაკარგულ სანტიმეტრებს. სილაში ჩავეშვი თუ არა, მაშინვე მოვიხედე. მექსიკელმა მსაჯმა ისე შემომხედა, მივხვდი, რომ გავიმარჯვე. უნებურად მაღლა ავხტი და ტაშიც შემოვკარი. ტაბლოზე ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდების აღმნიშვნელი ციფრები აენტო — 17,39!

ასეთი დაძაბული ორთაბრძოლები ვიქტორ სანეივს სხვა შეჯიბრებებზე არაერთხელ ჰქონია. უფრო მეტად იმარჯვებდა, თუმცა, მარცხის სიმწარეც უგემია. ყველაზე მტკიცეულად მაინც მოსკოვის 1980 წლის თამაშები დაამახსოვრდა. სამგზის ოქროს მედალოსანი მეოთხედ გამოვიდა ოლიმპიურ სარბიელზე. მწვერვალზე ასვლაც არ ჩანდა მიუღწეველი, მაგრამ...

— სტარტზე დიდხანს ვიდექი, რადგან ქარი გადარეულივით ქროდა. ტრიბუნებიდან შეძახილები მესმოდა: „მიდი, ვიქტორ, მეხიკო გაიხსენე!“ მეტი ცდა არ შეიძლებოდა. მოვწყდი ადგილიდან და ქარს ვეძგერე.

რაც კი რამ ენერგია გამაჩნდა, ერთბაშად მოზღვავედა ამ ნახტომისას. ქვიშაში ჩავერჭე და

ვიგრძენი, რომ ველარ ვდგებოდი. საკუთარ თავს შევძახე და როგორც იქნა, ავდექი. ორივე ფეხის კოჭლობით ძლივს მივალნიე მერსთან. მერე რა მოხდა, ცუდად მას-სოვს. მილოცავდა უუდმიავ, რაღაცას მეუბნებოდა ოლივეირა, მე კი საშინელ ტკივილს ვგრძნობდი ორივე მუხლში. ტაბლოზე ჩემი უკანასკნელი შედეგი ჩანდა — 17,24, რამაც ვერცხლის მედალი მომიტანა. იააკმა ათი სანტიმეტრით მაჯობა.

კვარცხლბეკზე რომ ვიდექი, მიხაროდა ჩემი მეოთხე ოლიმპიური მედალი, თან სევდა მომერია, რადგან უკან მრჩებოდა სპორტთან მეგობრობის მეოთხედი საუკუნე.

მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ ვიქტორ სანეივი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. ამბობენ, ყველაფერი წარმავალიყო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონიც შეეჩვია ახალი ცხოვრების წესს: დილა-საღამოს აღარ გარბოდა სტადიონისკენ, თუმცა, მისი ხშირი სტუმარი იყო, რადგან თანამდებობრივად ევალბოდა — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობამ ბატონ ვიქტორს ახალგაზრდა სპორტსმენების დამრიგებლობა შესთავაზა.

გასული საუკუნის მიწურულს სახელოვანი მძლეოსნის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — იგი XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარეს. დაჯილდოებას ვერ დაესწრო, რადგან სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების შემდეგ ეკონომიკურად გაუჭირდა და შორეულ ავსტრალიაში გადაიხვეწა.

როგორ გასატარა მწვანე კონტინენტზე ეს წლები, ამის შესახებ იგი თავად მოგვიყვება — 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვიქტორ სანეივი სამშობლოსთან დიდი ხნის განშორების შემდეგ თბილისში ხვალ საღამოს ჩამობრძანდება.

ვაჟა დანელია

სურათი: „ოქროს“ ნახტომი; ვიქტორ სანეივი და დრემელი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე.

მინ გვეუბნება საიუბილეოდ?

ვიქტორ სანეივის იუბილესთან დაკავშირებით თბილისს ეწვევიან: უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტი, სოკ-ის აღმასკომის წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი სერბი ბუბა, სოკ-ის ეოკების დეპარტამენტისა და ოლიმპიური სოლიდარობის სამსახურის უფროსი სანეივის ტრუსნი, თურქეთის ეოკ-ის პრეზიდენტი, სპორტულ უფროსის საპატიო პრეზიდენტი თორბა ბანიათლი, უკრაინის რაბა წევრი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი ბორზოვი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი იშტპან ჯუშანი, სომხეთის ეოკ-ის პრეზიდენტი ბარიკ ცარუპიანი, პოლონეთის ეოკ-ის პრეზიდენტი პიოტრ ნაშროვსკი, მოლდოვას ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ლარისა პოპოვა, ოლიმპიური ჩემპიონი იბაპ უუდმიანი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი თანაშემწე ლე-



ტიცია თომპაში, ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის კომერციული დირექტორი იან პილნი, ასევე, ბალტიისპირეთის ქვეყნების ეოკების პრეზიდენტები, ისრაელის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და მძლეოსნობის ფედერაციების წარმომადგენლები.



სამი ოლიმპიადის გამარჯვებულის, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცის ვიქტორ სანეივის დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა

პროგრამა

23 ოქტომბერი

შეხვედრა ქ. თბილისის აეროპორტში.

24 ოქტომბერი

15:00-15:45. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების საფლავების გვირგვინებით შემკობა.

16:00-16:45. შეხვედრა კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

25 ოქტომბერი

კულტურული პროგრამა

26 ოქტომბერი

12:00-13:00. ვიქტორ სანეივის „მასტერ კლასი“ ახალგაზრდა ათლეტებისთვის (ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი).

27 ოქტომბერი

11:00-12:00. საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ ნონა გაფრინდაშვილის, ვიქტორ სანეივისა და ლევან თედიაშვილის სახელობის სტიმენდიების დანიშვნასთან დაკავშირებული შეხვედრა (ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია).

12:30-13:30. სეოკ-ის აფხაზეთის ორგანიზაციის პროგრამა.

28 ოქტომბერი

15:00-16:00. ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსის გახსნა დევიზით — „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“ (ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეა, შავთელის ქ. 17ა).

29 ოქტომბერი

11:00-11:45. მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიციის — „ოდა ქართველ ოლიმპიელებს“ — პროექტის პრეზენტაცია და ძეგლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონია (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია).

12:00-13:30. გამგზავრება მცხეთაში; ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

15:00-15:30. ფოტოგამოფენის — „ვიქტორ სანეივი-60“ — გახსნა (საგამოფენო დარბაზი „კოპალა“ ქმ. შუბალაშვილების ქ. № 7).

17:00-19:00. ვ. სანეივის დაბადების 60 წლის საიუბილეო საღამო (ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი).

20:00-20:20. უცხოეთის ქვეყნების ეოკ-ებსა და საქართველოს ეოკ-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა (საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია, ბოჭორმის ქ. № 21).

20:30-22:30. ოფიციალური მიღება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სახელით (საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია, ბოჭორმის ქ. № 2).

30 ოქტომბერი

12:00-17:00. სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი რუსთაველის პროსპექტზე „ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის ვარსკვლავები — თბილისელების სტუმრები“.

17:00-18:45. მასმედიის შეხვედრა ვ. სანეივთან და საზღვარგარეთის ქვეყნების ეოკ-თა ხელმძღვანელებთან (სასტუმრო „თბილისი მერიტონი“). ვახშამი კომპანია „ყაზბეგის“ სახელით.

შპლვება გურამ ვაშაძეში

ლაზია — უდებიხედი სიყარბიდე

დაპიტი და გოლიათი, ანუ გონების გამარჯვება ძალაზე, ხელოვნების მარადიული თემაა. ასე მხოლოდ კინოში შეიძლება სპილოებს გასათელად მიუგდონ ან სულაც წინაგებით სავე მდინარეში გადაადგონ ტარზანი; ის თავს აუცილებლად დაიხსნის, რადგან ასეა საჭირო და ასე სურთ ფილმის სცენარისტებს. საჭადრაკო დაფაზე კი სცენარს ორნი წერენ და თუ ერთმა მათგანმა უპირატესობა მიიღო, მეორე მხარეს თავისი მეფის გადარჩენა გაუჭირდება.

ამიტომაც გვხვობლავს ჭადრაკში კომბინაციები შეწირვებით, როცა, საბოლოო ჯამში, ლაზია იღებენ უხე ძალაზე გამარჯვებას ზეიმობენ.

ერთი ასეთი კომბინაცია განახორციელა გენიალურმა მოჭადრაკემ ჩეხმა რეტიმ (მომავალში ჩვენ მასზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ). მეტოქეს მან „სულ არაფერში“ მარტო ლაზიერი („დელოფალი“) კი არ მისცა, მზითვეში მხედარიც გაატანა.

ახლა ვნახოთ, როგორ იბადება ელვა ჭადრაკის დაფაზე:

კარო-კანის დაცვა რეტი — ტარტაკოვსკის ვენა, 1910

1. e2-e4 c7-c6 2. d2-d4 d7-d5 3. მხ1-c3 d5:e4 4. მც3:e4 მგ8-f6 5. ლd1-d3 e7-e5 6. d4:e5 ლd8-a5+ 7. კc1-d2 ლა5:e5 8. 0-0-0 მწ6:e4.

მაშ, ასე, ტარტაკოვერმა ფიგურა მოიგო. მაგრამ მან იცის, რომ „ზედმეტი ფიგურით ტკობა“

გაბრეჟევა. ლსაწყისი 0ს.
„სს“ № 239-240.

დიდხანს არ გაგრძელდება, რომ თეთრებს შეუძლიათ იოლად დაიბრუნონ დანაკარგი: 9. gdl-el f5 10. f3 „ამასობაში როქის გაკეთებასაც მოვასწრებ, — ფიქრობენ შავები, — კაცმა რომ თქვას, არც მე მაქვს შავად საქმე, თუმცა თეთრებით თვით რიპარდ რეტი თამაშობს“.

და ამ დროს დაუჯერებელი რამ ხდება:



9. ლd3-d8+!
„სხვა გზას ვერ ვხედავ, ლაზიერი უნდა ავიღო“.


9. ... მფე8:d8 10. კd2-g5++!

ცნობილია, რომ ჩვეულებრივი ქიშის დროს, სამგვარი დაცვა არსებობს: ჩამოიფარო პაიკი ან ფიგურა, აილო მეტოქის შემტევი ფიგურა ან, იქაურობას გაეცალო. ორმაგი ქიშის დროს კი ერთადერთი საშუალებაა: უნდა გაიქცე, მაგრამ საით? თუ 10. ... მფd8-e8, მაშინ 11. კd1-d8X შავების მეფე სხვა მხარეში გადახვეწას ცდილობს, მაგრამ ბედისგან განწირულს რა გადაარჩენს?!
10. ... მფd8-c7 11. კგ5-d8X!

გამოწვება მეორე

გამოწვება მეორე

არანაკლებ ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვცვრით ანრი რინკის ეს ეტიუდიც, რომელსაც თავის დროზე ემანუილ ლასკერმა „არომატული, ჰარმონიული ფერებით შეხამებული თაიგული“ უწოდა (ანრი რინკი (1870-1952) ფრანგი ინჟინერ-ქიმიკოსი, თანამედროვე მხატვრული ეტიუდის ერთ-ერთი მესაძირკველია.)



აქ ნაჩვენებია ეტლით და მხედრით ლაზიერის მოგების სხვადასხვა მოტივი.

1. gh5-h8

ამ სვლით თეთრებმა შავების ლაზიერს წაართვეს 14 უჯრედი მის განკარგულებაში მყოფ 15-დან.

1. ... ლb8-b5 2. მh4-f5+ მფე7-f6 3. gh8-h6+ მფf6-e5

ლაზიერის დაკარგვის შიში ლანდევით თან სდევს გვირგვინოსანს.

4. gh6-e6+ მფe5-f4

თუ 4. ... მფe5-d5, მაშინ 5. c3-c4+ 5. ge6-e4+

ითამაშეთ ჭადრაკი!

ყველაზე გრძელი გზაც კი პირველი ნაბიჯით იწყება

ჩინური ანდაზა.



კარგი წიგნი

როგორ უპვიცნოთ მოუპენიერება

სალვადორ დალის აზრით, სრულყოფილება მიუღწევადია, მაგრამ ადამიანის ბუნება მაინც მუდმივად მისკენ მიიღწევს. ცნობილი ქართველი ეტიუდისტის ველიმირ კალანდაძის წიგნი „შედეგთა სამყაროში“, სწორედ ასეთი სრულყოფილებისკენ სწრაფება.

ბოლოს როდის გამოჩნდა ზარზე წიგნი საერთოდ, ჭადრაკის და კერძოდ, ეტიუდების შესახებ? მე პირადად არ მახსოვს. ამიტომ მადლობა ავტორს და გამომცემლობა „მერანს“, ვინც ამ ბრძნული თამაშის ტრფიკალტოზულ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული საინტერესო და საჭირო წიგნი უძღვნეს.

ჭადრაკი თუმცა 1500 წელზე მეტი ხნისაა, იგი არ ბერდება — მარადმწვანე და ახალგაზრდაა. ეს ჩვენ ვემორჩილებით ჟამთა სვლას, ყმანვილობიდან მოწიფულობაში გადადვივართ, შემდეგ სიჭარმავე მოგვადგება, მომდეგვრო თაობები კი კვალში მოგვყვებიან და თუ ველიმირ კალანდაძეს უფროსი თაობის მკითხველებში წარდგენა არ სჭირდება, ისინი, ვინც დღეს ეუფლება ჭადრაკის ანაბანას, ვისაც სურს იმეგობროს მასთან, დიახაც უნდა იცნობდნენ ქართული ჭადრაკის მოამაგეთ, მის გამოჩენილ წარმომადგენლებს.

ველიმირ კალანდაძე საერთაშორისო ოსტატი კომპოზიციაში, ქართული საეტიუდო ხელოვნების ერთ-ერთი მესაძირკველია. პროფესიით ფიზიკოსს, გამოკვეყნებული აქვს 500-ზე მეტი ნაწარმოები. საეტიუდო სფეროში მოღვაწეობის მანძილზე საერთაშორისო კონკურსებზე მიღებული აქვს 50-მდე პირველი და მეორე პრიზი, მათ შორის, ორი ოლიმპიური მედალი: 1977 წელს ისრაელში და 1984 წელს — ვერცხლის მედალი საბერძნეთში.

ველიმირ კალანდაძემ და სხვა ქართველმა ეტიუდისტებმა გიანადარი შეიქმნა, ვაჟა ნეიტემ, დავით გურგენიძემ და სხვებმა დიდი ამაგი დასდეს ქართული საჭადრაკო კომპოზიციის, კერძოდ, საჭადრაკო ეტიუდის განვითარებას.

ველიმირ კალანდაძემ თავის წიგნი თავი მოუყარა სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს და ყოველი მათგანი გემოვნებით შერჩეული საჭადრაკო ნაწარმოებით „მოაჩუქურთმა“.

ამასთან, როგორც გამომცემლობა „მერანს“ ტკმა, თავად იკისრა შედეგთა სამყაროში მკითხველის მეგობრობა. წიგნი საკითხავადაც საინტერესო გახდება და საჭადრაკო ეტიუდებით ხომ გამდიდრდა და გამრავალდა?

როგნდა. ეს წიგნი მათთვის დაინერა, ვისაც მშვენიერების სამყაროში მოზაურობა უყვარს, ვისთვისაც ამ სამყაროს საიდუმლოებების შეცნობა მარადიული ღირებულებებია.

ზოგიერთი უზუსტობა წიგნის ღირსებას ვერას აკლებს. მაგალითად, გაზეთი „ლაზიერი“ ბუნებაში საერთოდ არ არსებულა. წიგნის რედაქტორი დ. გურგენიძე კი გვარწმუნებს, რომ იგი ამ გაზეთის რედაქტორი იყო. „ლაზიერი“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატებას წარმოადგენდა და გურგენიძე ამ დამატებას რედაქტორობდა მხოლოდ.

შემდეგ, ეპიგრამა მოკლე სატირული ლექსია, ან ძეგლზე, შენობაზე გაკეთებული წარწერა. ეტიუბა, წიგნის რედაქტორს უნდა ეთქვა, ეპიგრაფიო — რაიმე თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა ან ფრაზა. ეს უფრო ესადაგება მის სათქმელს წიგნის წინასიტყვაობაში. ეპიგრამა ეპიგრაფის მაგიერ. ეს უკვე ლაფსუსია.

კანის ღიმილი უხდება

კუაუი

მატარებელი დაიძრა. ცოლმა ჩემოდნები მიაღაგ-მოაღაგა, სკამლოგინზე ჩამოჯდა და ნაღვლიანი თვალები მიაპყრო მეუღლემოჭადრაკეს:

— რა ცუდია, აქ ჩვენი ჭადრაკის დაფა და ფიგურები რომ არ გვაქვს.

— ძვირფასო, ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე ჭადრაკის თამაშის სწავლა?

— არა, ჩემო კარგო. უბრალოდ,









შინ, ჭადრაკის დაფაზე მატარებლის ბილეთები დამრჩა.

მეაქსაკლასელი

კორესპონდენტი გაოცდა, როცა მიხილ ტალმა ვერ შენიშნა მარტივი სვლა, რომელსაც, ჟურნალისტის თქმით, მეექვსეკლასელი კი დაინახავდა.

— ეჰ, ახლა რომ მეექვსე კლასში ვიყო, — ნაღვლიანად თქვა ტალმა, — მერწმუნეთ, უკეთეს სვლებსაც კი მოვძებნიდი.

როცა გაკვთილხს მორჩაზი (შაბათი ორ სვლაში. თეთრები იწყებენ)



პასუხებს მომდევნო გამოწვებაში შემოგთავაზებთ, თუმცა, იმედა, იქამდე საქმე არ მივა: ამ ამოცანებს იოლად ამოხსნით, — ცოცა ფიქრია საჭირო.

თითქმის ნატურიდან

დაჩაბრულები

ერთი ძალიან დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ამას წინათ ვიმოგზაურე, ბევრი რამ ისეთი ვნახე, რისი გადმოწერაც, ვფიქრობ, არ გვანყენდა.

რაც უპირველესად თვალში მეცა, ის გახლავთ, რომ იქ პოზიციურ და ოპოზიციურ პარტიებს მუშაობისა და ცხოვრების თანაბარ პირობებს უქმნიან. ამას რომ შევხედე, მაშინვე ჩვენი დაჩაბრული ლეიბორისტები, კონსერვატორები და სხვები გამახსენდა, რომლებსაც იმის უფლებასაც არ აძლევენ, რომ წყალდიდობითა და მენყრებით დაზარალებულთა დასამშვიდებლად ხელისუფლებას ხმამაღლა შეუუკურონ.

ჩვენთან ოპოზიციამ იმასაც კი ვერ მიაღწია, რომ საკუთარი სამარშრუტო ავტობუსები იქონიოს. იმ ქვეყანაში კი, რომელშიც ზემოთ მოგახსენეთ, ოპოზიციონერები „მარშრუტებით“ კი არა, ზოგ ქუჩაზე ორსართულიანი „მერსედის“ მარკის ავტობუსებითაც დასაყრდენობენ და ასევე ორსართულიანი გინებით უმასპინძლებიან მათ ტრანსპორტში შემთხვევით მოხვედრილ პოზიციონერებს.

„მერსედის“ ვინ ჩივის, საქართველოში პოზიციის და ოპოზიციის მომხრეებს ერთი და იგივე დანჯღრეული ავტობუსებით უხდებოდათ მგზავრობა, რაც ბევრ უხერხულობასა და გაუგებრობას იწვევს.

რა უხერხულობაზეა ლაპარაკი?

რამდენჯერ მინახავს, „მარშრუტკაში“ მოკუნტულ პოზიციონერს, რომელმაც ქუჩაში ახლად დაგებული ასფალტი დაინახა, სურს, მთავრობა საქებარი ეპითეტებით შეამკოს, მაგრამ შიშით ენა ვერ დაუძრავს — ვიღაც ოპოზიციონერი გამოტყვევდა და იმ წუთში ხმას ჩააკმენდინებს. იგივე მდგომარეობაშია ოპოზიციონერი, რომელსაც ქალაქის მერი-

ასთან გავლის დროს შეადრევის ჩხრიალი ნერვებს უწენავს, მაგრამ პოზიციონერების შიშით ხმა-ჩაკმედილი ზის და განცდას გულში იკლავს.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ადამიანებში ანვითარებს მონურ ფსიქოზს, რაც ისეთი მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ყოველად მიუღებელია.

კარგი, ავტობუსს თავი დავა-



ნებოთ და ცხოვრების სხვა სფეროებს გადავხედოთ, ვთქვათ, რესტორნებს. პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს აქვთ ჩვენთან ცალ-ცალკე რესტორნები, ბარები და კაფეები? არა აქვთ. თუ რას იწვევს ეს, ყველას კარგად მოუხსენება. მოქიფეს დარდინადი ქართველი, მით უფრო დეპუტატი, რომელსაც იმუნიტეტი იარაღის ტარების უფლებას აძლევს, ღვიწი თავში რომ შეუჯდებოდა, ისვრის, აბა რას იზამს? ვერც გაამტყუნებ, გვერდით მაგიდასთან რომ შენი იდეური მონინალმდევე ქეიფობს, რომელიც გულში შეიძლება კიდევაც იგინება, როგორი ასატანი! ტუალეტი რომ ტუალეტი, თუ იცი, რომ იქ შენი მონინალმდევე პარტიის წარმომადგენელი ზის, ნერვებთან ერთად კუჭიც აუცილებლად აგემულება, უამრავიდან ერთ მაგალითს მოვიტან.

ამას წინათ შენობაში, სადაც ყურნალ-გაზეთები გამოიცემა, ერთმა ქალბატონმა მორიდებითა და ტაქტით იკითხა:

— ეს ტუალეტი პოზიციურ გამოცემას ეკუთვნის თუ ოპოზიციურს? — პოზიციურს.

— მაპატიეთ, ბატონებო, მაგრამ მე ამ ტუალეტით ვერ ვისარგებლებ, — თქვა გაჭირვებისგან მოკუნტულმა ქალბატონმა და გამობრუნდა.

აი, რამდენი გაუგებრობა და უსიამოვნება შეიძლება მოჰყვეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტს, რომ ჩვენში ტუალეტები პოზიციონერ-ოპოზიციონერთა მიხედვით გამიჯნული არ არის. ზემოთ ნახსენებ ქვეყანაში კი რესტორნებს, საპარიკმახეროებს, ტუალეტებს და მომსახურების სხვა ობიექტებს აქვთ სპეციალური აბრები: „პოზიცი-ა“ ან „ოპოზიცი-ა“. ზოგან კი, მეტი დამაჯერებლობისთვის, ცალკეული პარტიების ლიდერთა სურათებიც არის გამოკრული.

ჩვენი კუდაბიკობის ამბავი რომ ვიცი, ზოგი პარტიის ლიდერმა შეიძლება ეს საკუთარი თავის შეურაცხყოფად აღიქვას. რას იზამ, თუ დემოკრატია გვინდა, ბევრ რამესთან მოგვინვეს შეგუება. შეიძლება ტუალეტის თავზე გამოკიდული შენი სურათი არ მოგენონოს, მაგრამ როცა ამას შენი პარტიის ინტერესები მოითხოვს, ენა უნდა მოიკნინო.

მე ამ საკითხის დასა ადრევე მინდოდა, მაგრამ ელექტორატში ფსიქოზი რომ არ გამეღვივებინა, მაშინ არჩევნების ჩავლას დაველოდე. ვფიქრობ, ახლა ხელს აღარაფერი შეგვიშლის. პარლამენტი ამის თაობაზე თუ კანონის მიღებასაც არ დაიზარებს, მთლად უკეთესი.

ოთარ ხუციშვილი

იგავი

ვირებისა და მგლების ბალადა

ცხრა მთას იქით, თანაც მველად მოხდა საქმე გასაკვირი. საფუტკრეში ხელმძღვანელად დასვეს ვირის შვილი — ვირი. (თაფლის დატაცებისათვის ამ საქმიდან მოხსნეს დათვი) ცნობილია, რომ ვირსა აქვს სხვა ხელობა და საფუტკრის მმართველობა ისე იცის, როგორც სურმა. მაგრამ, თურმე, მგლების კრებამ ეს დანიშნა დაამტკიცა და დიდუროს ნება მისცა: ვიდრე იგი გაეცნობა საფუტკრეს და თაფლის ქილებს, თაფლის საქმის კარგი მცოდნე დათვი დაჩნეს. მთადგილედ.

ზის დიდუროს, იქნევს ურებს, თუ უროინებს — ფრთხილად, დინჯად. ფუტკარს კრახანაში ურებს, სკის სიმაგრეს წილით სინჯავს. მაგრამ ვეფხვებს, მგლებს და ტურებს თავს მორჩილად უკანტურებს.

მგლებს კი თურმე თაფლზე მეტად ხორცი უვებათ, ხოლო ხორცი საქათმეში არის უხვად. ხოდა, მგლებმა მოიწვიეს კვლავ თათბირი, ფუტკრებიდან მოხსნეს ვირი, მაგრამ ღვაწლი დაუფასეს, საქათმის გამგებლად დასვეს, მთადგილედ — ვირების მცველად კი დასტოვეს ქათმისმცოდნე მველა.

მგელი იგავს არ კითხულობს, — ვეველამ იცის, ანც ვირები აკლავენ თავს წიგნის კითხვას მაგრამ თუ მათ ჩვენ ვაკმარებთ მხოლოდ სიცილს, მათთან უოფა მთავისდებო კიდევ დიდხანს.

გიორგი ნიპაპაშვილი
ა. თბილისი

რეკლამა

თამუნა კორძახია ქამის წინ კატას ეჭყანება. კახა ბენდუქიძე ბანაობისას აბაზანაში ვერ წვება.

თეკო შამუგიას საცივს ქათმის მუჟუჟი ურჩევნია. ალექო გლოველი ლოგინში წინდებით წვება. შორენა კახნიაშვილს ჯინსიდან ხორცები უჩანს. დემნა კუდალაძეს საჯდომზე ბენვები ამოუვიდა.

ყურნალი „ბაბუაწვერა“ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე

იუმორი

რატომ ვსუქდები

ჩემი მეორე ნახევარი ნახევარ პურს შუაზე ჭრის და კარაქის სქელ ფენას ლავაშივით აკრავს ზედ. ხუთი წლის გურამი ფხვებს იატაკზე აბრაახუნებს და ყელში თოკნაჭერილივით ხრიალებს: — არ შევჭამ... არა! — აჭამე! — მითითებას მამლევს ჩემი მეუღლე და სამსახურში დაგვიანებული, კაბის გამოსაცვლელად, მეორე ოთახში გარბის. მე კარაქიან პურს ხელში ვატრიალებ და თან მუხლებზე დაწოქილი ვეხვეწებ:

— ჭამე, შემობრალე, ხომ იცი მისი ამბავი! — არ შევჭამ! — რა ქნა? — ისმის მეორე ოთახიდან. — არ ჭამს! — არ ჭამს და მოვალ, ძველებურად მოგვივლით. — ბუსუსებს მაყრის, წარსული სცენები მაგონდება და შეციებულვით ვცახცახებ. გურამს ხელიდან ვკლევ პურს, ინდაურივით პირში ვიტენი და სულმოუთქმელად ვყვირი: — შეჭამა... შეჭამა... მეუღლის გაავებულად ხმა საამურად ტკბება და იშაქრება. — ახლა წვნიანი აჭამე! წვნიანი საცხე მეორე ჯამს წყალივით ვსვამ და „პაკრიშკასავით“ ვიბერები. გურამი მთვარესავით იბადრება. მე ღრუბელივით ვილუშები. — გაათავა? — მესმის ცოლის ხმა. — გაათავა! — ვუდასტურებ მას და უკანასკნელ კოვზს ვსრიპავ. მეორე ოთახიდან გამოსული ახალ კაბაში გამოსწობილი მეუღლე თავზე ხელს მისვამს და მუხლებზე მკოცნის.



ვალერიან გავუკლავი

კურიოზები

ერთხელ რედაქციაში ასეთი წესი შემოვიღეთ — დილით სამსახურში მოსულს ახალი ანეკდოტი უნდა მოგვეყოლა და ასე, სიცილით დაგვეწყო სამუშაოდღე. მოგესხენებოთ, საინფორმაციო მუშაობა (მით უმეტეს, ტელევიზიაში) მეტისმეტად გადამღვივია და ცოტა გახალისება არავის აწყენდა.

იმ დილით, სამსახურში რომ მოვდიოდი, გზაში ერთი ჩემი ენაკვიმატი მეგობარი შემხვდა და, თუმცა, მეჩქარებოდა, არ მომეშვა, ანეკდოტი უნდა მოგიყვე, წუხელ ერთ სუფრაზე გავიგონე და ამ დილით ვინმეს რომ არ მოვუყვე, გავგიჟდებო. მაინც და მაინც, წინააღმდეგობა არ გამიწვევია, მით უფრო, სამსახურში მოსაყოლიც ბევრი ვერაფერი მქონდა და... ისეთიანად და ისეთი პათოსით მომიყვა, რომ დიდხანს ვიცინოდით.

სამსახურში მისულმა ვნახე, საურეისორო კაბინეტის კარები ფართოდ იყო გამოღებული და სანამ ჩემს ოთახში შევიდოდი, მათთან შევიხედე.

— მობრძანდი, მობრძანდიო და... ანეკდოტიც მოგიყვეო... აბა, ჰე. — „ყელში მწვინენ“ კოლეგები. მეც კარებშივე დავდექი და დავიწყე: — მისო ავად გახდა. ექიმთან მივიდა, მან ურჩია — შენ ისეთი ავადმყოფობა გჭირს, აუცილებლად ზღვის ჰაერი მოგიხდებაო! — მერეო, — იკითხა მისომ. — მერე ის, რომ სადმე ზღვისპირას უნდა იყიდო სახლ-კარი და საცხოვრებლად კოლხეთს გადასახლდეთ.

დალონდა მისო, მაგრამ რას

ისევ ხსარხარდნენ ბიჭები!

იზამდა, ადგა და წავიდა... მიიკითხ-მოიკითხა და მისაწავლეს, — აი, ის, ზღვისპირას რომ ცხოვრობს, ის კაცი ყიდის სახლ-კარსო. მივიდა მისო იმ კაცთან. — მაშა, შენა ყიდი სახლ-კარსა? — ჰკითხა მისომ. — კი, აბა?! — რა ღირს? — ერთი მილიონი! — გაესუმრა სახლის პატრონი. მისო ვერ მიუხვდა ხუმრობას. — ე, ე, ე, ხომ არ გაეჟუდი, რაა ამისთანა, მილიონს, რომ აფასებ? — რაა და, სახლ-კარი! თუ გინდა მოიტა მილიონი, თუ არადა, წადი! — გააგრძელა ხუმრობა სახლის პატრონმა. ამასობაში მისოს კოლომ უკბინა.

ნი... მისომ იფიქრა, ერთი კოლო მინც როგორ არ იქნებო და დათანხმდა. დილით სახლის პატრონმა ფანჯრიდან გაიხედა და რას ხედავს, — გალურჯებულ მისოს თავი გვერდზე გადაუღვია და ძლივს სუნთქავს. — გეხუმრე, კაცო გეხუმრე... მინც სად იყო ამდენი კოლო, ვაი, ვაი, ვაი! — აწრიალდა სახლის პატრონი, სასწრაფოდ გამოეგარდა გარეთ და თოკი ასხსნა მისოს! მისომ ძლივ-ძლივობით ამოილულულა: — რა კოლო, რი კოლო... ხბო ვერ დააბი წუხელი, შე ოხერო?... ანეკდოტი ჩამეთვალა. ბიჭები ისე ახარხარდნენ, რომ ცოტა ზედმეტი მომეჩვენა... იქვე, ნახევრად გამოღებულ კარებს უკან, კიდევ ერთი მაგიდა იდგა. სწორედ აქეთ-ბოდნენ სიცილით. შევხედე ამ კუთხეს, იქ ჩემი თანამშრომელი გოგონა იჯდა და იცინოდა, ჭიჭინაზე სკდებოდა. — ვაი! მაპატიე, ჩემო კარგო, მაპატიე!.. არ მეგონა შენ თუ იყავი აქ, თორემ... ამგვარ ანეკდოტს როგორ მოყვებოდი, მაპატიე!.. — შევიცხადე გულწრფელად. გოგონა იცინოდა და იცინოდა, და ოდნავ რომ დამშვიდდა, თქვა: — სულელი კაცი!.. რა შუაშია ხბო?... სულელი კაცი!.. ეს თქვა და... ისევ ახარხარდნენ ჩვენი ბიჭები!

ზაურ ფიფია

თარიღი

დიდოსაუღი

აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი - 90

ბამოწინილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა.

მან არსებითი წვლილი შეიტანა ფიზიკური ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორც არის ნივთიერების აღნაგობა და სორბციული პროცესები. გ.ციციშვილის გამოკვლევები, მისი თანამშრომლებისა და მოწაფეების შრომები კარგად არის ცნობილი საერთაშორისო ქიმიური საზოგადოებისთვის და სისტემატურად მოხსენდება საერთაშორისო ფორუმებზე. გ.ციციშვილი ქართული ქიმიური სკოლის თვალსაჩინო და აქტიური წარმომადგენელია; იგი 600-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომისა და გამოგონების ავტორია. მრავალი მათგანი დაბეჭდილია საზღვარგარეთ, სადაც არაერთხელ ღირსეულად წარმოადგენდა ქართულ მეცნიერებას.

გ.ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს, თბილისის ინტელიგენციისათვის კარგად ცნობილ ექიმ ვლადიმერ და ქსენია ციციშვილების ოჯახში. 1931 წელს მან დაამთავრა იმ წლებში აღიარებული გერმანული სკოლა, 1937 წელს კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და ჩაირიცხა ასპირანტურაში.

1938 წლის დასაწყისში გ.ციციშვილი მიავლინეს ასპირანტურის კურსის გასაყოფად მოსკოვში, ლ. კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1940 წელს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, მან გააგრძელა კვლევები მოლეკულური ურთიერთქმედების დარგში. ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ამოცანა მოლეკულურ შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ და შეიმუშავა მისი განაწყვეტის კვანტურ-ქიმიური მეთოდი. 1947 წელს გ.ციციშვილმა დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1940 წელს გ.ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე და 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ კრიტიკულ პერიოდში იგი აწვდიდა კვლევებს ადსორბციის დარგში და სწავლობს საქართველოში უხვად წარმოდგენილი მონტორილიონიტური თიხების და სხვა ადსორბენტების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს.

1947 წელს გ.ციციშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად და არჩეულ იქნა ფიზიკური ქიმიის ლაბორ-

ატორიის გამგედ. აქ მიმდინარეობდა დიდი მუშაობა ამ ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების დასახვეწად და ეს დაწესებულება გახდა ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო ცენტრი.

1950 წელს გ.ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

გ.ციციშვილმა საფუძველი ჩაუყარა და თანამშრომლებთან ერთად ფართოდ გამოიკვლია სორბციული პროცესების სტატიკა, კინეტიკა და ენერგეტიკა. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მალაკალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ჩასატარებლად.

1959 წელს გამოცემული გ.ციციშვილის მონოგრაფია „სორბციული პროცესები“ ავტორის დიდი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

გ.ციციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულია მუშაობის დიდი ციკლი ცეოლითების (მოლეკულური საცრების) მისაღებად, როგორც განსაკუთრებით სუფთა რეაქტივებიდან, ასევე ბუნებრივი ალუმინისლიკატების საფუძველზე. მრავალი სამუშაო მიექცნა სხვადასხვა ტიპის ცეოლითებისა და მათი იონმიმოცვლითი მოდიფიცირების კვლევას.

გასული საუკუნის სამოციან წლებში გ.ციციშვილმა დიდი ინტერესი გამოავლინა ბუნებრივი დანალექი ცეოლითების შესწავლისადმი. იგი გახდა ამ ძირფასი ბუნებრივი მასალის კვლევის, წარმოების ორგანიზაციისა და პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. ქართველ გეოლოგებთან ერთად ჩატარებული კვლევების შედეგად რეკომენდებულია გამოსაყენებლად ახალი ძვირფასი ნედლეული — კლინოპტილოლითმეცველი ტუფი, რომელსაც აქვს მრავალი ფრიად სასარგებლო თვისება. გ.ციციშვილის დიდი მეცნიერული და ორგანიზატორული მუშაობის მეოხებით თბილისი იქცა ცეოლითების კვლევისა და გამოყენების აღიარებულ სამეცნიერო ცენტრად.

1963 წელს გ.ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანად.

1985 წელს გ.ციციშვილმა ბულგარულ მეცნიერებთან ერთად გამოსცა ნიგნი „ბუნებრივი ცეოლითები“. შემდგომში გამოვიდა ამ ნიგნის



თარგმანები პოლონურ და ინგლისურ ენებზე. ამ ნაშრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ციოლითების კვლევის და გამოყენების შესახებ მიძღვნილმა შრომებმა მას დიდი ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. მათ მაღალი შეფასება მიიღეს, რაც აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილისა და ა.თვალჭერელიძის სახელობის პრემიებით.

გ.ციციშვილი აქტიურად თანამშრომლობს ადსორბციის დარგში მსოფლიოს ნამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და ავტორიტეტულ სპეციალისტებთან. მან ბევრი გააკეთა სხვა რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის განყოფილებებთან კავშირების გაფართოებისთვის, აქტიურად მონაწილეობდა ერთობლივი სესიების ჩატარებაში, კონფერენციისა და სიმპოზიუმების მოწვევაში, საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბებაში.

1963 წელს ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრიც იყო გ.ციციშვილი და ხელმძღვანელობდა ცეოლითების სექციას.

1965 წელს გ.ციციშვილს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი აქტიურად მონაწილეობს ქართული ენციკლოპედიის შექმნაში, ხოლო 1966 წლიდან არის მისი მთავარი რედაქციის წევრი.

1975 წელს გ.ციციშვილის რედაქტორობით გამოვიდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია“.

1992 წლიდან გ.ციციშვილი არის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი. აღნიშნული ლექსიკონი გამოიცა 2004 წელს.

1992 წელს გ.ციციშვილმა ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, რომლის თავმჯდომარედაც არის არჩეული; 1998 წლიდან ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის წევრია.

გ.ციციშვილი დიდ ყურადღებას უთმობს პედაგო-

გიურ მოღვაწეობას. დიდა მისი დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფაში. ათეული წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ნამყვან დისციპლინებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

1996 წელს მისი ავტორობით ქართულ ენაზე გამოიცა ნიგნი „კვანტური ქიმია“.

გ.ციციშვილი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშისა და სახსობა მეგობრობის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენით. 1990 წ. მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია და ლაურეატის წოდება ბუნებრივი ცეოლითების კვლევისათვის.

1988 წლიდან გ.ციციშვილი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი; 1989 წლიდან — ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გ.ციციშვილი სათავეში ედგა რესპუბლიკაში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განვითარებას, მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შემუშავდა დარგის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.

გიორგი ციციშვილმა შექმნა ქართული ადსორბციული სკოლა, დიდი ღვაწლი დასწავლა რესპუბლიკაში ქიმიური მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას. გულითადად ვულოცავთ ბატონ გიორგის სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს. გვჯერა, რომ იგი კვლავაც მისთვის ჩვეული მხნეობითა და ენერგიით ბევრ სასიკეთო საქმეს განახორციელებს ქიმიის მეცნიერების შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სახელით

თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, აკადემიკოსი; ავთანდილ დოლიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სპარტაკ ურუშაძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; მანანა ზურჰანაძე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(იზაქლია ავთორთა ხარჯით)

მს სინთარესო

ყოველდღიურად 15 წუთს, 91 საათს წელიწადში, 22 დღე-ღამეს — 10 წლის განმავლობაში; აი, საშუალოდ ასეთი დრო სჭირდება მამაკაცს გასაპარსავად. მათი უმრავლესობა სარგებლობს ელექტროსაპარსით, რომლის სახელი „ფილიპსი“ მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ეს საპარსი 1940 წელს გამოჩნდა „არენაზე“. ეს იყო პირველი ელექტროსაპარსი მსოფლიოში და მისი პოპულარობა დღესაც გრძელდება.



ინდოეთში სპილოების ერთ-ერთ საშენში, რომელსაც მრავალი მნახველი ჰყავს, გამოჩნდა სპილო, რომელსაც ძალზე უყვარს ყავა. სპილო, სახელად „ანდალი“ სადილის შემდეგ სიამოვნებით მიირთმევს ცხელ ყავას. მისმა მომვლელმა, რომელსაც რამეშოვო ჰქვია, განაცხადა: „ანდალი“ ბაშვივითაა — ის ირჩევს იმას, რაც თვითონ მოსწონს. მას უყვარს აგრეთვე — ნაყინი, ვაშლი, კანფეტები.

ძალეპის ცრემლები, ისეთივე გაუგებარი რამაა, როგორც ქალის ლოგიკა. სუსტი სქესის წარმომადგენლები, აბსოლუტურად წარმოუდგენელი და გაუგებარი მიზეზების გამო ტირიან. ისინი, ხანდახან სქესის დროსაც ტირიან. თვეში ერთხელ ქალების 74 პროცენტი ყოველგვარი მიზეზის გამო ტირის. რატომ? ეს აუხსნელი პრობლემაა. ისეთ შემთხვევებში ხშირად ჰგონიათ, საჭიროა დამშვიდება, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ტირილისას არ არის საჭირო დაყვავება, რადგან ხშირ შემთხვევებში, ცრემლები შეიცავს ჰორმონებს, რომელიც წარმოიქმნება ნერვული ალგზნებისგან, ემოციურ დაძაბულობისაგან. ამით ადამიანი უფრო მშვიდდება და წყნარდება. ამიტომ, ქალების დამშვიდება უაზრობაა, ჯობია, უბრალოდ მოეფეროთ მათ.



რალოდ მოეფეროთ მათ.

განცხადება
მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიჯის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42. ლიკვიდატორი **როლანდ მალარაძე**

განცხადება
მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტუდია აუდიენციის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42. ლიკვიდატორი **ოთარ ლორთქიფანიძე**

განცხადება
მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არტ იმედის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42. ლიკვიდატორი **ბიორგი ძაქუშარაძე**

განცხადება
მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მთავარი გაზეთის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42. ლიკვიდატორი **როლანდ მალარაძე**

განცხადება
მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერპრესის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ საზოგადოების ფაქტიურ მისამართზე — თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №3, მე-3 სართული, ტელეფონი: 98-22-42. ლიკვიდატორი **ბიორგი ძაქუშარაძე**

ცოტაც გავიცინოთ...

— თუ შეიძლება ვისკი დამისხით, მანამდე კი თვალები ამიკარით, — სთხოვს კლიენტი ბარმენს.

— ეს რისთვის?
— იცით, რა, როდესაც ვისკს ვხედავ, ნერწყვი მომდის, მე კიდევ გაზავებულ სასმელებს ვერ ვიტან.

— პატარა ზვიგენები არ გყავთ? — კითხულობს ტიპი ზოომალაზიაში.



— რად გინდათ?
— მინდა, ჩემს კატას ჭკუა ვასწავლო: დღესაც ყველა თევზი შემიჭამა აკვარიუმში.

— ივანოვ, შენ სულელი ხარ!

— კი, მაგრამ, კაპიტანო...
— ეს ბრძანებაა!

ლვინცარი ჯარისკაცებს დისციპლინურ წესდებაში მეცადინეობას უტარებს.

— ამგვარად, რიგითო სმიტ, რა უნდა გააკეთოთ, როდესაც ოფიცერი ან სერჟანტი უსამართლოდ მოგექცევით?

— უნდა გავჩუმდეთ, სერ.

— რატომ? თქვენ შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ მეთაურს. გასაგებია?

— დიახ, სერ!

— და რა მოსდება თქვენი ჩივილის შემდეგ?

— დავისჯები, სერ!

ლრმად ჩაფიქრებული ქალი პოლიკლინიკაში შედის და კითხულობს:

— ყმანვილო, გინეკოლოგთან რიგში ბოლო თქვენა ხართ?

— დიახ. მაგრამ ჯერ ქირურგთან გავიქცევი სქესის შესაცვლელად.

თუ ადამიანის ყიდვა შეუძლებელია, იგი უნდა გაყიდო.

— რატომ არ ქორწინდები?

— აბა, რა ვიცი, ვერაფრით შევარჩიე საცოლე. დედაჩემმა ყველა დამინუნა.

— შენც დედაშენის მსგავსი მოძებნე.

— მოძებნე, მაგრამ მამაჩემმა ისეთი სკანდალი ატეხა!

ცოტოკადრი



ბიჭებს "ფაბიკა" გასთავადა

ბრძანებებში კი ჩავსვი სიტყვა „შემოსევა“, მაგრამ შემოსევა, აბა, რაღაა, რასაც ამ ფოტოებზე ვხედავთ... ბოშების შემოსევა... ბოშები — „ციგნები“, „ჩაჩნები“... საერთოდ,

ინტერნაციონალიზმი, არასდროს აკლდა საქართველოს, მაგრამ დემოკრატიამ ნამეტანი „აუშვა“ ეს ხალხი და დადინ, დარბიან, მკითხაობენ, უონ-გლიორობენ, მათხოვრობენ...

დედაქალაქის ულამაზეს ცენტრალურ ქუჩებში. გამოჩნდნენ რუსთაველის გამზირზე, რუსთაველის ძეგლის წინ ერთი ამბავი აქვთ, რის შესახებაც ცოტა ხნის წინ

ნათ წერდა კიდევ ჩვენი გაზეთი. მერე რა — ვნეროთ და ვიკითხოთ... ბოშები „გულაობენ“, გაუმარჯოს ქართულ ინტერნაციონალიზმს.

ვილან მარდალაიშვილი
გივი ჯოლაორდის ფოტო.

ლექსი

ნინო მარიამიშვილი

ჩემს დედა თბილისს — ბავშვობის და ოცნების ქალაქს, ძველ კუთხე-კუნჭულს, გამობრძემედილ, ნაწამებ ძაღვს, ჩემს ორთაჭაღას — ვარანოხლის ბაღდადურს, ლეკურს, ქართულ ბაიათს და თბილისურ მოღვინას მეფურს. ჩემს სირაჯხანას, ვაკელებს და ვერელებს — ამაყს, რუსთაველის ჰროსპექტს — ცხრა აზრილის ცრემლებით ნაბანს,

ჩემს დედა თბილისს

მზიურ მთაწმინდას — ზატარძლის და სიცოცხლის სადარს, ჩემს ნარიელას — თექვსმეტი წლის ქალივით ლამაზს. რა შეედრება ქვეყანაზე, მითხარით ერთი, მხოლოდ ვისურვებ: თბილისელებს გვწუალობდეს ღმერთი. ... და არც ზარისი შეედრება ბავშვობის ქალაქს,

გულში უსიტყვოდ რამდენ დარდს და სიუვარულს მაღაფს. არც ვაშინგტონი, არც მილანი, და არც ათენი, ჩემს ლამაზ თბილისს — ბარბაროსთა ფეხით გათელილს, რა შეედრება ამ ძველისძველ და სათნო ქალაქს, ღმერთო, ეოველთვის შეგვაწიე ღვთისმშობლის ძალა!

გვერავლოს!

ოც დღეში 136 მოქალაქე შეგვემატა

მორიბ ახალშობილებზე — ოჯახის ამ სისხარულზე გვაცნობა შპს კლინიკური მედიცინის ცენტრიდან განყოფილების გამგემ თამარიკო ალექსანდრიდემ. ოქტომბრის 20 დღეში აქ 79 ბავშვი დაიბადა — 35 გოგო და 44 ბიჭი. ხოლო თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სამ-

ლიდან, კასპიდან, ოზურგეთიდან, გალიდან, საგარეჯოდან, ბათუმიდან, გურჯაანიდან, ხარაგაულიდან, გარდაბნიდან და რუსთავიდან ჩამოყვანილ ქალებს ჯანსაღი ბავშვები შეეძინათ. მან ისიც გვაცნობა, რომ გალიდან ჩამოყვანილ რიტა ზარანდიას ნუხელ გოლიათი ბიჭი ეყოლა, 4 კილოგრამს იწონისო. ამ ორ სამშობიარო სახლში 20 დღეში საქართველოს 136 მოქალაქე დაიბადა.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



შობიარო სახლიდან უფროსმა მედამ ნანა ციცხვაიამ როგორც გვაუწყა, ოქტომბრის 20 დღეში თბილისს გარდა ბორჯომიდან, საჩხერისიდან, მარტვი-

ნათელა ფაილოძე

ჩვენი ვიქტორინა



თქვენ რა წარწერას მოუგონებდით?

Advertisement for a clinic. Includes a photo of a man and text: 'დედაქალაქის ბოჭორიშვილი, მეუღლე მათა იმერლიშვილი, შვილები საბა, მარი, ძმები დათო, ზურაბი ოჯახებით, სიდედრი ლილი გურგენიძე, ცოლისდა მანანა, ცოლისძმა გიგი იმერლიშვილები ოჯახებით, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუნყეზიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა. შპს 'მთარის ქმ ბრძანება' პანაშვიდი 23, 24 X, დაკრძალვა 25 X, 15 სთ. ჭიანჭყლის რაიონის სოფელ ზოდში.'

გაზეთის ლეგანდელი ნომერი 24-გვერდიანია.

მორიბი ნომერი გამოვა საშაბათს, 25 ოქტომბერს.

Footer with contact information for 'საქართველოს რესპუბლიკა' and 'საქართველოს რესპუბლიკის'.